

მე-20 საუკუნის ავსტრიული ლირიკა. მასალები
ÖSTERREICHISCHE LYRIK DES 20. JAHRHUNDERTS. MATERIALIEN

 **ტომი VII**
BAND VII 

თბილისი
2010

აღმა იოჰანა კიონიბი

მწუხარე ოდა

მარტო ვარ. პარკებს ჩემთვის როდი მოუქსოვიათ
ძაფი, სხვა ძაფებს ოქროსფრად რომ ჩაექსოვება.
არამყარია, ვით მზის სხივით გაბრწყინებული
ობობას ქსელი შემოდგომისა.

ყოველთვის – მარტო. არ შეკრულა ჩემთვის ქოხმახი
ყვავილმოწნული; მე მეუღლის კერა არ მერგო,
მოტიტინე ჩვილს ჩემთვის “დედა” არასდროს უთქვამს,
მე ეს წარსული არ გამაჩნია.

თავქვე მივეყვები, გამოღლილი, ცხოვრების ნაკადს,
ხელი შევუშვი უკვე ხოფებს. საითაც უნდა
მიმაგდოს ქარმა, დინებამ თუ ღმერთების ნებამ,
მე მხოლოდ ყოვლის დათმენა მინდა.

უკვე ჩამცხრაღა წყლის ხმაური, ჩემი მღელვარე
სისხლის ტალღებიც დამდგარა და ნისლიან მინდვრებს
ვუმზერ, ტოტებს ჩხვერს ჩემი ნავი და თავს ვხრი უკვე
გადმოწოლილი ტირიფების ქვეშ.

ფაუსტა

მე, ცესტიუსის სახლის ხარჭა, უცხოთ ვიტყუებ
ირიბი მზერით, ღიმილით და მი-და-მო-რწევით.

მე, ცესტიუსის სახლის ხარჭა, ყვითელ შუბლსაკრავს
ისე ამაყად ვირგებ, როგორც – კეისრის გვირგვინს.

მე, ცესტიუსის სახლის ხარჭას, უმცირეს ფასად
გამხსნი, მავანო, ვით განცხრომით სავსე ზარდახშას.
ხარჭა ვარ, მაგრამ შენ შეიძენ ტკობას და არა –
ფაუსტას. იგი თავადვე წყვეტს, ვის უძღვნას თავი.

მიმწუხრზე

არა! არ მნებავს ჩირაღდნები
და არც – ცეცხლი, ანთებული სპარსული ზეთით,
არც ბალიშები გაამრავლოთ,
რომელთა მჭახე აბრეშუმზე გაგორებულან გაშიშვლებული
თეთრი ასულნი,
მარმარილოს ხიდებივით მოხრილი ზურგით ტკობის ზღვაში
გადაშვებულნი!

არ გადაჭიმოს გურუმ დაფდაფი
დახვეწილი და სწრაფი თითებით,
ვიდრე უკანვე მიიქცეოდეს ჩემი რიტმულად მჩქეფარე სისხლი.
და არც ვარდები მიმოაპნიოთ გლუვ იატაკზე, როგორც
მკვლევლობა,

არ მაიძულოთ, მე რომ მფარავს, იმ ვუალიდან
გამოვიდე და მივინებდე ცეკვას – ისე ავენთო, როგორც ფარვანა,
რამეთუ მაშინ ჩემი გული წადილისგან დაიბზარება! აქ ხართ
ყველანი,
მაგრამ სად არის ის ერთადერთი, ჩემს ზეიმად რომ გადააქცევს
თქვენს დღესასწაულს?

ფაუსტა დედოფალ კოკაქას

როცა შემოხვედი წუხელ შებურული და ასე მიბრძანე:
„მომრთე, შენ როგორც ხარ ახლა მორთული და შენსავით
შემოსე!“ –
ოი, დედოფალო, გეგონა, მუხლს უმაღ ისე მოგიყრიდი,
როგორც – ცესტიუსი, როცა შენ ჩვენს სახლში პირველად
მოხვედი.
ჩემზე ღარიბი ხარ, პოპპეა, მრავალი ქვეყნის დედოფალო,
რადგან შენი ტკობა ჩემს ტკობაზე მეტხანს სულაც არ
გრძელდება,
შენი ბრწყინვალება არ მომსურვებია მე ჯერაც არასდროს,
ხოლო შენ ითხოვე ჩემი სამოსელი და ჩემი სარტყელი!

შესვენება

მალამოს შუშა და ეს სარკე აიღეთ,
ჩემი ვუალი და ჩემი სამკაულიც
აიღეთ და წადით, ვიდრე გაგახურებთ
თასი, მე რომ ავწევ თქვენთან შესახვედრად!
ლუკა, შენ აქ დარჩი, ჩემს გვერდით იყავი!
იქ, ქვემოთ, იცოდნენ: „ხვალ ცეკვავს ფაუსტა,
ხვალ თქვენს თვალს ფაუსტას სიშიშველე აღავსებს
და – თქვენი ვნებების ჭუჭყით შებილწული –
იცინებს ხვალაც და ყოველდამ იცინებს!“
მაგრამ დამანებეთ დღეს მხოლოდ სიბნელე,
თმა დაუვარცხნელი, უნიღბო იერი,
საწოლი, ვნებას რომ არ დაურწევია,
დღეს – რაკი არავის გაუფრთხილებივარ
და ხალხში მე ლალი სიცილით შევიჭერ –
პეტრონიუსს დღეს გადავეყარე!

ლუკანუსი ფაუსტას

როს მონარნარე ნაბიჯები შენს მდიდარ სხეულს
ჩაატარებენ ჩემს თვალწინ და ვნებით აღსავსე
ეგ თეძოები გაბრწყინებულ და ნატიფ ქსოვილს
ნაკეცთა ჩრდილებს მოაფენენ... მე ვთრთი, ფაუსტა!
როს მზეერას მტყორცნი, გული სიღრმეს სიღრმემდე სწვდება,
და, ვუალებში დამალული, როს გამიღიმებ,
ჩემს თავზე უმაღლესი დაფნის გვირგვინი
გარდაიქმნება აფროდიტეს მსუბუქ ვარდებად.
ხშირად ვოცნებობ, სიმღერაში, ვით მოოქროვილ
ჩარჩოში, შევძლო მოვიხელთო შენი ხატება,
მაგრამ ვაი, რომ სილამაზის ხანძრის წინაშე
ყველა სიმღერა უძლურია, რაც მე შემითხზავს,
და უნორჩესი გაზაფხულიც უფერულდება.

ლუკანუსის შეურაცხყოფელი ვერილი

შენ, ალბათ, სშირად გიფიქრია, რომ დამატყვევე,
ხელები მტკიცედ გამინასკვე თმის ოქროს ჯაჭვით.
და უნაზესი შენი კოცნა ჩემს ბაგეებზე
რომ დამდნარიყო, მე მოწყალედ უნდა მეთხოვა.
ფაუსტა! განა, შენ არ იცი, ძაფს დღიდან დღემდე
ლამით ტკობისთვის რომ ართავდა გმირი ჰერაკლე?
იგი ხომ ამას სჩადიოდა არა ომფალეს,
არამედ მხოლოდ ვნების ძალით, და დაიფერფლა
თავი ღიადმა, ღვთაებრივმა და მარტოსულმა.

ლუკანუსი ფაუსტას

განა შეძლებდი, წასულიყავ და ჩემი სული
ტკივილებისთვის გაგეწირა? შეძლებდი წასვლას,
და ჩემს მიგდებას სურვილისთვის, მკვლელი ქალისთვის,
ვისი ხელებიც მიპირებენ – ბოლო მომიღონ
იმით, რომ დიდხანს არ მაღირსონ შენი ალერსი?
რაც შენ წახვედი, მოლოდინის მტანჯველ საათებს
ვერ ვუმკლავდები, გარს მეკვრიან ხუნდადებული
მონები, როგორც საზიზლარი ვირთხები, შენ კი
მე, სიყვარულის ბორკილებში გახლართულ მონას,
გულცივად მართმევ შენი ნახვის ყოველდღიურ პურს?
შეძლებდი წასვლას მას მერე, რაც თავი მიძღვენი?
შეყვარებული, ვით შეძლებდი ჩემს მიტოვებას?
შენ ჩემი იყავ, ამიტომაც ჩემმა სიმღერამ
შენ უკვდავება მოგანიჭა, ხოლო მე ვკვდები
მარტოსული და განდევილი, რაკი შენი ვარ.

ჰორტალუსი ფაუსტას

შეხედე! თავი დაანებე, გაერიდო,
ასე მირჩევენ მეგობრები, ტკბილო ფაუსტა!
უკეთურობას შეგამთხვევსო, მეუბნებიან,
რაკი შენი ვარ ყველაფერზე, თვით ეროსის ნებაზეც, მეტად.
ასე მირჩევენ მეგობრები: მიატოვეო,
ის ჩამიჩი ხარ, ნაადრევმა შემოდგომამ დროებით რომ დაივიწყაო,
ის კი ქორფაა, ვით სიახლე, რასაც მზიანი, ოქროვანი დღე
გვპირდებაო.

შეხედე! შენს თავს უშველეო, ასე მირჩევენ,
მე კი მტანჯველი ბორკილებით დატყვევებული,
მუხლმოყრით ვდგავარ შენს წინაშე და თავს ვხრი შენსკენ,
ვინც, როგორც ხმალი, მოქნილი და სასიკვდილო ხარ.

სარკის წიგნ

ვარცხლის სარკეო, ერთადერთო მისანდობელო მეგობრებისა, შენ, ვინც ჩემივ არსებას მჩუქნი, როცა მას სხვები დაიპყრობენ მხოლოდ და მხოლოდ. ცოცხალს მიჩვენებ ჯერაც ჩემს თმას, მთლიან ხელეულს, ეს თვალიც შავი ცღუნებაა, ბაგე – ხაფანგი! მაგრამ დრო მოვა, შემპარავად როს გამაფრთხილებ: “გახსოვდეს, მიწყვი არ იქნება შენთან ვენერა! შენი თმის ოქროს მალე ვერცხლი შეეპარება, დაწვების ბალი სისხლს დაკარგავს და ბაგეთა ბლის ნაყოფიც ერთხელ გახმება და გავერანდება. რაკი გარგუნა სიყვარულმა ამდენი განძი, დე, გიხაროდეს ეს განძი და ნუ გეყვარება!” ვერცხლის სარკეო, შენ ფაუსტას პასუხიც იცი? “მთელი ოლიმპოს უმხურვალეს სიხარულთაგან რას გვიბოძებენ ქალღმერთები ჩვენ, მათ მოკვდავ დებს, თუ არა – მხოლოდ საკუთარი ბედნიერების იმ ნაყოფიერ გაელვებას, იმ ერთადერთ წამს, უცხოთა თვალში რომ აღანთებს სურვილის ცეცხლს და მით ვუტოლდებით მარადიულ გამოსხივებას. თავყრილობას რომ გამოვუჩინდე მე დღეს მიმწუხრზე და გამრჯე მჭედლის ხელებს ურო არ გაუვარდეთ და არ დაუმვას მიტანილი პირთან ფიალა მოწყურებულმა ამფსონმა და არ უკუიქცნენ გაწითლებული გოგონები და ბერიკაცის უკვე ჩამქრალი გულიდან რომ არ ამოხეთქოს უკანასკნელმა მხურვალეობამ, ხოლო პირველმა არ ამოხეთქოს უწვერული ბიჭის გულიდან – მაშინ, სარკეო, მომინდება, სახლში მოვბრუნდე და დაგამსხვრიო და იმავე ცეცხლში დაგბუგო, რომელიც ჩემი სხეულიდან არას დატოვებს თვინიერ ფერფლის, სწორედ ისე გადაშვებულის ქართან თამაშში, როგორც ადრე ტკბობის მორეცში ჩემი უნაკლო ტანი იყო გადაშვებული”.

ლუკა

უფრო ახლოს მოდი, მოდი მეთქი, ლუკა! მჭიდროდ შემომეჭდე. ნეტავ, თუ გააღლობს შენი მხურვალეობა ჩემი დარდის ყინულს? სპილენძისფერი და მოშრიალე თმა გაქვს, ჩემს თმაზე მბრწყინავი, ჩუმად შერეული ეგვიპტური სითხით ოქროდ რომ ეღვარებს. თქვი, რატომ ვერ ამჩნევს კაცი კაცთაგანი, თუ როგორ ტკბილად და აისის ვარდისფრად მტოვებ, მოთენთილი საწოლს რომ ვერ ვწყდები.

ერთ დროს მეც თხუთმეტი წლის ვიყავ შენსაგით, ძონძებით ვმაღავდი

ჩემს სხეულს, თავზე კი მძიმე კოკა მედგა და წყალი დამქონდა, მარდად მიმოვქროდი ცირკში გასართობად მოსულთა რიგებში, ტკბილი ხმით ვიპყრობდი მწყურვალ-გათანგული ხალხის ყურადღებას.

და ბედი რომ არა, ერთხელ მწვანეებმა როცა გაიმარჯვეს, ხოლო გულწასული ლიბია სკამს მოსწყდა და წყლისთვის მომიხმეს,

კოკით თავმორთული, ძონძით ვიქნებოდი დღესაც შემოსილი. არც ჩემი სახლი და ბაღი მექნებოდა, ვერც ლუკას ვნახავდი. ოჰ, რა ცხარე ცრემლით ავტირდი, ტოგების იმ თეთრ სიუხვეში, ხალხი რომ დაიდრა დასახმარებლად და ამფორა გამიტყდა. „საბრალო პატარავ, განა, ამ ნამსხვრევეებს უნდა დასტიროდე? შენ ხომ თავი კოლხთა საწმისით მოგირთავს, იასონის განძით!“ ახლაც კი ჩამესმის ხმა პეტრონიუსის და ვხედავ მის ღმილს, შევიგრძნობ მის თითებს, ჩემს თმას საამოდ რომ ეაღვრებინან. ამდენი ხნის მერე მე ისევ ერთადერთ იმ ღამეზე ვფიქრობ, როცა მის მკლავებში ვნება ისე ვშობე, როგორც ბავშვი ჩნდება... ლუკა, შენი თმა და შენი სიყმაწვილე, თქვი, რაში გარგავ, თუ ვერვინ აფასებს, პეტრონიუსი კი წუხელ აღესრულა.

საზღაური

შავ პროცესიას წაგავდა ჩემი ბავშვობა,
ვით კვალში ჩამდგარ მონადირეს, ისე ვუფრთხოდი.
და მატირებდა, მაყვირებდა მე შიშის გრძნობა,
ძველი გალავნის გაყოლებით რომ გავუბრბოდი...

დამსგავსებოდა სიყმაწვილე უღრმეს მალაროს,
და დღის ნათელი იქ ქვასავით იძირებოდა.
მე დავდიოდი ცეცხლმოდებულ ღამის ჩიხებით,
ხოლო სადღაც შორს ყრუ სიმღერა იკარგებოდა...

ჩემი სიმწიფე – წისქვილის ქვის ბრუნვა-ღრჭიალი –
ფქვავს პურის ნაყოფს, აქუცმაცებს პურის სიმწირეს.
მაგრამ სულ ერთხელ როცა მოგკარ მოლიმარს თვალი,
მაშინ ერთბაშად გაიქვითა ყველა სიმწარე...

სასლი ბაზაფხულზე

მეც გაზაფხულის მეგობარი ვარ,
ისე, ვით ყველა, ვინც მისთვის გალობს,
წელს კი მას თავზე გვირგვინი ადგას,
უცხოდ მორთულა, ღიმილით მათრობს.
ჭალებს და ტყეებს უხვად მიბოძებს,
მინდვრებს, ჩემს ხვასტაგს, ჩემს სახლს, ჩემს ეზოს,
ის შენ გგავს, არც ის არ მიმატოვებს,
და ვმზეობ, როგორც შენს გულს ენებოს!

ჩასწვდი, იხილე: ბედის ტრიალი,
ორთა სილალის ზრდა და მატება.
მწუხრი: შენს ფეხქვეშ ხრემის ჩხრიალი
და მწუხრში ჩემი ლამფის ნათება!
ზამთარი: ერთად რომ შევეყუყულვართ,
ძვირფას წიგნებში თავჩარგულები!
ჩვენს შვილს მოველი, ის ჩაისახა
ძლიერი ვნებით, სავსე გულებით!

მჩუქნი სამშობლოს, სახლიც შენგან მაქვს,
იქ, სადაც შენ ხარ, შფოთვა არ არის.
ობოლი დარდი შენს მკერდთან მოთქვამს,
შემოგაკანკალებს შიში საზარი.
ჩემს ცხოვრებაშიც დადგა მომკის დრო,
პირველად ახლა ვიწყებ გაგებას,
ფოგელვადიღეს რაც ახარებდა:
“მივის სამკვიდრო, მივის სამკვიდრო!”.

ყოველდღიურად

ათასჯერადი ჩემი კვლომა ყოველდღიური
ჯვარზე გაკრულის სიკვდილია მარტოდენ შენთვის.
მაგრამ ყოველლამ შენი ბაგე კვლავ ზეციური
ძალით აღსავსე ჩემს სიცოცხლეს კოცნის და ერთვის...

მე მსურს, ყოველდღე გადავცურო შორეთის ზღვები,
რათა დავიხსნა შენგან თავი, შევძლო ეგების.
მაგრამ ყოველლამ, მე ყოველლამ შენ გიბრუნდები,
გადმომცურავი კიდევ უფრო შორეულ ზღვების...

ყოველდღიურად გათოშილი უნდა ვფიქრობდე:
“მე მას მარტოდენ იქ, სიკვდილში, დავისაკუთრებ.”
ღამით კი, ღამით, მინდა ქვეყნებს ჩამოვდიოდე,
ჩემთან მოსული ერთ ტკბილ სიტყვას თუ ღამაპკურებ...

უგვანი ძალი სილამაჯის

გოგო, ისეთი ლამაზი ხარ, ცოდვა როგორი ლამაზიც არის,
მე კი ისეთი უგვანი ვარ, სიბრძნე რომ არის.
რამეთუ სიბრძნე უგვანი რომ არ ყოფილიყო, ის ხომ ბრძენი არ
იქნებოდა?
მაშინ სულელი იქნებოდა, ისეთივე სასტიკი და ბედნიერი,
შენ რომ ხარ, გოგო!

გოგო, როგორი ლამაზი ხარ – ასეთი რომ დარჩებოდე
სამარადისოდ!
რამეთუ როგორ უნდა დარჩე ასე ლამაზი, შენს უძვირფასესს თუ
წაგართმევენ
და უკვე ველარც ლამაზი და ვერც ბედნიერი,
მით უფრო ბრძენი ველარ იქნები,
როგორც მე, გოგო!

ლოცვა

მომეცი ძალა, გადავლახო წარსული, ღმერთო.
მომეცი ძალა, შენს სულს, კეთილს, მივაგნო, ღმერთო.
მომეცი ძალა, ბრძებს ნათელი ვაჩუქო, ღმერთო.

მომეცი ძალა, ჭრილობებიდან ავაბრიალო ვარდები, ღმერთო,
მძიმე დროთაგან ავაყვავო უარი, ღმერთო,
მარადისობას, შენს არსებას შევუდგე, ღმერთო.

მუხლმოყრილებმა, დაე, ჰპოვონ იმედი, ღმერთო,
ისე, მე როგორც მომიბოძე იმედი, ღმერთო,
როგორც დამლოცე და ყოველი შემინდე, ღმერთო.

ეროსის ჩირაღღანი

I

დამარცხებულიც, იმ უნარის ვარ მადევარი,
ძველი მითების გავაღმერთო ყმაწვილმერთები.
გიმზერ და ოდეს ვაზის პწკალით შენ გიერთდები,
ველი, ამ ბაგეს როდის გასრესს შენი მტევანი.

სახის ცარგვალზე თვალი შენი მიჭვრეტს მარიხად.
თმის კულულიდან ფეხის ქუსლის ნაზ ოვალამდე,
თავით ფეხამდე, გუშინდლიდან დღემდე, ხვალამდე,
ხარ სრულყოფილი, მეტსაც ვიტყვი: საოცარი ხარ.

მაგ შენი პირის ძოწისფერი დღესასწაულით
ლაყვარდისფერი ელვარება გამოამზევე
და ჩემი მზერის ნიაღვარი შთანთქე, ასევე.

მუხლს მოვიყრი და გვერდს გოდებას დღესაც ავუვლი.
შენი სინათლე, უწრფელესი და უცხელესი,
დამფრთხალს მიპოვის ჩემი ვნების ღრმა სიბნელეში.

II

არაბესკაში უბნელესი შენი წარბების
თავბრუდასხმული ჩემი მზერა ისე გაეხვა,
წამწამთა ფოჩებს დაკიდული ცრემლი დაერქვა,
თუმც, შენს გალუულ გოლეულსაც დავეხარბები.

საშიშროებას ძოწისფერი ტუჩების რკალის
გული დაეფრთხო, განშორებას მონად ხლებოდა,
მაგ გაღიმებით სიკვდილიც კი მონატრებოდა,

ბევრად ლამაზი, ვიდრე – ჩემი სიცოცხლის კვალი.

უფალმა შენში საკუთარ თავს ძეგლი აუგო,
შენი მხილველი ღმერთს აქებს და იტანს წვალებას,
შენში თავმოყრილ ვარაყს ლოცავს და – ბრწყინვალეობას,

რომ უკეთ ჩაწვდნენ უფლის სიტყვას, უკეთ გაუგონ.
თუმც, ის თვითონვე ანადგურებს სუყველა მათგანს,
ვინც ბნელში იშვა. შემომხედე, მე ვიწვი რადგან.

III

ო, ტკბილო დღეო, გვაგრილებდა როცა ნიავე,
ჩიტს უცხო ბგერის ასაკენკად სურდა ცად მისვლა,
რომლის წინაშე ხის ვარჯები ჯერ იდგნენ შიშვლად.
ნასხლავი თრთოდა. გამქრალიყო თითქოს სიავე.

ბუჩქთა სიმწვანის მკრთალი ალი იყო სულ ნელი.
სკდებოდა კვირტი, საფარველით ამონახალი.
ირგვლივ სისავსის წინათგრძნობა იდგა ახალი,
ყვავილის სუნი და ასევე – მიწის სურნელი.

შენს გვერდით, ქალმა, ჩემთან ერთად გადმოდგა ბიჯი,
ამდენი ხანი დადიოდა რომელიც მარტო.
და გაზაფხულმაც შემოგვძახა: ტანჯულნი ხართო.

შენი ხელებით მე მივირქვი იმ ქალის ნიჭი.
მოწყალებასაც იმას ვთხოვდი – იმ ზღვას, იმ ღელეს!
მაშ, ჰკვესე, შუქო! შავო შაშვო, გზნებით იმღერე!

IV

მახინჯად მსახავ, მწუხარებით გადაფერფლილად,
მე – ანგელოზად, ედემში რომ დაეკანება.
მაშ, რა მახარებს? რად მწვევია აღფრთოვანება?
ვინ შთამაგონა, ზეცა ჩიტად გადამეფრინა?

ო, ყველა ქალი, ვისი რტოც კი მაგ მზერით ისხვლის
ველურ სიღურჯით, ქუთუთოდან გადმოფენილით,
შენ გადიდებდა, უსუსური და დარცხვენილი,
და ყმა ხდებოდა საფეთქლებზე მოწოლილ სისხლის.

მუხლზე ვეცემი შენს წინაშე, რაკილა მვედრი,
რაკილა მკოცნი, ვიძალადებ, გაგ ხდი ვნებიანს,
იმას ვისურვებ, რაც ოდესმე მომსურვებია.

ო, მაისია მაგ სიცოცხლის მწველი წილხვედრი.
ბედნიერების სეხნია ხარ – მეც ხომ ეს მსურდა!
რაკი ჩემი ხარ, შემისწავლო გულდასმით უნდა!

V

შენ გლოვობ იმას, ვისაც ყოფნა ასე ეწადა –
შენს ძმას ვგულისხმობ, ვისი სუნთქვაც სულს შერჩენია.
მასაც სისხლსავსე ბაგე ჰქონდა, როგორც შენია,
ქალის გემო რომ არასოდეს გამოეცადა?

მისი თვალებიც, ნუთუ, იყო შენებრ ციური?
ყმაწვილი ტანის ლაპლაპებდა ორივე სართული,
შინაგან ლხენით გათანგული და აწვართული,
მაგ სხეულივით უსასრულოდ პროპორციული?

მე მეგობარი ვიქნებოდი იმ ქალის, მგონი,

მხარს რომ გიმშვენებს. წლებს დავთვლიდით კენტით ლუწამდე,
მის ოინებზე დიდსულოვნად თვალს დავხუჭავდი.

წიგნის კითხვაში გავილოდა ნეტარად დრონი.
ხილის პარვისას ვინატრებდი, თან რომ მხლებოდა,
ვიცი, ხანდახან ალბათ შენზეც მომიყვებოდა.

VI

ბადროს ტყორცნისას შევიგრძნობდით, თითქოსდა, სხვა დროს:
გადაზნექილი მხერით უცებ ჩნდებოდი გარსთან,
ვაგლახ, ახლა ხომ ვეღარ ვხედავ შენს დახრილ ტანს და
იმას, თვალს როგორ აყოლებდი გატყორცნილ ბადროს!

იწაფებოდი შენ ჯირითშიც – ქაჩავდი ფაფარს.
შეხედე იმ წამს – არ გამქრალა, არ გაპარულა!
ვერაფერს ხვდები. და მთავრდება შენთვის მარულა –
ვილაცის რაში ფინიშს აღწევს შენსაზე სწრაფად.

ჩემს კულულებში მაგ მშვენიერ თითებს ჩარგავდი,
გაიცინებდი ჩემს კითხვებზე და არ ჩათვლემდი.
ჩემს ერთ კოცნასაც ყველაფერზე ტკბილად ჩათვლიდი.

მე ვინატრებდი, ველურ ფეთქვით თავს არ ვკარგავდე,
მაგრამ როს მალლა ამიტაცებ და მიწა არ ჩანს,
სურვილმორეულს და მძვინვარეს გადარებ ყაჩაღს.

VII

რად მალოდინე, სიყვარულო, შმაგო და ურცხვო?
გადამქცევია საწამლავად შენი ღვინო და
მეგონა, თითქოს, ყველა მხერა მე დამცინოდა...

და გაღიმებაც შევიძულე მიტომაც უცხო.

შენი მშვენების ტკრციალებდა როცა ვიოლა,
სხვა გამოხედვა მე გრიმასად მეჩვენებოდა,
ჩემი თვალები მაგ სახეზე სხივად დნებოდა...
ნუთუ, გგონია – ამ სიცოცხლეს დავთმობ იოლად?

მე გელოდი და შენი სული სხვაგან სახლობდა.
ტანჯვა დავიცხრო თუ ეს დილაც ტანჯვით დავიწყო?
ნუთუ, სხვა გზნებამ ჩემი თავი გადაგავიწყო?

მე ვტიროდი და სხვა მიგაჩნდა, ნუთუ, ახლობლად?
გიცქერ, ო, ღმერთო, სილამაზის ხატად გაჩენილს,
გამართლებაა შენთვის ახლა ეს განაჩენი.

VIII

მიმოვდიოდით. ხმას იწმენდა მამლის ყივილი.
ბილიკს ვეკიდეთ, ერთურთისკენ მიმავალს, და მე
სინათლეს ვჭვრეტდი – თურმე, სიკვდილს ებრძოდა ღამე,
ყრუდ მოისმოდა მფრთხალი დილის ჟივილ-ხივილი.

შეწყვიტა თოვა იღუმალმა დამათოველმან.
იმ ერთს ძალუძდა ღამის ტეხვა და მღვიძარება,
ჩემი და შენი დაწყვილება, ამ გზით ტარება,
სათნო კაცს რომ ჰგავს, ყოველივე იცის რომელმან.

მსუბუქი სუნთქვა მოისმოდა ნაბიჯთა ხმაში –
მოაბიჯებდა ჩვენთან ერთად ბედნიერება,
ხმას არ ვიღებდით. ერთმანეთის გვწაღდა ფერება,

ჩვენი ტერფები ყოვნდებოდნენ მხოლოდლა მაშინ,
როდესაც კოცნით დაბანგულებს გვეკვროდა სუნთქვა,

როს ზვავდებოდა სიყვარულის ზარი და სულთქმა.

IX

შენი ბაგენი თხისჩლიქება პანს დაჰბადებენ
და, ჩემს ნებასთან დაწყვილებულს, ვიგრძნობ სხვა ნებას,
მაგ ბაგეების ბადაგივით შევხვრებ ზმანებას,
სადაც ნიმფები ფლეიტის ხმას აყურადებენ.

შემიმჩნევია არაერთხელ, ბაგეებს მფრთხალებს
მაშინაც სწადდა შენი კოცნა, როცა მკოცნიდი,
ტკბილ სიმთვრალეში ბაგის წყვილებს გადატყორცნიდი,
როს იპარავდნენ ვნებისაგან მილულულ თვალებს.

სიბარიტულად დადაგული ბაგენი მკლავენ.
თავს მოვიზღუდავ ველარასდროს თმენით და კდემით,
ძირს რომ აგდია, ცთუნებული გულია ჩემი.

ლოყის ფოსოებს ეროსისა ეხება მკლავი.
არსებას ჩემსას გულჩვილობით წვა არ ბეზრდება,
ტუჩებს ღიმილად ირონია ამოეზრდება.

X

მოვდივარ შენკენ, ჰორიზონტო, ნაცნობო ჩიხო,
და მენატრები. გული ჩემი მაგ ღიმილს შეჰჩარს:
რარიგ ვილხენდი, მივერდნობოდი ისევე შენს მხარს!
შენს ნებას უხმოდ მინდობილი ნეტავი ვიყო!

თბილი ქარი ქრის და ბალების თრთის საწმერთული,
ამ საბუდარში შეიხსნება ფრთხილად ღილები...
ჯერ კიდევ გუშინ ჩვენც მათსავით გვერქვა ჩრდილები

და ჩვენი წყვილიც კრთოდა, ღამის ჩრდილებს შერთული.

გაქრი, ვარსკვლავო! უასაკო ღამის მხლებელო!
ზურგშექცეულმა, ვერაფრით ვერ გადავიბრალე
ნებადაკარგულ კიდურების უცხო სიმთვრალე!

მიწყვიტე ტანჯვისთვის, ღამე, ჩემო განმზადებელო!
როდის მიუხვალ მას, ვინც შენთვის ვარსკვლავებს დაშრეტს,
ვინც შენს მკლავებთან შესაყრელად საკუთარს გაშლის?!

XI

ღეღამისს

მე, მარტოსულთა სავანეში როს ვბინადრობდი,
შენ – ქერა თავთავს, მამშვენებელს წითელ მდელოსი,
გამოგეცხადა მოვლენილი ცით ანგელოზი
და ძე აღვითქვა, ვის ყოლასაც ასე ნატრობდი.

შესაქმის ზღვაში უხილავმა მენავსაყუდლემ
შემავლო თვალი სტროფს ურითმოს, ობოლს, მჩატესა,
და ღმერთმა შენში მშვენიერი თესლი ჩათესა.
მერე ღამწიფდა და მეც მყისვე მივისაკუთრე.

შენი თმა მისცა ღმერთმა ბავშვს, ვინც მზედ აიწვართა,
უბოძა შენი სიკეთე და მომხიბლაობა,
შენი წყალობით მარტოობის ვცანი რაობა.

მე იმად დავრჩი, რაც ახლა ვარ, რადგან მიყვარდა.
ღეღაო, ვინც შვი ჩემთვის ქერა ბედნიერება,
შენშია ჩემი თაურწყარო და ძლიერება.

XII

დამესიზმრება, როს მკლავების მეტმასვნის წყვილი:
ჰერმესი უვლის ბახუსის ჩვილს, ფუსფუსებს, ოხრავს...
შენა გგავს ბავშვი, შენს ჟესტებს და შენს მიზერა-მოზერას
გაიმეორებს, შიშველი და ძილივით თბილი.

მის ქერა დალალს შენი თმაც კი დაუჩრდილია,
ვხედავ ბაგეებს, გადმოხატულს შენი ტუჩიდან,
ღიმილს, რომელიც არ გამხდარა ჯერაც ურჩი და
მცოდნე. შენი კი ნაჩვევი და გამოცდილია.

ხელში აიყვან და ტკბილ კოცნას აჩუქებ რამდენს!
ატიტინდება, სურს, მოწყვიტოს მთვარე მკვესავი
და ვარსკვლავები, ან შენ ადგე თავზე მზესავით...

მინდა, გულით და აღნაგობით შენ ჩამოგგავდეს!
ღმერთებო, ოღონდ მე ნურაფრით დამემსგავსება:
ჩემს ნაჭუჭშია შემალული მისი არსება.

XIII

შენი ლალი ღღის გაგრძელება ოდეს გწყურია,
ახედე ზეცას – ვარსკვლავიანს, სოფლურს, საყვარელს...
შენი სიშორე დამაცვილებს სრულად სამყაროს,
რადგან ცა ჩემი სარკოფაგის თავსახურია.

ძილი გძლევს უკვე. ინატრებდი ისევ ბავშვობას?
გესმის, საათმა დაჰკრა ათჯერ, ღამე გამეფდა!
მითხარ, დედიკო ჩემზე მეტად გათამამებდა?
მისგან ვისწავლი ტრფობის გზნებას, ცრემლის დაშრობას!

კუმზერ შენს სახეს – უმანკოა, წრფელი, კეთილი...

მშვენიერია ეს სიჩუმეც – ტკბილი და ფართო.
მე შენ გადიდებ, აღარა ვარ რადგანაც მარტო.

იძინე, იყავ უფლის ჳერქვეშ გამოკეტილი.
უფალი არის სიყვარული თვითონვე, სხვა ვინ?
მისმა სახელმა, დე, დაგვიცვას მე და შენ, ამინ!

XIV

თქვი, დავაშავე, როცა გულის გთხოვე გაყოფა?
გამოჩნდი, თითქოს ქერუბიმი მოფრინდა ბოლო...
არ შემიტყვია შენი მოსვლით სიკეთე მხოლოდ –
ღათრგუნვად მოხველ სიკვდილისა და უარყოფად.

მშვენება იყავ, მწე ობოლთა და სვედავსილთა,
კაცის და ბავშვის ტკბილი შერწყმა, ღველფი, ზმანება...
ამაო ჩანდა მაშინ ღმერთის ყველა ბრძანება –
შენი ძღვენი ხომ უმაღ ჩემსას დაუკავშირდა!

რადგან წლების წინ, როს დავკარგე ფერი და გემო,
ღრომ შემაჩვენა, დამიჩრდილა ბალი და ჳვარი,
მე განვიხვენი, გამოვხსენი სიცოცხლის კარი!

ჩემო ბიჭუნავ, ჩემო ღმერთო, მეუღლეე ჩემო,
ოქრო მაფრქვიე ჟანგიან სკვირს, თუმც მზით ნაფერი,
მე ის მოგეცი, რაც გამაჩნდა – *სუყველაფერი!*

XVI

მეც ტვირთმძიძე ვარ, მხრები ტანჯვის გორებს დანებდა,
რომელსაც საფო ატარებდა თავისი მხრებით...
მე ახლაც მისი ტკივილების შარბათით ვთვრები,

მარადისობის გრძელ გზაზეც რომ ახშიანდება.

მომბეზრებია სვედაკარგულს უსულოდ გდება.
საწერი დაფა და კალამი ინთქმება ლექში.
დიდია ტანჯვა, ნეკისხელა გამხდარა ლექსი,
უცხო სინორჩემ მომცელა და თვითონაც კვდება.

საფოსთვის რაა, გარდასულს თუ ვერასდროს ნახავ –
თუნდაც ლესბოსი მიმწყდარიყოს იმის კარებთან,
თვით ოლიმპიის ხილვაც კი ვერ დააწყნარებდა!

და მე, ღატაკი, საკუთარი სიტყვების გლახა,
შენი ძღვნის ფასად საფოს სტრიქონს გულით ვატარებ:
„ვინც შენ გიყურებს, მე სუყველას ღმერთებს ვადარებ!”

XXI

ჩანს, ღმერთს ვუყვარვარ, რადგან ხისტი ღვედებით მკრავენ,
პირშეუკრავი ჭრილობიდან ღელე მდის სისხლის,
თავზე შემართულ მუშტისგანაც ვერავინ მიხსნის –
შენ ღვთაება ხარ, მე სამსხვერპლო ვიქნები კრავი.

ყოველ დღეს ჩემთვის საკუთარი მოაქვს სასჯელი,
მანც ვჯიუტობ, მოთავე ვარ შინაგან ჯანყის,
თუმც, რაც მხიბლავდა, გახუნდა და სათქმელად არ ღირს,
ტირანულ შექში, რომ სურს გავხდე უფრო დამჯერი.

იყო უფალი, რომ სიბრძავით შემცვლოდა რწმენა,
იყო სიკეთე, რომ წყვიდადად მქცეოდა, შავად,
იყო მშვენება, შეკქნილიყავ რომ მისით ავად,

იყო ბედი, რომ ხრწნა მეყნოსა, დამბოლა ენა,
იყო სიკერაჲ, მომეხოხა ყოველი ადლი,

და – სიყვარული, რომ მიმეძღვნა იმისთვის მაღლი.

XXII

ჩემი ძაღლისადმი

გიშვილე. მითმობ სითბოს, უთქმელს და ძაღლისებურს,
ადამიანურ სულებზეც კი მეტად ანათებ,
ძაღვიმს, გიყვარდე ისე, ტანჯვა რომ არ მანახო
და ერთგულებას მინაწილებ მოსაკლისებულს.

რამ აიძულა ღმერთი, მუდმივ მაღლად რხეული,
რომელსაც ძაღუძს შვებით შობა, ტანჯვით ავსება,
ცოდვის სანაცვლოდ, ტკბილო სულო, ტკბილო არსებავ,
ებოძებინა შენთვის მძაღე ძაღლის სხეული?

თავადი იყავ, იქნებ, თბილი და მგრძნობიარე,
ასე რომ მეყმე! სტვენა-სტვენით ღროღადრო გიწვევ,
არ მთვლი დატაკად, მზად ხარ, ჩემს წინ ტალახში იწვე.

იქნებ ის იყავ, ვინც ერთგულად ველარ იარა,
რისთვისაც სატროფოს დაეწყველა, ავს და ვნებინან?
ძაღლი წევს ჩუმად და ჩემს სახეს ჩაჰკვირვებია.

XXIV

სახლის მარადი მშენებლობით დავიწყველები,
რომელსაც შენი ვნების ქარი გაფანტავს ფერფლად.
დანაიდების კასრი გრჩება ერთადერთ მსხვერპლად,
მარად რომ ავსებს დაუშრეტი ჩემი ცრემლები.

მაგ სინანულით დაგიფარავს ღამის კალათი,
ღლე კი უკანვე შემოაქცევს მშიერ არწივებს...

ეს წყვილი ჩემს ტანს პრომეთესებრ დაანაწილებს —
ერთს ჰქვია „ეჭვი“, მეორეს კი ჰქვია „ღალატი“,

ჩანან ისეთი ნაჯაფარნი და დაღლილები,
კიბეებს ეკვრის ცრემლისა და სისხლის სიშავე,
რომლებიც დემონთ მრისხანების ძვლებით გეშავენ,

ცოდვის მარად ტვირთს მიათრევენ ცოდვის შვილები,
კვლავ აგორებენ დროს აღმართზე, რომელსაც ვძლიე,
დაწყვეტილი ვარ და წყეულსაც მიყვარხარ ძლიერ.

XXVI

ღმერთად დაგსახე, განგადიდებ, აღგივლენ ქებას,
ჰიმნს მოგიძღვნიან შენ რომელსაც ყოველ განთიადს...
სამსხვერპლო ცეცხლს კი, სულ რომ კრთის და დღესაც ანთია,
ზეთი კი არა, ჩემი სისხლის კოლტები კვებავს.

მე, ტრფობის მითით ვინც სიცოცხლის კარი დარაზა,
ყველა ქალივით ვარ უგნური შვილი უძღები...
აბა, კაცები ასეთ კაშკაშს ვით გაუძღებენ
გაცრეცილ გარსზე, ფერგადასულ ცის კამარაზე?

ღმერთის ქმნილება მე ღმერთივით შეგქმენ ხელახლა.
შენ სიყმაწვილეს, ფენიქსებრ რომ მარად იშობა,
მე უშურველად მივუბოძე მარადისობა.

მსხვერპლსაც გწირავდი, ღვთაებრივად რომ არ გენაღვლა:
არ ჩავდიოდი, როგორცა ჩანს, საქციელს საქებს,
შენ, მშიერ ნადირს, გიზიდავდი ღმერთების საკვებს!

XXVIII

ღმერთო, ჰქმენ ისე, რომ დავძლიო ველური გრძნობა,
შენი არსება ჩემს სატანჯველს კვლავ აღიქვამდეს,
ღმერთო, ჰქმენ ისე, რომ ეს გული არ გამიქვავდეს,
ჩემი ზვარაკის საფასურის კვლავ შევძლო ცნობა.

ღმერთო, ჰქმენ ისე, არ დამემხოს თავს ოცნებები,
ჯერაც რომ საბლით მაკავშირებს ნივთთა სამყაროს!
ღმერთო, ჰქმენ ისე, ეგ მშვიდობა რომ არ წამგვარო,
უღრტვინველად რომ აღვასრულო შენი მცნებები!

დე, იყოს ნება შენი, ღმერთო, და არა – ჩემი;
მსურს, ჩემთან იყო, არ მტოვებდე, არ მიმირბოდე,
მე შენს სუნთქვასთან მახლოებს ცრემლის პირბადე.

მხოლოდ შენ, ღმერთო, ატივტივე ჩემს ზღვაში გემი,
როცა ვიდგები სამყაროულ უფსკრულის პირას,
არ დამწვავს შუქი ბნელით მოსილს, ღატაკს და მტირალს.

სონეტები იანისტვის

1

მწუხარების ნეკერჩხალი წვიმაში

ო, მწუხარების ნეკერჩხალი – დაიკო ჩემი,
გაზაფხულისას პირველად რომ შეიგრძნობს ძალას,
თავდასაცავად ბედს ამაოდ უხდიდა ღალას!
ახლა კი სიზმარს თუ შეარხევს ოცნების ხემი.

პროკრუსტესამებრ, ცბიერ რისხვით ვინაც ბრუვდება,
გაგჭიმავენ და შეგახლიან სივრცეს შორეულს,
შეკცქერი რტოებს, დაკრუნჩხულს და ტკივილმორეულს,
შუქს რომ მიელტვის, მაინც მიწას რომ უბრუნდება.

ღიას, ნაღველი ჩემი სულის ბადრაგად იხმეს!
ღიას, არ უჩანს ბოლო გლოვას, ვაებას, წუხილს
და ვნებას, მტლედ რომ დაედება ელვას და ქუხილს,

ღრმად განფესვილა, შინაურად მიიჩნევს სიღრმეს.
ვარ გალუმბული, ყმადქცეული ბალახის, მწირის,
ანგელოზების ყურს მივუგდებ იქიდან ტირილს.

2

უთხარ „მიყვარხარ!“ ამ ბაგეებს, ამ სახეს, ამ ხელს –
ეს ხმოვანება რა რბილია, რა სლაჟურია,
გულისთვისაც და ყურისთვისაც საამურია,
უცხო ენაზე როს „სიყვარულს“ დაარქმევ სახელს.

როს დედაჩემმა თეთრი კაბა დაიმშვენისა,
როგორსაც შენ მწერ, დაღნა, ალბათ, იმავე სტრიქონად,

ჩემთვის ნათქვამი გაიგონა – „კოხამ“ – თვითონაც,
ააგო კოშკი, ჩემთან ერთად, დედაჩემისაც.

შენს სასთუმალთან ხომ მოვრეკე ზღაპრების ფარა?
დღეს შენ მიაბზე, თქვი, კონკიას რა გაუხარდა?
დაუვარცხნიელი რატომ იჯდა, მითხარ, ბუხართან?

მათ უფლისწულის გაბრიყვება ინდომეს, არა?
ის კი მოვიდა, სწორედ ისე, როგორც შენ მოხვალ,
მე შემიძლია, დავიფიცო: „მიყვარხარ!“ – „კოხამ!“

2ა

ვფხიზლდები მაშინ, ქუჩის შუქი როს ოთახს მწყემსავს,
დიდი ხანია, რაც ღრმად სუნთქავს, ჩასთვლიმა კატას...
და იმას ვფიქრობ: ნეტავ, ვინმეს წერილს თუ ატანს?
გადავავიწყდი თუ ვახსოვარ სიყვარულს ჩემსას,

თუნდაც, მას შემდეგ, უიმისოდ როცა ვუქმობდი?
ის კარგადაა. მე სევდა მკლავს არშესაფერი.
მას ჰყავს მშობლები, ძმა... აქვს ბინა, თავშესაფარი,
მე კი – მხოლოდლა მოგონება, სულ რომ ვუხმობდი.

თქვი: ეგ თვალები კვლავ ფიქრობენ ფლირტის დაწყებას?
ძალუძს გუშინდელს დღევანდლის რომ იქცეს თავდებად?
ეჭვი, ურჩხულის თავებივით, რად არ თავდება?

შევძლებ კი წმინდა იურგენივით მის დამარცხებას?
შენი ბარათი რომ აკრთობდეს მაგიდის კიდეც,
იქნებ, ურჩხული საბოლოოდ მიმეხრჩო კიდეც?!

3

სატრფოს სიყმაწვილის სურათები

ო, არასოდეს გადაყარო ეს სურათები,
საკუთრად ვსახავ, ისე მიყვარს, ჩემი ძეგონია...
აი, ეს, თუნდაც – თვალში რისხვა რომ ჩაგდგომია,
ან – ეს, რომელზეც ლორდის მიცქერს ციცქნა ნაკვთები...

ო, დამფრთხალ ყურებს შენი სიტყვა ესმოდეთ თითქოს,
მიმთითებლური კილო სმენის დაშრიტავს კერას...
თუმცა, ძვირფასო, მხოლოდ მასზე ვაჩერებ მზერას,
შენ რომ გიყურებს, დაბნეული, და სითბოს ითხოვს.

მისმა თვალებმა უკვე ძალზე ბევრი იციან!
რომ დაგფარვოდეს ჩემზე გზნებით შუბლის ჭდეები,
მე რომ მკოცნიდნენ ყმაწვილურად ეგ ბაგეები,

ჩავთვლიდი მაშინ, რომ სიცოცხლე ძღვნად მოგიცია.
ის აღარ არის წიგნის ერთი ფურცელი ძველი,
ამოხეული წამრთმევი და მომძღვნელი ხელით.

3ა

შენგან შორს ყოფნა ერთი დღითაც არ შემიძლია.
მე ავად ვხდები, თუმცა, ვცდილობ, მოვზიდო ღვედი...
ჩემს მარტოობას ნაადრევად მახსენებს ბედი,
ბელნიერებას მტაცებს, ჯერ რომ არც შემიცვნია.

ო, მეტრფე დაწვო, მხურვალე ხარ, ვიდრე მე ვხურვარ,
როს მიეკვრები ჩემს მკერდს ნაზად, ო, როდის, ნეტა?
მეტრფე ბაგენო, თქვენით აღრე ტკბებოდა დედა,
მსურხართ, ვცოცხლდები, ვიფურჩქნები, მშორდება ურვა.

ო, მეტრფე ხელი თითქოს პრინცის ხელივით ქროდეს,
ეთამაშება რითაც დაშნას, გამძლეს და დამთმენს...
ბასრი პირები ქედმაღლობას მას წამით ართმევს,

მე, გაზაფხულის წვიმასავით, მეწვევა როდის?
ვერ მოვესწრებით, არ გვიჭვრეტდეს ჩვენ ასპიროზი,
იგივ ღინება გვბანდეს იმავე სანაპიროზე?

4

დაბადებიდან მეოცე წლის აღსანიშნავად

ძნელია ბედი ღარიბისა – რა დამრჩენია?
ან შენ რა მოგცე – ეს ჩამყვება საფლავში დარდად –
ჩემი ლატაკი არსებობის – სიცოცხლის გარდა,
ო, თუმცა, ისიც გაგაჩუქე – დღეს ის შენია!

რომ შემძლებოდა განძისათვის დამელო ფასი,
ქვის ქვეშ დაუფლავდი, დაიცავდა რომელსაც გველი.
ფარჩით მოსილი იქნებოდი შენ მბრძანებელი,
ხოლო მე იქვე ვიდგებოდი მათხოვრის ფლასით,

რადგან, ძვირფასო, ტკბობა არის ყოფნა ღარიბად!
დავიხრებოდი, მოწყალება მიმელო მწირი,
ამაყენებდი, ამბორით რომ აგევსო პირი,

დამიკოცნიდი ჩრდილს ლაწკებზე, ხარბად, სხვარიგად...
თუმც, ვიცი, შენ არ მოგხიბლავდა ჩემი ბივრიტი –
მე რომ მდიდარი ვყოფილიყავ, გვერდს ამივლიდი!

4ა

ნერვებმომშლელმა დღემ შენ ჩემთან არ მოგიყვანა,

ნერვებში მოშლელმა, განძარცვულმა, ბერწმა... ისე კი,
მიტომ შემზიზღდა, შენს გვერდით რომ მე არ ვიწევი,
სიცოცხლემ თავი შენს ტუჩებში არ მოიყარა.

აღელვებული ყურს ვუგდებდი დღის ბოლო წუთებს,
სანამ დაემხო, სანამ დაწდა და გაიფანტა,
მეორე დღეს კი, როს მზემ თავი ამოყო ზანტად,
ვიგრძენ: ოცნება გულს სინათლის სინქარით უტევს.

თითქოს, გხედავდე ან გისმენდე, გკოცნიდე ზღურბლთან,
შენი თვალები აღარ იყვნენ ნაღვლიანიები,
ჩემს ღაწვთა ცაზე ციმციმებდნენ შენი თვალები.

ბედნიერებას გამომხელდა სიტყვები სუფთა!
ამისთვის ვცოცხლობ! არად მიღირს, რას გრძნობენ სხვანი –
ამისთვის ტანჯვა ავიტანე ამდენი ხანი!

5

გამომეცხადე, ოღონდ, ჩუმად! ნადირი მფრთხალი
როგორც იმაღვის, შიმშილისას როს იკლავს ვარამს...
მეც სწორედ ასე გაკურბოდი შფოთიან წკვარამს,
მეჩვენებოდა, გვიყურებდა ბოროტი თვალი.

ასე ხმამაღლა ნუ იცინი! კვდება იები.
ბედი დაგინდობს, მასთან თამაშს თუ ერიდები.
ასე მგონია, დაგვცქერიან ეგმენიდეები,
შურიან ღმერთთა მეშინია შურისძიების.

ნუ მკითხავ, სუნთქვას ჩემს სუნთქვასთან რად აერთებო?
დაე, მეც ისე, ვით – მხევალი აღმოსავლელი,
ვეყვიროდე: „ღამით უღრანი მაქვს გამოსავლელი –

საძულველ ბატონს ვეხუტები, მჭლე მკლავებს წყეულს,
მოვალეობის მოსახდელად ვიხურვებ სხეულს!
მე კი მძულს, მაგრამ თქვენ დაინდოთ უნდა, ღმერთებო!“

6

ორი წელია, შენს გარეშე ცხოვრებას ვცდილობ,
ამ უბედობას თუ ცხოვრება ჰქვია სახელად!
ცხოვრება მხოლოდ გაძლებაა, ტანჯვის გამხელა
იმ ცისთვის, უკვე გაფერმკრთალდა რომლისაც ტილო.

ვინ დაგვატენა რისხვა, თავს ყრუდ დანადინები:
შენ ტუსადი ხარ, მე კანონს ვერ ვუთხარ დასტური.
რარივ დამძიმა უცაბედად, ხედავ, სასწორი:
ჩვენს შორის უხმოდ ირხევიან მხოლოდ პინები.

ღირს, თუ სასჯელად ღმერთი ზამთარს მოგვივლენს მძიმეს:
ღვთის გაზაფხულის ღირს წინასწარშეგრძნობა ისევ,
ვით გულყვითელა, კვერცხში მყოფიც რომ იშვერს კისერს

და საჟიჟივოდ ემზადება, მოუხმობს იმედს.
რწმენით აღსავსე, ველოდები შეყრას ხელახალს...
ამ გზაზე, იქნებ, ჩვენს მფარველად ღმერთიც გვენახა.

7

ამ სამყაროში – უფერულში, უსინათლოში
მივდივარ, აქ დრომ დედამიწას მზე დააცილა.
საკინძებზე მწუხარების თოვლი მაცვივა.
შენ ხარ ცოცხალი. შენ ვერავინ გაოვებს გათოშილს.

მარად ეული, სიმარტოვეს შევიცნობ ახლა.

მარად მშიერი, ახლალა ვარ ფლასით შემკული.
მე მოსავალიც ოხრად მრჩება, ძნებად შეკრული –
შენ ხარ ცოცხალი. ღმერთთან თავის მოგიწევს დახრა.

დღე ჩემეული რისხვა არის, ნთხეული ლავად,
ლაძე კი – ლოცვა, რწმენის კვარი, რაიც სულ ქრება.
შენ ხარ ცოცხალი. მაშ, ოცნების მეც მაქვს უფლება!

მე ვტირი, ვტირი, რადგან გულო, შენ მყავხარ ავად.
დარდი შემიპყრობს მაშინ, როცა შენს სახეს ვუმზერ.
ეგ ცხელი სუნთქვა, როს გვირგვინად მეხურვის გულზე.

8

უსამშობლო გული ძნელად ასატანია:
ყურიც არ არის, ამ გლოვას რომ მიაყურადოს,
ამ მღუმარებას – უსამანოს, უძღებს, უვადოს.
მხოლოდლა მოთქმა, მხოლოდ ყინვა და ზამთარია.

უცხო მზერაში არარაა, გარდა ქრობისა,
თუ ბაგედ ყოფნა ურჩევნიათ და ყურად – არა.
ღუმს მწარე ბაგე, როგორც სოფლის ღუმდება შარა,
ღუმილის ზღვაში ჩაქცეულა ჟამი თრობისა.

მოძრაობს პირი: ნუგეშსა სცემს, ვაებას მალავს,
სხვისი დარდი რომ აატირებს, სხვისი გოდება,
და გული, სხვათა თანაგრძნობა რომ აგონდება,

თავისი ტანჯვის ქიმზე ცრემლიც დაუშვებს ალამს!
იმაზე მეტიც რომ მეტვირთა, ახლა რომ ვზიდავ,
ვერ მომწვდებოდა ანგელოზის ხელიც კი ციდან!

9

როს რწმენის ძალა სასწაულს კვლავ ატყორცნის მაღლა
და კვლავ გვეწვევა ერთად შეყრის ბედნიერება,
შეამჩნევ იმას, რისი ზილვაც ჯერ არ გენება,
შეეჩვიე და ცელქ ბალღით ვერ ხედავ ახლა:

დამეტყო ხანი: ძველი წლები, ძველი დროება
და საბოლოოდ გაბატონდა თმაზე ჭალარა,
ნაოჭთა ალყამ უპეები უხვად დაღარა,
შიშს ამჟღავნებენ მოცახცახე სიმბოლოები.

თუმცა, არ ვფიქრობ ჩვენს გაყრაზე, კვლავ ვრჩები მშვიდი,
მტირალსაც მჯერა, ბედი კვლავ რომ დამიბრუნდება,
ამგვარი გრძნობა არ გაქრება, არ გახუნდება.

როცა ღვთის ხელით ცისარტყელის იღება ხიდი,
ერთურთის ხილვა და შეხება კვლავ აგვათრთოლებს,
ვით გაწყვეტილი ყელსაბამის პაწია რგოლებს.

10

Credo

ჩემი ხელობა არ გეგონოს წყევლა ან კრულვა.
ნუგემის წყაროდ მოვწანწკარებ და არა – წყევლად,
ჩემს საბრალო სულს მე ვუდგავარ უბრალო მხევლად,
ვიწრო ჩარჩოშიც არ დამცდება კვნესა და მღურვა.

ხოლო ტანჯულთა ისტორიის წიგნს რაც ეხება,
მასში მოხვედრა მიეტევოს სუყველა ცოდვილს,
მეც მის კიდეზე ისევ უხმოდ განვაგრძობ ლოდინს,
პროტესტი ბაგეს არასოდეს დაეღეჭება.

გამეტებით და გამუდმებით, როგორც ბელურა
სარჩოს დაემებს ნარჩენების გროვაში, ისე
სიყვარულს ველტვი – მეჯახება სამყარო მქისე,

ტრფობას ვესწრაფი, ჯერაც რომ არ დაბერებულა,
ამით ვსულდგმულობ და ჯერ ისევ ვრჩებით ბავშვებად.
მე მიყვარს. ჰოდა, ვისაც უყვარს, ის გადარჩება.

11

ვით ამოზრდილი ეგვიპტური რელიეფიდან,
შენ ხარ ფიგურა – გარდაქმნილი სურვილი ჩემი,
უცხოოდ მოჩითულ სანახების შენა ხარ მსხემი,
ცისა, რომელზეც შენი სახე ხომლად ეკიდა.

ირისისფერი, ფირუზისფერ ნისლით მორთული,
ქათქათა კანთან დარჩენილი სწორი თმა მარტო,
თავის სიმძიმით დაწნეხილი მხარ-ბეჭვი ფართო
და ბაგე-კბილის ნუბიური მსუყე კონტური.

ყველაფერ ამას ინატრებდნენ ძველი კულტები:
მიწად დამხობილს, შენი მზერით გული წამართვი,
შენს კერპს ვცემ თაყვანს მე – ახალი დროის წარმართი.

სულ შენ გეკუთვნის ეგ ძვირფასი ატრიბუტები:
მშვენიერება, სიყმაწვილე, ბაგე-კბილი და
შენი თვალები, რომ მიცქერენ მაგ ღუმილიდან.

12

გვა

ცეცხლისხმლიანმა ანგელოზმა როს დამიმძევლა,

არც რა დატოვა ცას მიბჯენილ ჩემი კიბისგან,
მან უსასრულო ტანჯვისაკენ ერთხელ მიბიძგა
და პირველქმნილი შემასწავლა ლოცვა და წყევლა.

შენ ამბობდი, რომ მტვერი მკვებავს, უკვე წლებია...
მეხნის დაცემით გულისცემას როცა მიქრობდი,
მონანიების წამებშიც კი ტკობას ვფიქრობდი
და სხვა ედემზე არასოდეს მიოცნებია.

მე ვწევარ, როგორც ტანჯვისა და ნახშირის გროვა,
გარდასახული უსახობა, სამყაროს ქაფი,
სხვისთვის უთქმელი მარტოობის წვირი და ლაფი,

ადარც ცეცხლი ჩანს, ადარც – ხმალი, არ – შეველის გლოვა,
ყველაფერ ამის მე შემემძლო მაინც შენახვა,
ბედნიერი რომ ყოფილიყავ... მაგრამ შენ არ ხარ.

13

ჩემი საღამო მარტოობით გინდა დაღვენთო.
ეს კაბადონი შენ დატოვე ხომლის გარეშე,
თვინიერება რომ გაცვალო სითამამეში
და პანიკური ძალადობა რომ გააღმერთო.

შენ უფლება გაქვს, მეგობრისთვის ფიცხლად უტევედე,
მე კი – იმისი, მივტიროდე ბებრულად ედემს,
ათასი კლანჭით, როგორც სურო, ჩამკვდარი კედელს,
ბედნიერებას შენგან ვწოვდი და ვისრუტავდი.

გული საღხენად აჩქარებით მიმავალს გხედავს.
ტკბილი ტუჩები დამედვრება ბაგეს გრძნობებად...
შენა ხარ ბიჭი, დედის სახლს რომ ემშვიდობება.

მიყვარდი, როგორც იოკასტეს – ცოლსა და დედას,
მიყვარდი, ოღონდ აღურევლად ჯიშის და სისხლის,
შენკენ დევნილი გული ბედის არჩევანს ისხლეტს.

13ა

ჩამოქცეული ვიყო თითქოს მიწად ცარგვალი,
ან – ცხელი ლავა, ნიაღვრებად გადმოძვრინავი,
ხოლო ჩამქრალი – გაყინული და გამყინავი...
მეც ვულკანივით არჩევანი მერგო ამგვარი.

შენ შეგიერთდი, ტირილისგან ღონემიხდილი,
შენგან მოწყვეტით – ყინული ვარ, ელვით ნაფერი...
ნუთუ ტანჯვა და უარია ეს ყველაფერი?
სწორედ ისინი უარყავი, როგორც სიკვდილი.

ადრე შენი დღის ყველა წუთი მე მეკუთვნოდა.
ახლა წამების მეოთხედად თვალს მიგუბდები
და ჩემგან ლალი ფრინველივით თავისუფლდები.

ამხელა სივრცეს მარტოობას გული უთმობდა.
მაგრამ, ო, არა, წყვილადს უარს ვეუბნები და
ვულკანის შუქი წვეთავს ჩემი ჭრილობებიდან.

14

არ ეპუები, გულო, სასტიკ უღლის ტარებას,
დროს ეტოქები, დროს – მრისხანე მბრძანებელს, დარდო,
ოდესმე როცა მის პირისპირ დარჩები მარტო,
მოახლოებულს მოერევი გამყინვარებას?

მღულარე გულო, ვერ გასწავლა ჭკუა ვაებამ,

წლებმა ვერ შეგძრა, ვერც ხუთმა და ვერც – ათიოდემ,
გსურს, მოახლებულ სიკვდილამდე ასე ღვიოდე,
სინორჩის შუქი არ გაგიქროს, გწადის, ღვთაებამ?

ჩემს ხორცს შლის ტანჯვა, ვნებათ კოცონს დრო ემტერება.
ცოტა ყვავილი შერჩენია სიცოცხლის კბოლეს,
გულო, მაშინაც გეყვარება, მოკვდები ოდეს?

სიყვარულისთვის ყველა ცოდვა მიგებულება.
გაიკვირებთ და ისრული ეკალ-ბარდები
და შენც აჩრდილთა სიბნელეში აელვარდები.

15

ქალებო, წყევლით თქვენი მოდგმა დანაცრულია.
ნუ მჭვრეტთ, როგორც მტერს, მამრობითი სქესის ლაწირაკს...
სიყვარულისთვის ყველა ქალი თავსაც გაწირავს,
თუ შეელევით იმას, რაც მე ასე მწყურია?

ქალებო, დებო, ბედისწერა არც როს იცვლება,
ორმაგი კვდომა მისი ნებით მხოლოდ ჩვენ გვერგო.
სიცოცხლის მიჯნა როგორც უნდა გმანო და ხერგო,
თუ არ გავფრთხილდით, ჩვენი სქესიც გარდაიცვლება.

ქალებო, ვისაც თქვენი ხვედრის გალანჩრებთ შიში,
თქვენი არსება ბნელ ხაროში ბედმა გაშოტა,
თუმც, სიყმაწვილე იბადება თქვენი საშოდან,

მე იუპიტერს მივბაძე და თავიდან ვიშვი.
ჩემი სურვილი დაეშვება ზეცის ჩეროდან.
ჭეშმარიტება გაფანტულა, რისაც ძვეროდა.

16

არ მინდა მოთქმა. არც ისა მსურს, შეკითხვებს ვსვამდე. სიტყვებს, საბრალოდ რაც გარდამქმნის, არ მსურს ვისმენდე. ღამით ვიცი, რომ მატყუებდი, თუმცა, ვითმენდი. ჩემი ჩივილის კვამლი აღარ ააღწევს ცამდე.

დავადასტურებ ჩემს ეჭვებს და თავზე დავხარო:
აჰა, ტუჩები, საიღუმლოს რომ ამჟღავნებენ!
აჰა, თვალები, მშვენიერი, მაგრამ თავნება,
რომელთა კოცონს თითქოს გზნება ერთვის ახალი.

არ მსურს ცრემლებით სულის ბორგვა და გაფიცება. მადლობას გწირავ თანაღმობის პირბადის მქსოველს, სიყვარულის წილ მე სიჩუმეს ვაგებებ ყოველს.

უბედურებას, არ მსურს, ვჭვრეტდე, დღეს რომ იწყება. თავს მხნედ მაჩვენებ. მეც მსურს, სიტკბოს ზეცად მიყვავდე, ყრუ-მუნჯიცა და უსინათლოც მინდა მიყვარდე.

17

ვიცი, ერთხელაც, მსგავსი ტანჯვით შენც დაიხჯები, როს სარკე სულის გაყალბებულ ასლებს გირიგებს, შენს სახეს აჩენს, რითაც მწარედ გაგაქილიკებს, განგაჯადოებს, თითქოს თავით გახლის ხის ჯებირს.

არ მითხოვია: „ყრმობის კოშკი, ბედო, დაუმხე!“
მანც ემხობი მონურ შიშით და გაყუჩებით,
მთვრალი იერით, მტკნარი სახით, მრუდე ტუჩებით,
გაზვიადდები და შენს ტანჯვას არვის გაუმხელ.

ჩემი აჩრდილით მაშინ სახე დაგემტკვერება,

მოგონებათა ხიდს გასცდება ღროჭამის გემი,
ისე მზაკვარი, ვით ერთობა – შენი და ჩემი.

შურისძიებამ ვით მომგვაროს ბედნიერება?
ჩემო პატარავ, სინარულით განა ვივრგვინებ,
თუ შენს ნორჩ თავსაც დაამშვენებს ეკლის გვირგვინი!

18

მოწყალე ღმერთო, შენ გამიხმე ამ სამყაროდან!
შენს მოწიწებას მე შევწირე გაბედულება,
და რადგან თავი ცუდ გუშაგად არ მეგულება,
ვერ დავეხსნები მზეს, რომელიც თავს დამხაროდა!

იხსენი, ღმერთო, ქარიშხლისგან სულის მდგმურები,
მიხსენ ღამისგან, ჯოჯოხეთურ წვით რომ ანათებს,
ტანჯვისგან, ვიდრე ჩემს სხეულში მოიკალათებს...
რა კქნა, უფალო, მგონი, ცუდად გემსახურები.

ველარ შეიძლო ზეაღმართვა სულმა ვნებულმა,
უშენოდ ძალა როგორ უნდა გამოვაშუქო,
ან სასოება სხვებს როგორღა უნდა ვაჩუქო,

მიტოვებულმა, საბრალომ და დამდაბლებულმა?!
შენ მე წამგვარე ის, რაც მუდამ მემახსოვრება,
და მოითხოვ, რომ მის გარეშე შევძლო ცხოვრება!

19

შენ, ალბათ, ფიქრობ, ტანჯვა ჩემთვის ყველაფერია,
შენგან რომ მმიჯნავს. სინანულით დავტირი იმ დღეს,
მაგრამ მე ჩვეულ მარტოობის შევერთვი სითხეს –

უნაპირო და ცივ სტიქიას, ვით წყლის ფერია.

მე შენ მწყურინხარ. ვარ ძალღივით ერთგული ფიცის.
ღმერთო, დიდი ღრო იმისათვის მიბოძე, ნეტა,
რომ კრისტალურად შემძლებოდა იმ დღეთა ჭვრეტა,
იმ ძალის განცდა, უარყოფამ რომელიც იცის?

ვერ გავცვლი იმ წუთს შენს წამებზე, ვერ შევძლებ, ვერა,
ბნელ ასრულებას სურვილების რომ გთავაზობდა.
მეკლინებოდა ისევ ის დღე. ღამე ბრაზობდა

და ჩვენს მომავალს იტაცებდა კვლავ ბედისწერა.
შენ გელოდება მსუყე ტეპობა, ამბორი ცხელი,
მე – მარტოობა, გულცივი და ცასავით ვრცელი.

20

ბრმა და კოჭლი

მე მარტოობის შევსვი ღვინო. განა მეწყინა,
რომ გამომათრო! აღვიქვამდი სივრცეს ალღუმად,
მარტოსულს მსურდა, ტრიუმფულად და ქედმაღლურად
ღმერთის წინაშე ჩემი ძალა გამომებრწყინა.

თუმცა, სინათლე შენ და უფალს მოგქონდათ სოფლად.
მე აალებულ მაყვლის ბუჩქს ვით შევედრებოდი –
„გთხოვ, შემიცანი!“ – შენს ნორჩ თვალებს ვევედრებოდი,
შენ იმად მჭვრეტლი, რადაც მე არ მეწადა ყოფნა.

ამ ტანჯვის შემდეგ, იქნებ, ღმერთი მაძლევდეს ნებას,
შენი ოცნების ხატსახისა გავხდე მწირველი,
რომ შეგვძლებოდა სიყვარულის ნათელმხილველებს,

ჩვენში ჩვენივე აღმავლობის ვწვდებოლეთ ვნებას.

თუ ჩათვლემ, ჩემთვის ეს იქნება ტრფობით ნათლობა –
მაშ, აიტანო, ეგებ, ჩემი უსინათლობა!

21

ეროსი ჩემს გულს უცებ რომ არ შემოსჯარვოდა,
როგორც მგლის ხროვა, საღერღელს რომ აუშლის თავლა,
მიჯნურს ვნებისთვის შემძლებოდა მე გვერდის ავლა,
მორჩილის კაბა გამომეჭრა ველურ ჯვალოდან,

ჩემი ძალა რომ ქცეულიყო გამოსხივებად,
გადიშებაზე უარის თქმა რომ შემძლებოდა,
სიბერის ტიკი შიშისაგან დაიცლებოდა,
გადიქცოდნენ ლოლოები მზინავ მიძივებად,

შევიქნებოდი ჩემი ლტოლვის მაშინ მთმობი და
გაქარწყლდებოდა აპასფერის კვლავ თავდებობა,
მაშინ წანწალიც ტანჯვის გზაზე გათავდებოდა,

მაშინ სხვა გრძნობა იშვებოდა ჩემი გრძნობიდან,
მე ვიქნებოდი უწმინდესი პატივის ღირსი,
მეცხოვრა შენში ანუ – ღმერთში, გამეგო მისი.

22

მე შენ მიყვარხარ, ჩემო ბიჭო ვარსკვლავთვალება,
აჩრდილის მსგავსი, თუმცა, უკვე მიყვარდა ადრე,
ვინაც იცოდა შიშნარევი სიფრთხილის ყადრი,
ვინც ჩემით მიხვდა თავის ფასსა და ბრწყინვალებას.

ადამის მოდგმა ღმერთებმა რომ მთლად არ გაწირონ,
მადლს ანიჭებენ. ვიყავ მხოლოდ მებაღე შენი,

შენი ნაყოფის ნერგში უკვე ღიოდა წვენი,
მე ნიადაგი შევურჩიე მხოლოდ საჭირო.

გამოცდილება გაიშალა მფეთქავ ყანებად.
სული და გონი კი ახარე მზესა და დარში,
მაგრამ შენ მაინც ისევ იმ ტკბილ ყმაწვილად დარჩი.

მას კი, ვინც ახლა შენს დიდებას ეთაყვანება,
ალკიბიადე, შენ არ უნდა უყვარდე ოდენ,
არამედ შენში – ბრძენ სოკრატედ მეც უნდა ვთროოდე.

პაულა ფონ პრეზიდენტი

ელეგია თანალმობის შესახებ

შენ, დახმარების მსურველი ვინც ხარ და ქრისტიანად გეგულის
თავი,

თუ არის შენში თანალმობის ძლიერება და სიყვარული
თავგანწირული?

თუ გსურს, მგლოვიარს გლოვის ღამით დაჟინებით არ უჩინო,
რომ მისი მოთქმა და ნაღველი უმცირესია, რომ შეცდომაა მისი
ნაღველი,

რომ მისი წილი სიღარიბე სასიხარულო განძია და სხვა
არაფერი?

მაშ, არასოდეს ყოფილა შენთვის მისი ტანჯვა და ნაკლულობა
ზედმეტი ტვირთი?

არ დაგლო ვალად, არ მიგითითა, რომ შენ იყავი ნაბიჯნელი,
უსიყვარულო?

მტირალთან ერთად მისი ცრემლების თავწყაროში თუ
ჩაძირულხარ,

უბილიკო და კუბრისფერი მისი ვაების უცხო გალაგნის
გულისგულში თუ ჩაგიხედავს,

ღრმა სიყვარულად გადმოღვრილი გულით, გულწრფელად, მასთან
ერთად თუ გიგლოვია,

როცა საშველი აღარ იყო, გამქრალიყო ყველა იმედი?

ყური დაუგდე თუ არა მოხუცს, გაუთავებლად რომ საუბრობდა?
და მოთმინებით

თუ მოუსმინე, მიტოვებული ქალიშვილი სიყვარულზე
ნაღვლიანად როგორ მღეროდა?

შენ, ვინც ყოველთვის მზად იყავი ხალისიანი ხუმრობების
ასატაცებლად,

თუ გარდაქმნი შენი სული მოვაგლახის ტანჯულ სულად და
თუ იდექ მისი მწუხარების წინაშე ისე ხელეგაშლილი,

როგორსაც იგი არ მოელოდა?
თუ დაგინახავს კანკალით და ცახცახით სავსე ფორიაქი იმ

ბავშვების გამოხედვაში,
უსიყვარულო სახლში რომლებსაც სულს ართმევდნენ და
ანაყრებდნენ შურიტ და ღვარძლიტ?
თუ მოუყარე მუხლი დამფრთხალ, შეშინებულ იმატ მშობლებს და
შენი უსაზღვრო თანალმობიტ კვლავ იმედი თუ ჩაუნერგე?
მჯდარხარ თუ არა სათუთად, ჩუმად, დავიწყებული პოეტის რუხ
და მტვრიან ოთახში,
ღრმად გულში მისი დამფასებელი? რათა ჟამთასვლიტ
გახუნებული
ნაყოფები მისი შრომისა, ყინულოვანი მღუმარებით დამძიმებული,
მზის გულზე დიდი მონდომებით გამოგეტანა?
თუ შეიცანი გარდაცვლილში, მიმწუხრის ნისლმა რომ მიითვისა,
თუ შეიცანი მასში შენი ძმა, თუ დაიტირე ის ერთგულად,
მშობლებთან ერთად,
სახლში, ღამიტ რომ დაცარიელდა და დარჩა მხოლოდ
ხმამაღალი სიცარიელე?
თუ დაიტირე იგი ისე, რომ სასაფლავს კარიბჭესთან არ
დაგიფერთხავს
სამგლოვიარო ნაღველი და სასწრაფოდ შენს გზას არ
გადგომიხარ ისე უგრძობლად და ისე ცივად,
სამგლოვიარო ბაფთიტ, გვირგვინიტ ცრემლებიდან თითქოს თავი
გამოგესყიდოს?
სიამოვნებად ხომ არასდროს წარმოგისახავს შენ მორჩილება
უსასრულოდ მარადიულ ნებაში ღვთისა,
როგორც იაფი და მსუბუქი, რაღაც აქვე მდებარე ნივთი,
მაშინ, როცა ის არის მძიმე, არის საზარი, უკანასკნელი და
საშინლად ამაღლებული,
და სასიკვდილოდ გაუვალ ტევრში მიმავალი უმძიმესი გზიტ
მოიპოვება?
მაშ, მოიძიე, კარგად მოჩრხიკე, აღმოაჩინე და არ დაკარგო,
აღამიანო, მონათლულო, გამოსყიდულო, განძი ნამდვილი
მორჩილებისა,
სხივდაფენილი სიხარულისა, რათა იქმოდე იმას, ოსტატმა რაც
გვიანდერმა,

უღრტვინველად დაცლიდე კათხებს, უკვე მწარედ რომ
 შემართულან და მოგელიან,
 ფეხმოუღლეულად განვლიდე ტანჯვის ქვეყნის ბილიკებს,
 დაგვემილებს სამარადისოდ.
 მაგრამ იცოდე, თანა-ლმობა ვისაც გებოდა, ვინც ლატაკთ
 მოძღვრავ,
 შენი თავი უფლის ნებას შეუთანადე.
 იცოდე, უფლის ნება ის არის, რომ შენ ცხოვრობდე უცხო
 ტანჯვაში,
 ცხოვრობდე მარტო, ნუგეშის ყველა წყაროსაგან თავისუფალი,
 რათა უწყოდნენ მგლოვიართა: აი, აქ არის ადამიანი, ვისაც
 ვუყვარვართ.
 იყავი სისხლი სისხლთაგანი სიღარიბისა, იყავი ხორცი
 ხორცთაგანი ღალადისისა!
 როგორც მრავალთა ცოდვებისთვის ჯვარს ეცვა ერთი,
 ისე გაეკარ სასოწარკვეთილ ადამიანთა გაუსაძლის
 ტანჯვა-წამებას,
 დაე, ლოგინად ჩავარდნილი ავადმყოფების ურვა-ვაებას
 მიელურსმე სამარადისოდ,
 და არაერთგულ, მოღალატე სულებთან ერთად მორჩილად შესვი
 წამების ძმარი,
 ჩაწევი მკვდრებთან ერთად კუბოში და ჩაეშვი განსაწმენდელში.
 ამის მერე კი ამოყვინთე ჭეშმარიტი იმედის და რწმენის
 ნათელში.
 იყავ ნუგეშით სხივმოსილი, როგორც ვარსკვლავი, უწმინდესი
 სიხარულით გაბრწყინებული.
 უძნელესია თანაღმობა, ხოლო სიკეთის დიდი ძალის შეთვისება
 დიდ ღროს მოითხოვს,
 სასიამოვნოდ და სასურველად როდი მოსავს სიბრალული
 მანუგეშებლებს.
 ჯერ შენ ტკივილის მთელი სისავსე გაბედულად უნდა
 იტვირთო,
 ჯერ მწუხარების დარბაზში გელის ერთადერთი საცხოვრისი,
 რათა „მე“-სგან გათავისუფლდე,

და შენთვის მხოლოდ ამის მერე გაიფურჩქნება ის სიყვარული,
შენი სახელი რომლისთვისაც გავალდებულებს,
შენ, დახმარების მსურველი ვინც ხარ და ქრისტიანად გეგულის
თავი.

ელეგია მარტომყოფისადმი

შენ, მიწურული მიმწუხრის ჟამს ქუჩები რომ სავალს ვითმობენ,
აჩქარებით რომ მიემართები მარტოსული შენი ბინის
მიმართულებით
და კიბეს ავლი და გასაღებს საკეტს მოარგებ და ცეცხლი რომ
აბრიალდება,
და სარკმლები რომ ჩაირაზება და თაროდან რომ წიგნს
გადმოიღებ
და რომ გადაშლი სწორედ იმ გვერდზე, რომელმაც გკითხა
რაღაც ისეთი, რაც შენ მთელი დღე არ გასვენებდა;
და როცა ღამის სივრცეებიდან, მღუმარების ხმამაღალი
ნაპრალებიდან,
შენსკენ მკვრივი წყლის ნაკადები მოირღვევიან
და მაგიდაზე გართხმულ ფურცელს დააცქერდები
და მაგიურად დაიკლაკნება, თითქოსდა ვნებდე იმის სითეთრეს
ასო-ნიშნებით, მას ტანზე რომ ალებეჭდება;
და კალამს როცა მოიმარჯვებ, პირველ სიტყვას ვიდრე დაწერდე:

შენ, ბედნიერო მარტომყოფო, გახსოვდეს ერთად შეყრილთა
ხვედრი,
იმათი ხვედრი, ვის ირგვლივაც მუნჯი კედლები არასოდეს
ფართოვდებოდა,
მიუხედავად იმისა, რომ ფიქრობდნენ და მრავლდებოდნენ, სულაც
კვდებოდნენ;
იმათი ხვედრი, ვის ირგვლივაც საცხოვრისში არ მთავრდება
აღიაქოთი,
ვისაც სხვებისგან გასარიდებლად და დარდებისთვის
თავმისაცემად ნება ეძლევათ მაგიდასთან მხოლოდ სადმე
კუთხეში სხდომის,
ვისაც, მშვიდად რომ დაიძინონ, როცა ღამდება, საკუთარი
საწოლიც კი არ გააჩნიათ;
ვისი ცხოვრებაც ხველებებით და შეყვირებებით გარემოცულა;

ხვედრი იმათი, ვის ირგვლივაც გაუთავებლად ზუზუნი, კენესა და
ქირქილია,
მაშინაც, როცა მუშაობენ და მაშინაც, როცა თავს მიდებენ
დასასვენებლად.

არ დაგავიწყდეს შენ ისინი, რომლებშიც მწველ ცეცხლს,
მსოფლიო ხანძარს და სიმხურვალეს ყოველდღიურად ღმერთი
ანშობდა,
რადგან ვერ შეძლეს მათ ძვირფასი გულმოწყალების, ნარჩევი
განძის,
სიმარტოვის თავმოყრა და გამოყენება.

შენ, ხელმწიფეო, ვინც მდიდრული სავარძლებით და
ტახტრევენებით გარემოცულხარ,
არ დაგავიწყდეს შენ ისინი, ვისაც ერგო ციებ-ცხელება, და ვისი
ბოდვაც
დასაძინებლად მიმავალი მთვრალი კაცის ხმაურიან ბუტბუტს და
ბურღლუნს დამსგავსებია,
არ დაგავიწყდეს მომაკვდავნი, რომელთათვისაც სამყარო უკვე
ბინდმა მოიცვა,
ამ დროს კი მათი საწოლის თავთან მფარველი ქალის პატარები
ბურთს თამაშობენ.

და ჯერაც ისევ დაუღვინებელ შეყვარებულთა ხვედრიც
გახსოვდეს,
მათ ხომ არასდროს ღირსებიათ არც ადგილი, უცხო თვალთაგან
დაცული და გარიდებული,
არც – სიმყუდროვე ერთმანეთის მოსაფერებლად, და ამიტომაც,
თავიდან რომ სათნოები, სუფთები იყვნენ,
უსირცხვილონი გახდნენ მერე განმარტოების გამთანგავი
წყურვილისაგან.

შენ, ბედნიერო მარტომყოფო, ამ ყველაფერზე რომ იფიქრებდე!
ო, მუხლმოყრილი მადლობას რომ ადავლენდე, და უმაღლეს
მორჩილებაში
დაიმძიმებდე შენს თავს ამ შრომის მანათობელი, ელვარე
ტვირთით,

რაკი გიბოძა მან, უფალმა, მარტოყოფნის ბედნიერება
და ყურადღების მოსაკრებად ხელსაყრელი პირობები, სიბნელე
და სიწყნარე მოგცა,
მაშინ უფალი, ძღვენს რომ საზღვრავს და ანაწილებს,
შემოგთავაზებს ყველა იმ განძს,
მას რომელიც კეთილად უჩანს. მაგრამ იცოდე,
რომ ის სასტიკად გამოგცდის და უმკაცრესი საზომებით
აგიზომავს ყველა ნაბიჯს და,
შენ, რომელსაც ესოდენი განძი გიბოძა,
როცა დადგება განკითხვის დღე, მრისხანედ გკითხავს,
თუ გაამრავლე უძვირფასესი მისი სიმდიდრე, თუ შემატე ამ
სიმდიდრეს რამე ახალი.

ელეგია შორეთის შესახებ

შეხედე, როგორ ანათებს და გიხმობს შორეთი,
აელვარებულ-აჟღერებული,
და – მოსმენილის ლაჟვარდისგან სხივმოფენილნი – სივრცენიცი,
დრონიცი
ფართოვდებიან დიდებულად და მოელიან, რომ შენი ნავი ერთ
მშვენიერ დღეს
მის ნაპირებთან გამოჩნდება, მის მიწასთან დაუშვებს აფრებს.
შორეთი შენთვის მზადმყოფია. ოვალები კონტინენტების,
მოციმციმე ქალაქების ლაბირინთი და ყველა ტაძრის ოქროს
სიბნელე,
დინჯი მთები და მოხმაურე წყლის ნაკადის იღუმალება;
მთის ქანები და ცხოველები, მცენარეები – გაგონილი, არკი
ნანახი,
ათასფერად და მოციმციმედ ნაოცნებარი, სიყრმითვე ერთობ
სასურველი და სანატრელი,
შეხედე, როგორ მოგელიან. ყვავილებით შემოწნული გვირგვინების
იალ-კიალი,
ნათება ცივი ბროლისა და სიშორეში დაბადებული
თვალი ელვარედ შედინლულ ჩიტთა, შენთვის არიან შენახული
მას მერე, მიწამ
რაც ნადირი შვა, ყვავილები აღმოაცენა. ვით მორთულობა შენი
სულისთვის –
რამეთუ სული იცნობს მოლოდინს – აბათილებენ ერთურთს
ნათელნი.
ღიას, ისინი ახლდებოდნენ ყოველთვის შენთვის, რაკილა მოსვლა
დაგაკვიანდა.
მოსავლის ჟამი, მერე ჟამი მისი ალების, დაბადება და
კვლავდაბადება,
შორეთში შენთვის აღსრულდებოდა, რათა მხურვალე აღტაცება
დაუფლებოდათ
შენს თვალებს, როცა, ბოლოსდაბოლოს, მზერა მისკენ

მიგექცეოდა.
 მაგრამ შენ როდი გაემგზავრები, გახსოვდეს ეს და კმაყოფილი იყავი ამით!
 არ აღიმაღლო გოდების ხმა, ღმერთს არ ეურჩო.
 ერთისთვის არის დადგენილი, ის ერთს ებოძა,
 შორეთი, მარად სასურველი ოქროსა და ლაჟვარდების
 მოსახილველად.
 შენთვის კი იგი აკრძალულია, რამეთუ, აბა, საიმიხოდ რა ნიშანი
 არსებულებო,
 რომ შენ, რომელსაც გიყვარს იგი, ჯერ არ გიხილავს?
 შენ, მოთმინებით აღსავსეო, შენია მცირე ეს ქალაქი, სიყრმით
 ნაჩვევი,
 და მანლობელი ტყეც შენია, და – ნამდებით დაბურული, უკუნი
 ღამეც.
 შენია ფართო და ნათელი და ტრამვაის ხმაურით სავსე
 დედაქალაქი,
 გარეუბნის მატარებელი ორ საათში რომლამდეც აღწევს.
 გორაკი, ხშირად რომელსაც ლაშქრავ; შენთვის ნაცნობი
 ადგილები, სიძველეები;
 ან, ვთქვათ, ეული ბილიკი ველად; მოჭიკჭიკე ნაცნობი ჩიტი.
 და საბოლოო სასწაულის მოლოდინში რომ ბერდები, ესეც
 შენია;
 თმა, ნელ-ნელა რომ ჭადარავდება; უკვე მუხლებიც ნაბიჯ-ნაბიჯ
 რომ უძღურდება.
 ხოლო ბევრს ფლობენ სხვები, მდიდრული მანქანებით
 მოგზაურები,
 თავის სურვილებს მიცემულები, თავისი თავის ბატონ-პატრონი.
 დიახ, ისინი აღპებიდან ზღვისკენ თავქვე მოგრილებენ;
 მოუნდებათ და იტალიკური ქალაქებისკენ ჰაეროვნად
 გადაუხვევენ.
 ო, რა თქმა უნდა, მათ ახარებთ გალაკული კუბეც
 ოვალურძარიანი ამ მანქანების.
 რაც შენ ასეთი მონდომებით გიოცნებია: ვთქვათ, რომ გეხილა
 ერთხელ მაინც

ოქროვანი ლეგენდები მოზაიკების, მათ მოუხილავთ უკვე
 მრავალჯერ.
 გემებზე ტევა არ არის მათი, რომ სხედან მდიდრულ კაიუტებში
 და მსოფლიოს რომ ირგვლივ ზანტად შემოუვლიან, არადა,
 სწორედ ამ მსოფლიოს სულ ვერ ხედავენ.
 ისინი სხედან მოტორტმანე ვაგონ-რესტორნის ამრეკლავი
 სარკმლების მიღმა
 და უფლება აქვთ, ხედავდნენ იმას, რასაც შენ, ალბათ, ვერასდროს
 ნახავ.
 რაც მოწეულა და მომკილა, დამწიფებულა კალთაუხვ ცის ქვეშ,
 შენს სახლს, ოქროსფრად მომლოდინეს, არასოდეს ადავსებს იგი,
 შენ არ წაგიყვანს არასდროს გემი საბერძნეთის მოლაჟვარდე
 ყურეებისკენ,
 არც ჩრდილოეთის ფიორდისკენ წაგიყვანს და ვერც მზით სავსე
 ზღვას გადასერავ.
 შენ იცნობ მხოლოდ მთის ტყიან კალთებს, მაგრამ ვერასდროს
 ნახავ გლეტჩერებს,
 ვერ ესტუმრები ვერც ღმერთების ძველ სამკვიდრებელს,
 გულისშემკუმშავს.
 მაგრამ შენ, სივრცელასაზღვრულო, ღარიბ-ღატაკო, პროვინციული
 ქალაქის ციციქნა ოთახებში მიკარგულო, მივიწყებულო,
 მაგრამ ხმობილო და სტუმარო მიწიერი დღესასწაულის,
 მიუხედავად ყველაფრისა, შენ სწორედ ის ხარ, რაკილა შენთან
 ახლოს მყოფი შენ მორჩილად გარემოგიცავს,
 რაკი არასდროს წაგართმევია შორეთისკენ ლტოლვის სურვილი,
 შენ უფრო მეტად დალოცვილი ხარ, ვიდრე – ამ ქვეყნის
 ბატონ-პატრონი!
 თუ შეიცანი შენი სამშობლო; თუ შენ იხილე უამრავჯერ, რაც
 გარს გაკრავდა,
 მაგრამ სინათლის ამ მუდმივი ცვალებადობით მაინც ყოველთვის
 ბედნიერი ხარ,
 გარდასახვადი დროის ტრიალში – დამაბრმავებელ თოვლად
 ქცეულში, გარდასახულში გაზაფხულის კეთილ სიმწვანედ,
 ხარ დღენიადაგ აღტაცებული და დღენიადაგ ხელახლა ხარ

შეყვარებული:

დედამიწა მაშინ შენია. და პეპლის ფრთების საოცარ თვალში
შენ შენივე თავს შესთავაზე შენივე თავი, როგორც წრე

მრავალფენოვანი, გამოძდელი ყოველივესი,
და უსახელო გორაკიდან, მისი მსუბუქი ფერდობებიდან

გამოგიჩნდება შენ, ყველაფრის მიუხედავად, ის, რაც სამყაროს

გადახდენია და რაც სამყაროს უოცნებია.

ღიას, შენია ზღვის ყურე და შესართავი ყველა მდინარის, და

ტაძრის წმინდა ნაწილებიც შენად იგულვე,

შენია ბროლი და ნადირი და ვარსკვლავი, უცხო მნათობი.

ღიას, შენია სინათლე, ცისფრად მანათობელი, ისიც –

გამსხლტომი კონტურები

ტროპიკული კუნძულების ლაბირინთისა, შენივეა ტაძრის

აკლდამა.

შენივე არის ზღვის მღელვარება, ბევრისმნახველი მოგზაური

რომელსაც აღწერს,

შენი – ზვიადი მთის ყინული, საარაკოდ მარადიული,

შენია სულის მოლივლივე ბედნიერება, სულის, რომელიც

გამოიცადა,

შენნი არიან ჟღერადობა და ხმოვანება, შენი – დიადი

საგალობელი.

არა, ცხადია, არ მოგზაურობ, არც ბატონი ხარ გემების და

ეკიპაჟების:

მხოლოდ რაც გიყვარს და რაც შენ გნატრობს, აი, ის გაქცევს

შენ ოსტატად ქვეყნიერების.

ელეგია დაკარგული ღროის შესახებ

შენ, ღამით, ზანტი საათების ტანჯვა-წამების სარეცელზე
რომელიც წევხარ,
რომელიც ფნიზლობ, წრიალებ, ბრუნავ, და მობუბუნე საათები
წარმოგიდგება
ვერტიკალური ბოძების წყებად, შენი უძილო ღამის სიშავის
მანძილს რომ ზომავს;
ადამიანო, ვისაც თვალში არ მოგდის ღამე, რომელშიც ახლა
გამომწვევდელხარ;
ადამიანო, როცა, ღამეს შეტოვებული, აცნობიერებ, რომ შენი ღრო
ფუჭად გაფლანგე,
როს მოვარდნილი გულისცემა თავს ისე გესხმის, ვით მთაში
მწყემსებს – ქვა-ღორღის ჯარი,
რომ ერთადერთი შენი ცხოვრება, რომელიც უკვე აღარასდროს
განმეორდება,
ქარს გაატანე დაუდევრად, შენს ხელებს კი შერჩენიათ
სიცარიელე, -
თქვი, რა აკავებს ამ ღროს შენში გამყინავ ყვირილს, როგორ არ
ფლეთენ პერანგს, თეთრეულს
მოულოდნელი საშინელებით დაკრუნჩხული შენი თითები
და უხმაუროდ როგორ იწეწ ხეშეშ თმას, თავზე
ხელწავლებული?
თვალგაუწვდენელ ხეივნებში, უსასრულო ქუჩებში, გზებზე,
ხელავ თვეებს და წლებს და დღეებს, წუთებს, საათებს,
შენგან დევნილებს უნუგეშოდ, ჯერაც ყრმობიდან შენს მიერვე
განიაკვებულთ.
ერთ ღროს, ოდესღაც, მოწყალე მზერამ შენ გიბოძა ეს
ყველაფერი,
გამოგიწოდა მეგობრული ღიმილით, უხვად, რათა მიგელო და
გეპატრონა,
ოჰ, რათა წვიმით მოგერწყო ძღვენი – ღროისმიერი მარტის
მინდვრები,

შენ კი ისინი გამოიტირე, უდაბურ მიწად მიაბრუნე, გაავერანე,
უნაყოფოდ და ბერწად აქციე ის ყველაფერი, ფესვების გადმას
რაც ესწრაფვოდა,
ბევრმა თაობამ რაც ახარა, შრომით და ღვაწლით რაც ააყვავა.
რაც დავალებად გაწვა მხრებზე, გადაუდებელ უწყებას რაც
წარმოადგენდა,
რასაც ბავშვური შენი თვალებით უმზერდი, როგორც მოყარიბე
სიზმარს, არაცხადს:
შენი საქმე და შენი შრომა, ადამიანო, რომელიც მხოლოდ შენს
მხრებს ერგო და სხვას არავის,
შეხედე, როგორ დაკუწე და დააქუცმაცე, იგი დროს როგორ
შთანთქმევიანე,
რამეთუ დროა, რომ მიიტაცებს, ვით ქარიშხალი, ფზიზელი კაცის
ყურადღებას მოციმციმე ფუჭი მიზნისკენ;
ვინც დროს გაფლანგავს თამაშ-თამაშით, გადაექცევა ეს დრო
მატლად და დაეხვევა.
ადამიანო, ყომრალი ღამის მარწუხებში გაწამებულო, რად
გადაიქცნენ გეგმები შენი სიჭაბუკისა?
შენი შენობა თუ ააგე, თუ დგას იგი, საგმირო და საიმედო
საქმის ნიშნად
ლურჯ ზეცაში აზიდული ძვირფასი კოშკით დამშვენებული?
ოჰ, როგორ ოხრავ სიბნელეში ანდა სიკვდილს როგორ ესწრაფვი!
რამეთუ დარჩა კოშკის ნაცვლად ნაკედლართა ნაყარ-ნუყარი,
რომელსაც უკვე მაყვალი და სარეველა ბალახები შესევია
თამაშ-თამაშით.

ვაი, რა უღვთოდ გაგიფლანგავს დროებანი სიყვარულისა!
ახლა კი, რაკი უკვე მალე ჩამობნელდება, არც სინათლე და არც
ხმაური ხელს არ გიწყობენ,
ენებებოდე, დიდ დავალებას შენ ლაჩრულად თავდალწეული;
ახლალა ხედავ
ყველა ხელს, გახრწნილს, გამქრალს, შენსკენ აღარგამოწვდილს,
ისინი აღარ გეფერებიან, არ გაკაკებენ, კეთილნი და მზადმყოფნი
და საიმედონი,

შენ საპასუხოდ არ უწვდიდი რომელთაც ხელებს, ასე
გულთბილად გამოწვდილთ შენსკენ.
ცნობ კი გამყინავ საფეხურებს, გაუბედავად ფეხშედგმულს,
მაღალს?

ან ჯერაც ისევ მომლოდინე კარი თუ გახსოვს, იშვიათად რომ
შეგიღია?

ან თვალებს თუ ცნობ ჩუქურთმებით დამშვენებული
სავარძლებიდან მომზირალი მოხუცებისას,
რომლებიც მუდამ მოელოდნენ ახალგაზრდებს, ისინი რომ
გადაივიწყეს?

სულს გიხუთავდა სინათლით სავსე მათი ოთახი, ჟამთა
ტრიალში გაცრეცილი მათი სიტყვები,
მზიარულებით სავსე ცხოვრებას რომ არ გაცლიდნენ, ჭრელ
სამყაროში მსუბუქად რონინს.

იცე კი ახლა, ღამის მკლავებში მომწყვდეულო ადამიანო, რომ
შენ ისეთი ერთგული და სანდო მეგზური,
როგორც იყო ეს ფხიზელი ერთგულება ხანმოთეულთა,
არასდროს გყავდა?

ეს ერთგულება იყო იმათი, ვინც შენ გიცნობდა დიდი ხნის წინ,
შენს პირველ ღიმილს ვინც შეჰხაროდა,
ვისაც შენ მცდარად აფასებდი და განელტვორდი, შეპყრობილი
ცუდმედიდობით?

ისინი უკვე გარდასულან დიდი ხანია, ხმაურიანი საქმეებით
სავსე სივრცეში
უკვე მოჩქარე მთლად უცხონი დასახლებულან. ისინი მაშინ
აღესრულნენ, შენ რომ მათგან ძლიერ შორს იყავ.

წევხარ საბრალოდ, ადამიანო, შენი ოთახის ბნელ კუნჭულში
მიყუჟულა ჯერაც მღუპარედ
ძრწოლებს შორის უსაზარლესი, და შემპარავად წელში
სწორდება

და გეკითხება მომთხოვნი მზერით, მოდრეიფე ცხოვრებაში
როგორ ზრდიდი და
უფრთხილდებოდი შენში ღმერთის დაფარულ სახეს.

თუ წამოიწყე შენ ეს საქმე, ადამიანო, თუ სცადე უკვე აზიდული
წარბის მოხაზვა,

მისი დიადი იერსახის და მისივე დამამწყალობელი ხელის
მოხაზვა?

ან, ვთქვათ, როგორი იქნები იმ დღეს, როცა ჯერ არს, რომ შენი
ფიქრი და შენი რწმენა

წარმოაჩინო საძირკვლად მისი – მარადისის – სურათ-ხატისა?
როგორ? შენში ხომ ჯერაც არ ჩანს და არ იგრძნობა არც ერთი
ხაზი?

როგორ? რამეთუ დრო არ გქონდა, და სიმრავლე ყოველდღიურ
ბრწყინვალეებათა

გავიწყებდა უფლის დიადი გეგმის დაწყებას.

შენ მეტად აღარ აღვიტაცებს ყოფიერება; ეს ამაღლება მოგენიჭა,
ეს და არა სხვა,

რათა შეგექმნა სულის თვალი, რათა გეხილა

შენ იგი წმინდა ნათელში და თვალდავისილი არ ყოფილიყავ.

როგორ? ნუთუ, შენ დრო არ გქონდა, როცა ეს დრო ჭარბად
გებოდა?

როცა დღეებს და წლებს და თვეებს, წუთებს, საათებს

სულ სხვა საქმეებს უთმობდი და ფიქრობდი, ჭვრეტდი,
ოცნებობდი, მოიპოვებდი,

დრო არ მოგეცა, უფალი რომ მოგეძია, შენს გულში მის ხატს
გალვიძებოდა?

შენ, ბნელი ღამის მარწუხებში გამომწყვდეულო, სავსებით
ხელებცარიელო ადამიანო,

ოჰ, როგორ უძლებს სასტიკ შეკითხვას,

როგორ არ ნასკვავ ოფლიანი ზეწრისგან ბაწარს

და ბოლოს როგორ არ მოუღებ ტანჯვა-წამებას, სინანულის
ხმამაღალ მოთქმას?

მაგრამ როცა შენ ოხრავ, მწუხარებ, მარილიანი ცრემლები როცა
მოგდის მღუღარე თვალებიდან, რას ხედავ მაშინ?

შეხედე, მცხრალად რა ციმციმებს და რა განფანტავს
თანდათანობით ღამის სიშავეს?

სიმბიმილს თავი დააღწიე, დაიფერთხე ღამეული ეს ჯოჯოხეთი!
თავი აიღე ბალიშიდან, საწოლს მოწყდი და გაბედულების
ცხოველმყოფელ წყალში ჩაეშვი!
ადამიანო, შენს წინაშე ახალი დღე წამომართულა, და გიხმობს,
რათა გამოიყენო,
რათა შეუდგე მიტოვებულ საქმეს ერთგულად
და დაუზავდე ნალალატევ სიყვარულს და იცავდე ახალს,
რათა ხელახლა, კიდევ ერთხელ, წამოიწყო ღვთაებრივი ხატის
მოხაზვა.

ადამიანო, უსასტიკესი ტანჯვის ძალით გაწამებულო, ბნელ
ღამეში რომელიც იწექ:
ადამიანო, შენ ხომ ჯერ დრო გაქვს, რამეთუ ჯერაც ცოცხალი
ხარ, ჯერ არ მომკვდარხარ.

ქება სიღრმისა

შენ, ძოწისფერო, არასოდეს წვდომადო სიღრმევ, მსურს ქება
გიდღენა,
მსურს განგადიდო და გიწოდო წმინდა საუნჯე, უნამღვილესი
შენი სახელით დაგასახელო;
დაე, ეს შენში ღიმილის მეტს არას იწვევდეს; მოგუგუნე შენი
სიჩუმის
ხანგრძლივ ღამეში გამოხვეული, თავს არიდებდე, დაე, ყოველგვარ
ქება-ღიდებას.

შენ ხარ ადგილი ყოველგვარი ორსულობისა, შენ ხარ ცოცხალი
მერმისის ალექსა.
შენ ხარ ის, რაშიც ყველაფერი გაღვივდება, დანაყრდება
ყველაფრის თესლი,
შენ ხარ ადგილი, საიდანაც დედამიწის მოხმაურე წყაროები
ამოირღვევა,
აზავთებული მხურვალეა ვულკანებისა, რომელსაც
ათასწლეულები სულს უბერავდნენ.
შენ ხარ ის, რაშიც მრგვალებიან მარგალიტები, ავადყოფობის
ლორწო როცა ჭარბი გახდება,
რაშიც ლალი და საფირონი მოკაშკაშე კოცონებად აენტებიან,
ქუფრ სიბნელეში სადაც ფესვები მუხისა და უთხმელისა
ერთმანეთში იხლართებიან
და ერთმანეთს ასაზრდოებენ, რომ მერე ხარბად განიტოტონ
ზეციურ ქარში.

სიღრმევ მიწის და სიღრმევ ზღვებისა! ო, შინაგანო სიღრმევ
გულინა!
მხურვალე სიღრმევ, რომელშიც ენის ხერხემალი ყალიბდება და
ძველისძველ სიტყვებს ზუსტი წონა უნარჩუნდებათ,
და წმინდა სიბრძნე იმოსება ფერადოვნად მორთულ მსგავსებით,
შენ, ერთადერთო წყაროსთვალო, საიდანაც დასაბამიდან

მოლივლივებს წმინდა გალობა.

სიღრმევე, აღსავსევე სინანულით, სიყომრალით მარტოსული
საფლავეების, სამარხებისა,
მღუმარე სიღრმევე, ნელი-ნელ ხრწნადი სხეულებით
გამდიდრებულო,
სიღრმევე ეჭვთა და ცოდვათა და ტანჯვის წარმომშობ
გამოქვაბულთა:
სიღრმევე, რომელშიც მარტოდმარტო სრულიყოფა ჭეშმარიტი
ცვალებადობა,
ყლორტი, რომელშიც გაბედული სიყვარული მწიფს და ითმენს
და განხანგრძლივდება,
ჭავ იღუმალო, რომლის დაფლული, მიუწვდომელი ღუმილის
მიღმა
ვერ ისწავლიდა ვერა ბაგე ღვთაებათა სახელების დასახელებას,
ვერც ერთი შუბლი, უფლის თვინიერ, შენს წინათგრძნობას
ვერასოდეს მოახერხებდა.

ჟღერადო სიღრმევე, შენ გამჭვირვალე სიმაღლეებზე მეტად
გადიდებ,
უმეტეს, ვიდრე – მოელვარე ღღეს; აცეკვებულ სიმღერას ვიდრე.
შენ სამშობლო ხარ და სამყაროს ციხედარბაზი, მტერი ეუვნების,
ბრჭყვიალებისა,
შენ თავწყარო ხარ მოვარვარე ძალისხმევის, ნაყოფსავსე ტანჯვას
ჩასახავ,
ბნელი გარსი ხარ, აღსავსე ხარ სიკვდილით და აღდგომის
აღთქმით.

ელეზია ალაშიანის გულისადგი

ო, კაცის გულო, მიცემულო თითოეულ ბიძგს,
რომ გევალება თხელკედლებიანს, - ტანჯვათა წიაღ დაითმენდე
დიდხანს და დიდხანს
ან მასში სისხლად დაიღვრებოდე! ო, კაცის გულო, როგორ იტან,
როგორ უძლებ წარმოუდგენელ ტვირთს და სიმძიმეს,
ისეთ დამღუპველ, ტკივილებით აღსავსე რბოლას, როგორიც
არის ჩვენი, და როგორ
უფრთხილდები და დაჰკანკალებ ჩვენი სამყაროს აქამდე ჯერაც
არდათმენილი,
საზარლად დიდი და სასტიკი ამ ტანჯვის ცოდნას?
ტანჯვა და ცოდნა ტანჯვის შესახებ: ო, გულო, როგორ შეგიძლია
ამის ტარება,
ან როგორ ძალგიძს, რომ ფეთქავდე სასიკვდილო ბედის
შუაგულში,
ძრწოლისმომგვრელად მრავალჯერადი გრავნილებით
გარემომცველში, აუწყავი წონა-სიმძიმით ნაცარტუტედ
გადამქცეველში?
ძვირფასო ძმებო, რომელ თქვენგანს არ დაუკარგავს სამშობლო,
კერა?
მასაც კი, ვისაც ბომბი არ მოხვდა, მასაც კი, ვისაც თავზე ჭერი
არ ჩამოემხო,
მასაც კი, მუშტმა გარეწრისამ ვინც დაინდო და არ ყოფილა
ღეწილი ან ნანადირევი,
არ შეხიზნვია არც სიცივეს უცხოობისას, ალბათ, მასაც კი
გააჩნია ჯერაც სამშობლო,
მაგრამ, განა, ის – ეს სამშობლო – მღუმარედ არ გარდაისახა?
მისი კედლები, განა, ისევ ისეთივეა?
და ძველი ბაღიც, ყველაფერი, არ შეიცვალა?
განა, მასაც კი არ წაერთვა სახლი, ხანგრძლივად რომელმაც
გაძლო და დაითმინა?
არ აირია, სხვად არ იქცა დასავლეთთა თავზე ეს ზეცა,

უკვე რამდენი ათასწლეულის განმავლობაში რომ ლურჯდებოდა
და ღამეში ვარსკვლავებით რომ ციმციმებდა?

განა, ბნელად და სხვაგვარად არ მოეთაღება აჩქარებულ
ქალაქებს ზეცა?
განა, გუთანსაც, მიტოვებულს, არასანდოდ და უცხო ზეცად არ
ეთაღება იგი მას მერე,
რაც უსასრულო მკვლევრობების გზით ინსტრუქცია შეუდგინეს
ასე მზაკვრულად?
ო, გულო, ნეტავ, როგორ იტან შენ ცხოვრებას ამ დახეთქილ,
ღამსკდარ ვარსკვლავზე,
რომელზეც არსად მოიპოვება სიმყარე და უსაფრთხოება,
არსად – სითბო და არსად – სილბილე, თავი რომ მიდო სადმე
ღამით და მოისვენო?
ნამყო არასდროს ყოფილა ისე შეუვალი და სრულად ჩავლილი,
როგორც – შენი გუშინდელი დღე, ხარბმა უფსკრულმა რომელიც
შთანთქა უტყვად, მღუპარედ;
გალვიძებული ვულკანების სამშობიარო ტკივილებით ცახცახებს
მიწა დღევანდელისა,
უძლურებანი დაისისა გარს ეჯარვოდნენ ცისკრის კონტურებს.
და გარდაცვლილნიც, ოჰ, მრავალნი, როგორ მჭიდროდ გეკვირიან
და გიმცირებენ უკვე დღენათელს.
მალე ისინი უფრო მეტნი იქნებიან, ვიდრე ცოცხლები ჯერაც
შენს პურს ინაწილებენ;
ყმაწვილები, ლეგიონები, ყინულოვან შორეთებში ჩარჩენილები,
სისხლის, ყინულის და იძულების სამფლობელოდან
უკანაღარმობრუნებულნი;
მომწიფებული მეგობრები, ალექმის უმდიდრეს დღის შუაგულში
მოწყვეტილები,
მოწამლულმა ისარმა ვისაც ზენიტში მყოფი მზის ქვეშ უწია;
მორჩილები და მოწყვლადები, უშფოთველი და კარგად დაცული
არსებობისთვის გაჩენილები,
ქარიშხლის მიერ გულისამრევად-ისტორიული სიკვდილისკენ
მოსროლილები:

ო, გულო, ნეტავ, სად დაგირჩა ის ღიმილი, შენს ღიმილს რომ
ესაუბრება,
სად დაგირჩა მზერა, ერთგულად რომ დარაჯობს ღიმილ ხნის წინ
ჩამქრალ შენს მზერას?
დროის გრიგალებს საშუადაოდ შეტოვებული, გამქრალი
მკვდრები:
საზარელ ძილში, ღამით, მხოლოდ მათ მოუყრიათ თავი შენი
საწოლის ირგვლივ.

და მაინც, გულო, ხვდები, შენც რარიგ გავიწროებს უბედურება,
და მაინც, იცი, გულო, გრიგალი შენს ირგვლივ რარიგ
აბორგებულა.
იქნებ, შენც ღამის უკიდურეს ძრწოლებში მარტო მიგდებული
ხარ,
იქნებ, წილს ყრიან ფიზიკა და სარგებელი მიწის ბურთის
გამძლეობისთვის:
მოწყალე ხელი, ასე ხანგრძლივად რომ უკავიხარ,
გიფრთხილდება და დაგკანკალებს, ვით ჩიტს ბუდეში, თბილსა
და ფაფუკს;
კოსმოსის სიცარიელეში მოსროლილიც რომ ყოფილიყავ
რომელიმე იავარმქმნელი ვარსკვლავის ძალით,
ის შენ მაშინაც შეგაკავებდა და დაგიცავდა ტკივილთაგან,
ჭრილობათაგან.

შენ, კაცის გულო, თითოეულ ბიძგს შეტოვებულო,
ასე უმწეოდ შეშველო და გაფითრებულო, დაობლებულო, დატაკო
და ყინვით დამზრალო:
მან, ვისი ხელიც შენ არ გწირავს, მინდობილი ხარ რაკი მის
ზრუნვას,

მან, ვისი გულიც, მარადიული, ცნობს შენს ფრთხილ ფეთქვას:
შენ აგირჩია, მცირეოდენო, სიმძიმის ცენტრად ყოველი ხსნისა.
შენ, რომელსაც, შიშით მოცულს, გასაჭირი ბოლოს მოგიღებს.
შენ რომ მარტოდენ იწამებდე ყოვლადძლიერს და იმედი რომ
გექნებოდეს მისი სიწმინდის,
შენ რომ მარტოდენ ზიზღს შეწყვეტდე, შენ შეძლებდი

გემკურნალა დედამიწისთვის.
შენ რომ მარტოდენ გიყვარდეს, გულო, შენ ჯოჯოხეთს და
სიკვდილს შეცვლიდი.

ალკბასური ელგბია

აი, კვლავ ბედავთ ჩამოსხდომას შუადღის უშფოთველ ფერდობზე,
ძმებო,
ჯერაც რომ გაწვეთ მხრებზე სიქუფრე მოკლე დღეების;
ფიქრობთ, მშვიდობა თქვენს ირგვლივ კვლავაც ისე გულდაგულ,
ისე ლალად გაიფურჩქნება,
როგორც გირჩებს და ეკლებს შორის ვარდისფერი მანანები
ჰყვავიან ზოლმე?
გრანიტის მთების მიღმა რუხ-მწვანედ მიმოჩრდილული ბასრი
ქელიდან
აღმოსავლეთის ქართ დევნილი თეთრი ღრუბლები გაზაფხულის
მალენიავს ჩამოჰყოლიან.
ლარიქისა და ნაძვის ხეებში გვირგვინოსანი ზაფხული ჯერაც
ჯიუტად დაქრის,
თხილნარიდან და არყნარიდან კი მოახლებული შემოდგომა
გამოკრთება ამ დროს უჩუმრად.
ფრენას სწავლობენ სამრეკლოს თავზე მოელვარედ მიმომფრენი
ნორჩი მერცხლები,
ბედნიერების მწვერვალზე ასულთ დავიწყებით სიყვარულიც,
ერთმანეთიც, ბუდეში სხდომაც,
კერიის კვამლი უშიშრად აღის კრამიტშიმე სახურავიდან,
და მოსავლით და ბარაქით სავსე, სიცოცხლის
უზრუნველმყოფელი ეზოებისგან
ირიბ მზეზს ძალუმს, ბალახებში გამოსახოს მცირედი ჩრდილი.
ო, ძმანო, განა, არ ვიწექით მიწას გაკრულნი,
და ღამით, ასე დაყრილებს და აკანკალებულთ,
განა, არ გვქონდა თავი მკლავებში ჩარგული და ხელებით მიწას
არ მოვბლუჯავდით?
წლების მანძილზე არ ვეყარეთ მიწაზე ასე, შუბლის აწევას რომ
ვერ ვბედავდით,
რადგან იქ, ზემოთ, ველურ, დემონურ ნადირობებს აეშვათ თავი,
უშველებელ და საზარ ფიგურებს, და – თავზარდამცემ დაბადებას

უფსკრულებისას?
გაჯერებული არ იყო, განა, ბნელი ჰაერი ჯოჯოხეთური
შეყვირებებით?
ჩვენ არ ვიყავით, სასიკვდილო გახრწნილების სიმყარაღე რომ
სუნთქვას გვიკრავდა?

არ ბობოქრობდნენ ისინი მაღლა, თითქოს, ზეცათა სამუდამო
პატრონნი იყვნენ?
დღის ნათელსაც და მიწასაც, განა, ღამის თავადნი თვითონვე არ
მიიზომავდნენ?
ხოლო ამ მთათა სტომაქიდან უშველებელი მოჩვენებები
ელინებოდნენ,
რომლებსაც, ვიდრე საუკუნე საუკუნეს ენაცვლებოდა, იქ
დაბანგული ძილით ეძინათ;
მკვდრებსაც კი ჰგავდნენ, ისეთი იყო მათი ძილი ბობოქარი
სიცოცხლის მერე!

ზვიგენები უღრმესი ზღვისა, მანამდე მზე რომ სულ არ ენახათ,
ისე აპობდნენ ჰაერს, როგორც კარგად ნაცნობ, ნაჩვევ დინებას.
იქ კი გრიფები გნიასებდნენ, იღუმალი სისხლით მაძღარნი,
და ლორწოვანი კვერცხებიდან თავდაღწეული, მოუთოკავი
დრაკონები ფრთებს მძლავრად შლიდნენ,
დაისის დროში რადგან ჯერ კიდევ მბრძანებელია ხარის ნიშანი.

როცა კაჭკაჭი გადაუფრენს ხეობის კლდეთა შავ-თეთრ
შეკრილებს,
როცა პეპლები გეხებიან, გახსოვდეთ, ძმებო,
რომ თქვენს თავს ზემოთ სიკვდილი კვლავაც ათასობით სახით
გაშლილა,
რომ შხამის ყველა სახეობას უწვიმია დღემდე თქვენს თავზე.
თუ უწყით უკვე, რომ ხმაური და მაღალ ტოტებში ატეხილი
შემახილები,
რომ არ წყდებოდა და შემზარავად ეუფლებოდა დღეებს, ღამეებს,
სატანური ლაშქრობების საშინელი საშინილი და უტყუარი
ნიშანი იყო?

სიცრუეს, ზიზღს და წყევლას აფრქვევდნენ უშველებელი პირები
და მძიმე ხახები.
თვით თქვენს იღუმალ სიზმარშიც კი შემოდოდა მგელკაცის
ყეფა.
არსად – სიმშვიდე, სულის კეთილი სამშობლო და ერთადერთი
თავშესაფარი,
სიმშვიდე, საშო-საბუდარი რომელიც არის ყოველივესი,
მერმისისთვის განსაზღვრულისა.
არ დაგავიწყდეთ, ჩემო ძმებო, ეს ყველაფერი, ეს ჩურჩული და ეს
ქნავილი, ბუბუნ-გუგუნე,
როცა სალუქად ხმიანობენ ხეობაში შუადღის ზარები,
როცა ფუტკარი ზუზუნებს ირგვლივ, ტანმორჩილ ნაძვში წივწივა
რომ აღარ წყვეტს წივწივს,
როცა მღუმარედ მოგზაურობს სავსე მთვარე ცის სილურჯეში!
ძმებო, ფერღობზე ჩამომსხდარხართ და უდარდელი საათებით
ნეტარებთ, ტკბებით.
გული ისეთი ალტაცებით აგჩქარებიათ, სადაცაა წაგივათ
თითქოს.

მაგრამ სად გაქრნენ საშინელი ხილვები ღამის?
ციურმა ელვამ გაანადგურა? ჩანჩქერი მოდგა და შეისრუტა?
მთები, უძველეს ნაშიერთა დამნთქმელები, განიხვნენ განა?
მარილიანი ზღვა ხომ არ არის დამფარავი და დამმარხავი მათი
მძორისა?
იქნებ, ისინი დარჩენილან ისევ ცოცხლები? იქნებ, ბოროტით
იკვებებიან
ჩირქით და სისხლით გამოვსებულნი, ნიადაგ მოთქმებს და
სიკვდილებს მოწყურებულნი?
ჩასაფრებულან, იქნებ, მთის მიღმა, მშიერ უფსკრულში,
და მზად არიან, ნებისმიერ დროს, იხუვლონ და ამონთხან, თუ
მათ ურჩხული
წყეული ყეფით გამოიხმობს დედამიწის საბოლოო ბედისწერის
აღსასრულებლად?
ბოროტთ საკვებად ბოროტება თუ არ ექნებათ, მაშინ კვდებიან,
ცრუნი სიცრუის ამოსუნთქვას თუ ვერ შეძლებენ, გაქრება მათი

წყეული მოდგმა.
მოქმედ სიყვარულს როცა ხედავენ, მათი თვალები ღვარძლით
ბრმავედება,
მართალი სიტყვა როცა ჩაესმით, მათი ყვირილის ძალა
ჩლუნგდება.

ფერდობზე მსხდომნო, გამძვინვარებულ ნადირობას
თავდაღწეულნო,
გადმოღვრილ ნათელს მშვიდობიანად მიაპყარით სუფთა
თვალები.

მოკალით მატლი თქვენს გულში და თქვენ ამით მოკლავთ
ჰაერთა გველებს,
გაათბეთ კვირტი მოიმედე და თქვენ ამით იხსნით წმინდა
ნათესებს.

მშვიდად ისუნთქეთ, რაკილა მშრალი თივით სავსე სათივეები
სურნელს გაფრქვევენ,
რაკი სურნელი გეფინებათ ბეგქონდარასიც და ლაჟვარდოვნად
გარწევთ ფოლიო.

ფერდობიდან ხეობას ისე გადაჰყურებდეთ, თითქოს თქვენს თავზე
სასიკვდილო ფანფარებით ჯოჯოხეთური ხალხი არასდროს
აღზევებულა.

ლაღად მქროლავი ქარები, დაე, ღაწვებზე გრილად მოგეაღერსონ,
აცეკვებული ბალახები დაღლილ მუნღზე მოგელამუნონ.
დაე, ნუგეშით გიცემდეთ გული! მხოლოდ სიკეთეს თუკი ეძიებთ,
მიწიერი სამეუფო თქვენი ყოფილა, მშვიდობიანო, ნურასოდეს
შეგემინდებათ!

მსიპა მითმსსო

ღვინოში დავანებული სიყვარულის ღმერთი

სათაყვანები ბაჯალლო სისხლი, მომცრო, საზოვნად მიმოხვეული ბორცვებისა, ჩვენს ძველ ქალაქში, ღვივის ცა მკაცრი, შენ რომ გზარდა ასე აზოვნად, შეარგო მსმელსაც, ვინც დალოცა ესე ალაგი.

ის გასაოცრად იტევს ხელთა გულმოდგინებას, მათ ნელს სიკეთეს, ვინც შენ გზარდა და მოგიყვანა. ბრწყინავს ცვარ-ნამით თვალი მისი: რადგან ინება, ესვა საწნახლის ვნება, სიტკობო ამ ღვინოსთან.

- - -

თუ შენს წინაშე სახიერად წარმოვჩინდები, თუ არსი შენი გასაოცრად ახლოა ჩემთან, ასეა, ალბათ, რადგან კვლავაც იმ წინაპრების სისხლი ღვინოსთან დაწყვილდება, ვით ფერი ფერთან.

უკანასკნელი ღვთაებაა, ვინც მოიკვეთეს იმ სამყაროდან, ღმერთნი აღარ სწადიათ სადაც. ჩვენ კი ბახუსი სიხლ-ხორცეულ ვიწამეთ ღმერთად, მაშინდა იქმნა ეს ქვეყანა მშვიდად და ცხადად.

მო, სადღეგრძელოდ სასმისები ავწიოთ გულით, და თუ მარჯვენა მიკანკალებს, არაფრად ვაგდებ! მე აკი ჩემი სისხლის ტაქტში, ღმერთს სიყვარულის, ღვინის წიაღში სულგანაბულს, სიცოცხლეს ვაძლევ!

კალიკსოს გამოთხოვება

ო, ოდისევსო, სტირი განა? სერე სივრცენი –
დაეძებ იმ ქალს, კვლავ ჯიუტად რომ გელოდება?
არ დაივიწყო: კარგა ხნის წინ მე რომ გიხსენი
სვებენიერი აწმყოსათვის, როს აღშფოთებამ

ზევსისა, მაშინ, გემის კილი მილეწ-მოლეწა.
მე შევიცვალე? არა, რადგან ისევ უცვლელი
ასხივებს ჩემი იერსახე, როს შენი ცოლი
კრთის და ცახცახებს სირცხვილისგან, იერნაცვალი!

დუმხარ, ოდისევს. შინ დაბრუნდი! – ნუ გეგონება,
რომ მყისიერი ეს განზრახვა ვერაგულია!
გატყობ: არ გჯერა, ბედს ვერ ჩაწვდა შენი გონება.

ო, უარს ვამბობ, უარის თქმა ჩემი ვალია.
აიღე წალდი, შეჰკარ ტივი, შინ გაემართე!
შენ არ გიყვარვარ, ვარ უკვდავი და ვრჩები მარტო!

გამოსათხოვარი სიმღერა

მთვარე შეივსო სხივთამთოველი
მას შემდეგ, კარგო, რაც მიგატოვე;
მას შემდეგ ლუკმა, ყლუპი ყოველი
არ შემრგებია, რადგან მარტო ვარ.
თითქოს, ზმანებას ავდევენებივარ,
ბურანში დანთქმულს ჰგავს ჩემი ქცევა:
ვითვლი ზღვის ზურგზე ქაფმოგდებული
ტალღის უაზრო ჩემსკენ მოქცევას.

რაც იმ ხომალდზე აღმოვჩნდი, რაიც
ასე უღმობლად მაშორებს შენს თავს,
მიტოვებულსა და მწოლიარეს,
ცარგვალი ყინვის მუქართ მთენთავს.
ღამის ცვარ-ნამი მყინავი ნესტით
ღამდის სხეულზე და მეტმასნება –
საბოლოოდ კი ხანი, ერთი დღით,
ჩემი უგრძესი დღით, მემატება.

ღამეც თანდათან უკუიქცევა,
ნაფერმკრთალევი უკრთის ნაპირი.
კეთილ-ბოროტი ეს მიმოქცევა
ერთმანეთს სწრაფად ცვლის, ინაპირებს.
აღმოსავლეთი – ფერი ფირუზის,
მცხრალი მთვარე კი ფითრისფერს ართავს,
ახალშობილი ცისკარზე ბრიზი
ელამუნება კიჩოს და ანძას.

მიტოვებული

ნუთუ, გაქრება, რაც ასე მკვიდრად
შერწყმოდა მიწვივ ცხოვრებას განვლილს?
ვარ მარტოდმარტო. და მიმოვდივარ
ძველ საგნებს შორის... ვიკრავ თმას გაშლილს

და სარკეს დიდხანს, დიდხანს ჩავცქერი,
ღრმა ურვით უცხო იერი მიმზერს.
და მხოლოდ ქარვის გველი მზისფერი
ნებივრობს კაბის შავ ზედაპირზე.

ვით მოცურავე ზღვით გათანგული,
ბარბაცით, ქვიშის ნაპირებს მისდევს
და სულდალლილი, თუმც უვნებელი,
ლივლივის შემდეგ ზეზება ისევ.

მეც მარტოობის ჩემს ძველ სტიქიას
შევეხიზნე და გულისთქმას ვაჩვენე.
თავდავიწყება – უქმი ფიქრია!
მე ჩემს ძველ მესთან დავზავდე – ვარჩევ.

ჩემთვის მივიღე ეს განჩინება.
თავი რომ დავთმე, წამადგა მხოლოდ.
არ იყო ფუჭი ცრემლთა დინებაც:
ჩემს კუნძულს წარღვნა არ ელის ბოლოს.

ლეგენდა სანდაზმულობაზე

სანდაზმულობა – მონაგონია!
დრო უკან ბრუნავს, ასე მგონია.
ჯერ, შვლის ნუკრივით სურვილთა კონა,
ცისკრისსხივდაკრულ გულს გამეწონა;

შემდეგ, შიშველი ვიდექ ჩანჩქერში,
საამო შოლტის ტკბილ ჟრუანტელში,
დადლილი მოვხვდი გზად ჭინჭრის ტევრში
და ჩამეძინა. და რადგან ცეცხლში

ვიდაგებოდი, ღრმა ძილს ვბარდები.
ახლა კი უნდა ვიხეტიאלო.
სისხლამდე მკაწრავს ეკალბარდები.
სიკვდილი ყველას თავს დაგვტრიალებს.

უფრო ღონივრად აღვდგები მაინც
მწარე დრტვინვისგან, ურვა მე მარგებს.
ზუზუნებს ფუტკართ სიჭარბე, რაიც
თაფლის მოხვეჭას არაფრად აგდებს!

გმირობა

რილკე, ფროიდი

არც კი იკითხო, რაა ტკივილი,
ასე უღმობლად გულ-ღვიძლს რომ შანთავს –
და თუნდ ძილბანგი იყოს ცნობილი,
ანდა მკურნალიც ნებას თუ დაგრთავს,

ერიდე, – ცოდნა გწყუროდეს, ტანჯვად
ჩანს ამაოა, ალბათ, გმირობა;
თუმც, ოდენობა ღიადს ვერ განსჯის
და არც სახელი განაპირობებს!

ხ ს ნ ა

(საგალობელი)

გამომამევეს
სასოების სიყრმისეულ მინდორ-ველიდან;
გათიბეს სრულად,
ყვავილნი მინდვრის მჭკნარ თივად იქცნენ.

მე მივაშურე
მონატრების თავთხელ მთის ჰაერს;
თუმც, გული მაინც ხევდება, როცა
მიჯრით ეხება უსასრულობას.

გარინდებული, ჩამოყრდნობილი
ვერცხლივით მბზინავ ტკივილის კვერთხზე,
ვცურავდი გლოვის
შავ, ველურ ტბაში, ვითოშებოდი.

როცა გადავრჩი,
სიყვარულის ტყე უსიერი შემომებურა;
ქელდარეკილი ლომები ყუჩად
და ავად დუმდნენ, ჩასაფრებულნი.

ჯიქის თვალები
ბუჩქნარიდან ელავდნენ თითქოს;
უზარმაზარი გველნი
მკერდზე შემომტმასნოდნენ.

ყველა საფრთხეზე
უსაფრთხესი ხსნა არის თავად!
ჯუნგლების წიად ძილს მივეც თავი,
და გავიღვიძე უდაბნოს ხვატში.

ამოზიდულან სვეტები თლილი...
ქვიშაში მდგარი, მჟღერი ტაძარი!
აქ უნდა დავრჩე:
ქურუმი ქალი, იმავდროს მსხვერპლი.

გერმანულ ძალთა ჩივილი

გვიყვარხარ ძლიერ, გერმანიავ, თუმც გვეძნელება –
გვიყვარხარ ურვით, როგორც ვაჟი, შვილი ურგები.
რაინდო-სინდისი სადღა არის, გმირთა მშვენიება?
ურჩხულის ყოველ თესლს მოელის დღე შურისგების!

ნეტარ არიან, ვისაც ძე არ გაუჩენია!
მათ შეუძლიათ, დაელოდონ გონს მოსვლას ხალხის.
გვსურს სიმძიმელი ვიტვირთოთ, სხვა რა დაგვრჩენია,
თუმც შვილის ყოლა არ გვინდა და არც მოვლა ბაღლის.

ღბილი სიმწვანე ნაზად მღელვარ ხოდაბუნების,
ვაზის ვარჯი და თავთუხები, ერთურთს მიჯრილი,
მიწა მოვლილი ხენემ ხელთა მხნე რუდუნებით,
ტაძარი, სკოლა – წუთისოფლის გული და ტვინი!

გვიქადაგებენ, თითქოს ღმერთი არც როს ყოფილა
გარდა ძალისა – მორჩილება სამარცხვინოა.
იმეორებენ ნაშიერნიც, ხმას აყოლილნი:
მამათა რწმენა შვილებისთვის სასაცლოა.

მთათა მწვერვალნი, სავანენო მარტოსულების,
ჯერ უცვლელნი ხართ? – მეწამულად ღვივის კვლავ ხავსი
ვერცხლისფერ ბზარში, დანისლული ფურისულების
თასები კრთიან ხავერდოვან ალპურ წიაღში?

სიმაღლეების დალაშქრა კი არც მოსდით აზრად.
დგანან ჭაბუკნი, გაწვართულნი, მხარი მხარს მსჭვალავს.
და მარადიულ მღუმარებას არ არღვევს ფრაზა.
არ იმეორებს თავად ექოც მათ მონურ სალამს.

და ტრამალებზე, სადაც კვლავ დგას ქვები ძირძველი,

ხალხური სჯულის, განჩინების სალი სტელები,
იქ გამართავენ სასამართლოს კვლავ ოდინდელი,
მუხების ჩრდილქვეშ, პირველყოფილ სიოს ფერებით?
ცოდვილის სიტყვის არიან კი ყურადმღებელი?
თუ ენდობიან ხალხის ნებას? სამსჯავროს უფლის?
სცნობენ განაჩენს არჩეული მაუწყებელის?
სიმართლის დაცვა უწმინდესი ვალია სოფლის?

ურჩნო, ოდესმე ზღვარი, ზომა
შეგეცნოთ ნეტავ!
ვინც დაივიწყა ეს საზომი,
შედეგებს ხედავს!
იმ მოყვასს, რომლის სიტყვის შიშით
არც კი ეძინათ,
ხმა უღმობელმა, ავმა ტყვიამ
ჩააკმედინა.

ფიჭვნარ-ნაძვნარის სურნელებით ნაჯერო მიწავ,
ციხე-კოშკებით, ზვრებით უძღენი შენ თავს დინებებს,
ჩრდილოეთით – ზღვა, სამხრეთით კი მყინვარი გიცავს, –
დედასამშობლოვ, შვილთ სიმრავლით დაღლა ინებე?

გიყვარს კი მხოლოდ ერთი სახე,
ერთი სამოსი?
აცხადებ, წესი რასაც არღვევს,
კანონგარეშედ?
უფლება – ფიურერს, ჩვენ – ბეგარა...
მდაბიო მოდგმა, დაცინვასაც
ვერ გრძნობს, ველარა.

ჩვენ სიბუღვილი არ გვჩვევია, ქალებს მხოლოდღა გოდება
დაღვემს და მოლოდინი,
რათა უთქმელი მოთმინებით ვქსოვოთ და ვკემსოთ ბადე,
რომელიც ირღვევა მარად.

რაისს ჰყავს ისევე ჭაბუკები, მღვდლები, გლეხები: რომ
გამოვლინდეს
ბოლოს და ბოლოს ჭეშმარიტი, ღრმად გერმანული კანონი
ფარად.

ჩვენ უღელს ვზიდავთ და მიწის წიაღს
უფრო ღრმად ბურღავს ტერფები ჩვენი,
და დებს დალოცვილთ, ჩვენ მაინც ფრიად
უშურველ სალამს მივმადლით, რწმენით.
გვაუწყებს ყველგან ჩვენ მზერა მწველი
საბედისწერო საათს, უშავესს.
ქება-დიდება ბედს გულმოწყალეს:
საშოს ბერწსა და წიაღს უმთავრესს!

გაქცევა

ამიტაცებდეთ, ტალღებო ტევრთა, და სავანეში ანანავებდეთ
თავგზაბნეულ სულს, უგზოუკვლოდ რომ გაეცალა სიმრავლეს
რომ მეძიებდნენ დასათრგუნად და თან აგდებულად პირს
სიზმრის ბურანშიც კი ჩამესმოდა სისინი უქმი და ხმა უხამსთა!

თუმც, ერთგულებას აღარ აქვს ფასი, არც სულის რჩეულ
ქრისტეს ცეცხლივით მგზნებარე გულსაც, ხალხი რომ შეჰკრა
ვიცი, კაცთაგან განრიდება და გაქცევაც ნიშნავს
მაგრამ შუბლისთვის საამურია, გლუვ და უგრძნობი მერქნის
სულმოკლეობას...
შეხება.

აღარ დავებებ ხელს, გულმოწყალეს, რაც ცივი წვიმის
ლონემიხდილმა შევახე ფეხი ცოცხალ-მკვდარ მიწას
ვლოცულობ ჩუმად ქარიშხალშიაც, რათა გლეხების ლალ
წმიდათა-წმიდა მწიფობდეს პური მადლგანძარცული
ნიღვრისაგან
ხოდაბუნების –
ბიჭუნების
მარცვლებისაგან.

ნუბეუი

უნდა იცოდე, ისე არც რა აღიკვეთება,
ახალ სიცოცხლის ჩანასახად რომ არ აღზევდეს!
იავარქმნილი წუთისოფლის ნამუსრევზედაც
სხვა რამ ახალი, მოელვარე ამომზევდება.

არც რაა ხრწნილი, რომ არ იქმნეს ნაყოფიერი,
უწმინდეს ნების სამოსელი, თუმც – მიწიერი!
ტკობის სიცხადე ტკივილია ყრუ, სულიერი,
აზრის კი – ტვირთი დაწყევლილი, გონისმიერი.

ანოყიერებდნენ დედამიწას ნიადაგ გვამნი;
ხესა და ყვავილს აღვიძებდნენ ნიადაგიდან.
ძეხორციელიც მტვრით შეიქმნა დასაბამიდან –
თუმც, იყვნენ ზოგნი, ჭეშმარიტად ღმერთების მგვანნი!

საიდუმლო

ჩვენ შორის რაღაც საიდუმლო სულ არსებობდა,
რაც არც სიტყვით და არც იერით არ იგრძნობოდა
და ქალიშვილი, უცხო, მაინც კვლავ გენდობოდა?
ო, შენს მზერაში უზღვავი რამ იკითხებოდა!

არც ჰო-ს, არც არა-ს გასაგებად შენ არ ამბობდი.
მე კი ვიცოდი, ვიგრძენ კიდევ, თავდაჯერება
სულიერი და შინაგანი რომ შემრჩენოდა:
მაშინ უთუოდ ვიცი, მართლაც მე მგულისხმობდი

და კვლავ მგულისხმობ უსასრულოდ, არ კი გსურს ფიცი.
ჩვენ უამრავი დრო და მილი გვაცილებს მიზანს.
ეს საიდუმლო ვერ ავხსენი, ვერ გამოვიცან.
შენ კი, შენ იცი?

სიკვდილისადმი

ჯადოსნურ კვერთხით უჩუმრად რომ შემეხებოდე,
მიღმურ, უხილავ სამყაროსკენ გარდავხდებოდე,
თუნდ მოლოდინით, ან ქმედითად შეახლებოდე,
ნიჭს ნაწყალობევს ჩემივ ნებით ვენაცვლებოდე.

მე ვიცი – უზღვავე ჩემს სურვილებს რომ ავყოლოდი,
მზიურ შორეულ სანაპიროს კვლავაც ვწვეოდი,
ვალდებულებას მშვიდს, უწყინარს რომ დავყოლოდი,
მრავალ მიწიერ ნეტარებას მეც ვწვეოდი.

შემძლე ოცნებით ამოვიგე, რაც ამეკრძალა,
რასაც ვერასდროს შეველევი სიმრავლის გამო.
ასე მგონია, რომ მრავალგზის გარდავიცვალე.

და მაინც, ბნელო, მრუჟე ღმერთო, მე არ შემეხო!
დღეს ჩემი მეტრფის თუ იხილე მდიმარი სახე?
მას მე ვუყვარვარ. არ დაუგო ამგვარი მახე.

სიმღერა გადავიწყების შესახებ

ღმერთებო, ნეტავ, რად ერგოთ ბელად ცვალებადობა და არა
ყოვნა ადამიანებს?

ცოდნის წვდომისას თუ ვყოფილხებით, რატომ გრილდება
შემეცნებებით დახვეწილი გული აწ ჩვენი, ღრმად მგრძნობიარე?

თქვენ, ვინც თხზავთ სიკვდილს, შემეცნება რომლის არ ძალგვიძს,
თუმც, შეგვიძლია რომ გვიყვარდეს, რად ქმნით, ან ვისთვის,
მის უსახურ, ჯუჯა ანარეკლს: უგერგილო გადავიწყებას – ?

უმაღ უკვალოდ განქარდებიან უკიდევანო, შიშისმგვრელი
სამყაროს წიად
კოცონები აღტაცებისა. სიყვარულის მწველ, შინაგან აღმურს
ჩვენ მივიჩნევდით თვით მარადისზე უპირატეს მარადისობად!

და მაინც ვინ ვერ დაივიწყა ის ამბორი და ამბორსმყოფლის
სახის იერი?

ვის ვერ ენდობა უფრო მეტად მოახლე იგი,
ვინც ვაჟის ოთახს ემსახურება, მონატაცები სატრფოა თითქოს?

კვლავ დავიწყებას მიეცემა სიტყვები, მზერა, შეხება ნაზი,
განშორებამ კი ჩაგვიკირა ლამის. ხელახლა შერწყმის
იმედი ქრება, მყის იფერფლება გამომცდელად შემოხედვისას
სარკის წიადში, იმედის და კი – მოგონება – უმაღვე ჭკნება.

თუმცა, პოეტნი, უბერებელნი, კვლავ გარიყულად არსებობენ,
ხალხს შორის, ვისაც საკუთარი ყოფიერება ვერ შეუცვნია.
ღმერთებო, თქვენდა სადიდებლად სულ ფურცელ-ფურცელ
აელვარებენ იმ სურათებად, თავად არასდროს რომ არ უხილავთ:

ამეტყველებენ მაინც სიბრძნეს, მწირი ცოდნითაც;
მოწამებრივად ოხრავენ, თუმცა, ტანჯვა რომ ეგრძნოთ,

განუტევებდნენ სულსაც ალბათ! მაგრამ ვერ გრძნობენ.

რადგან არიან ის მგოსნები, გადავიწყებულს
კაცთა მოღვმისა რომ იხსენებენ, და, ბავშვებივით,
მონათულ დასტას ხალისიანად ამატებენ გონივრულ სურათს,

რითაც ხანდახან იხიბლებიან, ხან სულ არ ესმით,
და დროდადრო ანგრევენ ისევ.

უფსკრულის მიზიდულობა

ო, თუ დაეცა ცოდვა-ბრალით ანგელოზთ მოდგმა,
ხორციელისგან რად მოელი, რომ იდგეს მედგრად?
რომ ხრამებისა და უფსკრულთა ხახის მხედვარე
მზით განათებულ გზას გულმშვიდად რომ გასდგომოდა?

ყინვის ნაპრალი – ამეთვისტოს თვალი – ციალებს,
ფარულ დინებით ბორგავს, ღმუის მიწის ღრმა ხვრელი,
ბჭეთა ლოდს უკან, კლდის ნაპრალით ზე აიტაცებს,
იზიდავს, უხმობს განდევილებს საკურთხეველი, ...

და ამ ყველაფერს შეეღიოს, შეუმეცნებლად?
არ დაივიწყო, *ღმერთო*, რომ ის საფრთხით ხეირობს,
და იგემოვნებს ამ ცხოვრებას ის უკეთესად,
თავს თუ დააღწევს, არცთუ ძნელად, სიკვდილს, სეირად!

სულო, სიკვდილი რატომ გაშინებს?

სულო, სიკვდილი რატომ გაშინებს?
რას მოელოდი შენ უიმედოდ!
არ გაიშლება შენთვის აწ ვარდი,
რომ შეატოვე სუსხს შემოდგომის,
მივიწყებული ქარმა გაყინა.
სულო, სიკვდილი რატომ გაშინებს?

ჰოი, რამდენი რამ იწყებოდა!
ჰოი, რამდენი რამ დაიკარგა!
და რაც ხელთ მეპყრა – ახლაც ვცახცახებ –,
არ დაჭკნა განა, იქვე ჩემ გვერდით?
დამრთე მე ნება, ვსინჯო ერთხელაც!
რადგან მეყოფა ამჯერად გონი...
თუმცა, ზღურბლს იქით კი არ მომაგო
ჯერაც ამ მხარეს: მომმადლე ნება!
ზღვა საზრუნავმა ხომ არ დაგღალა?
სულო, სიკვდილი რატომ გაშინებს?

რადგან სიკვდილი, ვგრძნობ და ვიცი, არ არის ძილი,
ხსოვნა წაშლილი და მოგონება,
იმედჩაკლული დროების ჟამს რომ
შევევედრები, კვლავ მომემადლოს...
რადგანაც ვიცი, მოელის განსჯა
დაშრეტილ ცეცხლს და
უამრავ ვნებულ, გაყინულ ყვავილს,
ხილს დაობებულს –
და სიყვარულსაც, სიყვარულს, ასე
ჩანავლებულს, ნაპერწკალივით.

ჩაშლილი მოგზაურობა

ჩვენ გადავწყვიტეთ გვემოგზაურა
და საამისოდ ბარგიც შევეკარით.
დამშვიდობება გვსურდა, ვიცოდით:
ცოტა ხანს არვინ მოგვინატრებდა.

მაგრამ უეცრად ჩაიკეტა ქვეყნის საზღვარი;
სამხრეთის მხარე ჯერჯერობით რჩებოდა ღიად.
მე გადახვეწა უცხო მხარეს არასდროს მსურდა.
დავრჩებით მაშინ!

თუკი ხიფათი გველოდება, რა საჭიროა
მოვინახულთ შორეული სხვა კუნძულები?
თუ მეზობელი ჩვენი გმირად გადაიქცევა,
ღვთაებათა ტორსების ხილვის სურვილსაც ვკარგავთ...
მაცდურად გვიხმობს ოქროსფერი კლდეები სალი,
მოვერცხლისფერო, მოშრიალე კორომთა თავზე;
ტალღათ საფირონს იისფერი გასდევს ჩრდილები,
როცა ანაზღად დაივანებს საღამო წყნარი.

მატყუარაა გზაც, მოლაპლაპე,
ღბილ, მოლივლივე ტალღებს ზეგარდმო
გადაჭიმული, მცხუნვარე მზემდე!
ჩვენ ვერასოდეს შევბედავთ ამ გზას.
ვერც შენ, და ვერც მე.

მე მხოლოდ იქით მსურდა მგზავრობა,
სადაც ჩემსავ თავს ვერ შევხვდებოდი.
მე ყველაფერი დამეთმო მსურდა.
ყველაფერი, სამარადისოდ.

მოგონების ბაბირზე

სიყმაწვილისას მოვკვდებოდი დაუფიქრებლად.
უკვე ვიცოდი ყველაფერი, გავიგე, ჩავწვდი!
ყოველნაირი მონატრება გადავიტანე,
ყოველნაირი ნეტარება მქონდა განცდილი.

და არ ვიცოდი, რისთვის უნდა მეცოცხლა კიდევ?
და ერთდროულად მართალი და მტყუნინც ვიყავ.
რადგან ცხოვრებას გემოს ვატან სიბერეშიაც.

რაღა თქმა უნდა, არ მომელის სიანლე ალბათ.
მაგრამ უტკბესი რაოდენი განმეორება,
მანც რამდენი დასტურია, თუნდაც იმ პირველ,

ღრმად ნაგრძნობ, მაგრამ ვერგაგებულ და
დაუჯრებელ სიამეთა! – მე მოგონების
ბაბირზე ვსწავლობ ნაბიჯ-ნაბიჯ თამამად გავლას,

უკიდევანო მარტობის უძირო ხრამზე.
მიჯნურისათვის განივშლილი მკლავები, აკი,
წონასწორობას გვინარჩუნებს ღროის ქროლვაში...

რითღა შეგიცნო

ცოტა რამ თუ მაქვს შესწავლილი განვლილი წლებით.
მხოლოდ კანონი ხელუხლები მთლიანობისა.
ასე რომ, აღარ ვიტანჯები, თუ არ მეგულები,

იქ, სადაც ყოფნა შენ არ ძალგდის: უხამს ხატებში,
ქალთა ხოტბაში, მტრულად განწყობილ ცნობისწადილის
ნენის ფერთა სიმკვეთრეში. და აღარ ვშიშობ,
რომ ვერ გიხილავ, როცა შევხვდებით.
ბუნებრივია შევიცნობდი შენს ხმას ხელახლა
და შენსა მზერას, შენს ხელწერას და მსუბუქ ნაბიჯს.
თუმც რადგან უკვე არ მეტყველებ, არ მზერ და არც წერ,
არც მიმოდიხარ –
რითღა შეგიცნო? – აღმოხდენილი აღტკინებით.
სულიერ სუსხის გაბზარვისას ხმობა-წკრიალით,
მაღლიერების აღმურიან მსურვალებაში,
რომ შენ არსებობ, და გიმადლი, რომ შეგიცანი!

მიტოვებული საფლავთან

შენ, სიხარულთა ნაჟური, მწირი,
სულიერ ტკივილს ძლივს გამოსწურე, —
ღრმა თავმდაბლობით რომ მოგვეახლე,
უფრო გლახაკი, ვიდრე — სტუმარი,
ვინც არხეინად მცხოვრებთ გვეახლა.
საჭიროებდი მხოლოდლა კუთხეს,
მგოდებელს თავი რომ შეგენახა...
ჩვენ კი მალევე შორს გაგისტუმრეთ.

შენ ბუნდოვანი ვალდებულებით
გსურდა ცოდვათა ღრმა აღსარება.
ჩვენ არ გათხოვეთ ყური სრულებით;
რადგან გვეწადა კვლავ გამგზავრება.
იმედად ყოფნას გირჩევდით სრულად...
შენ კი გვიმზერდი შავად და მრუმედ.
კარებს სტოვებდი კვლავაც განხმულად,
თუმც, პირი უკან არვინ იბრუნა.

მალევე იგრძენ ცრუ ზმანებათა
ბრჭყალები, ჩუმად რომ მოგეპარა.
უაზრო ბოდვის ზნე დაგემართა,
რამაც შენდამი ზიზღით შეგვზარა.
თუმც, ვერ განვკურნეთ საღმობა შენი,
გავერიდენით ჩვენს საფრთხეს მხოლოდ.
ახლა კი ღროა, რომ შევისვენოთ.
მკვდარი ხარ უკვე, მოგელო ბოლო.

ჩემი ეზო

ჩემი პატარა, ვიწრო ეზოდან
მომჩერებია მე ოცდაოთხი
თვალი, ქვემოდან ამომზირალი.
მაგრამ რაკილა მათ თვალის ჩინი
აქვთ დავსებული, ან ასე ჩანან,
ვერას აკლებენ, ვერ ერჩიან
ჩემს მარტოობას.

ჩემ პატარა ვიწრო ეზოში
მოისძმის შაშვის მოძახილი,
დაბინდებისას და სისხამ დილით.
მე არც კი ვიცი, სადა აქვს ბუდე.
არც როდესმე მომიკრავს თვალი.

თუმცა მტრელები ლულუნებენ
შუადლის ძალზეც
და ეშვებიან ისარივით,
უმიშრად, შახტის რუხ წიაღში.
ორ უსუფთაო სათლებშუა,
ნაღვენთ გუბეზე,
ჩამოჯდა თეთრი.
სიქათქათით ისე ელაგდა,
რომ მომჭრა თვალი.

მზის ერთი ლაქა შუადლისას
სარკმლიდან სარკმელს
აწყდება მუდამ;
ბავშვიც კი არსად მეგულება,
სადმე ზემოთ რომ თამაშობდეს
და ხელს მიშლიდეს.

მთვრალი პოეტი

წითელი ფარდა ჩანჩქერივით ეშვება, მოდის,
ჩემსა და ყოფის ყოველდღიურ სამყაროს შორის.

თქვენი ჩემდამი საუბარი, ვაგლახ, არ მესმის.
მჟღერ სიჩუმეში იბადება ეს ჩემი ლექსი.

ნისლში ჩაკვარვე სინამდვილე ჩემი, ბედითი.
ღრუბლების მიღმა იღებს საწყისს აზრი ქმედითი.

რაც ვერ მიცვნია და ვერ ვარქმევ მორგებულ სახელს.
რაც აოგნებს და სანთელივით სითბოს მიაგებს

და ვინც მოხვეჭას მოისურვებს, სულ ვერ მიაგნებს...

მე მეზინია

შიშმა შემიპყრო.

გკითხულობ გაზეთს, ვუსმენ რადიოს
და ქადაგებას: რომ ჩვენ მფლანგველთა ვეკუთვნით კასტას,
მაშინ, როდესაც ინდოეთსა და ბიაფრაში შიმშილობს ხალხი.
ასეა მართლაც: მივირთმევთ ზედმეტს და რაც მოგვრჩება,
გამოვკვებავდით სულ იოლად კიდევ ერთ ბავშვსაც.
რა გზას ვეწიოთ, რა ვიღონოთ? მე შიში მიპყრობს.

გკითხულობ გაზეთს, ვუსმენ რადიოს,
რომ ქვეყანაზე უამრავი ადამიანი ცხოვრობს, და უკვე,
სულ ცოტა ხანში, მათი რიცხვი გაორმაგდება.

"აბები აქეთ!" გაიძახიან კაცობრიობის საქმიანი
ქველმოქმედები. "თქვენივე ღმერთმა არ გიქადაგათ,
ღელამიწის დამორჩილება? განა, მიწისგან არ ჩამოიქნა
ადამიანის სხეული თავად? ღმერთს ენდომება
მილიონთა დამშევა განა?"

არა... არ ვიცი... "თქვენ გირჩევენიათ
შემდგომშიაც სამჯერ მეტი შეილის გაჩენა,
ვიდრე ქალები ფეხმძიმობის სურვილს იჩენენ? და, ნუთუ,

გიჯობთ

ემბრიონი გადაგდებული, ვიდრე – ტრაპეზზე მირთმეული აბი

ჩაროზად?

გვიპასუხეთ, თქვენ, პირფერებო!" ასეა, ალბათ,
იქნება და ხართ მართალნი. განა, სიკეთის სურვილს ჭეშმარიტ
ადამიანურ მაღლად არ თვლიდეთ, ხოლო ნაკლებ ბოროტებას
ჰუმანურად მიიჩნევდეთ, მისაღებია? თუმც, ამის შემდგომ
არჩევანი გვეძლევა ისევ. ახლოს იქნება ჩვენთან ქრისტე,
არ მიგვატოვებს. ამ მოვლენებში თუ ქმედითად არ ჩაერევა,
აირჩევს მაინც. ნაკლებ უარესს. მე თუმცა ვხედავ
ბოროტებას მხოლოდ უარესს! ყოველი მხრიდან
მესმის იგივე სამომავლო მოწოდებანი: მოსახლეობის

ზრდის ტემპები კვლავ მოიმატებს. უპირატესი მნიშვნელობა აქვს განათლებას. თავისუფლებას დაიცავენ უფრო ქმედითად. ჩვენ ვსაჭიროებთ ფედერაციის იარაღით აღჭურვილ ძალებს, ამბობენ ერთნი. სხვანი იღწვიან ცხოვრების დონის უსწრაფესად ამაღლებისთვის: "ჩვენ კომუნისტებს შევუზღუდავთ ყველა გასაქანს! უკვე დღეისთვის უკეთ მიგვდის ჩვენ საქმე, ვიდრე ჩვენსავ მოძმეებს რკინის ფარდის მიღმიერ მხარეს. და სამუშაო კვირა ორმოცსაათიანი გახდება მალე, ქვრივთა პენსია გაიზრდება (ბიუჯეტი თუკი გაწვდება)." სიტყვაც არ ისმის

განვითარებად ქვეყანათა ეკონომიურ დახმარებაზე. სულ არაფერი – მსოფლიო ბაზრის გონივრულ მართვას რა დახმარება დასჭირდებოდა? "მსხვერპლს ითხოვს ხმები აწ საზღაურად! მალულად მუდამ ვეხმარებით, თუმც – უმნიშვნელოდ: რომ არ დაუმან რევოლუცია... გადამდები... უნდა შეჰპირდნენ, რაც სწადია უმეტესობას და ნაწილობრივ ახერხებს კიდევ. გასწით ურნებთან! ქრისტიანებო, ძვირფასებო, უკეთესი მომავალი ვაშენოთ ერთად! მეტი ფული და უფრო მეტი უსაფრთხოება, თავისუფლება უსაზღვროდ მეტი!

უკვე საბავშვო ბალებშიაც – საათები აგიტაციის, და განუწყვეტლივ, მოძღვენო წლებში, მოსწავლეებიც საკუთარ მშობლებს მოძღვრავენ შემდეგ, რომლებიც ისევ ძველ, დამთრგუნველ ჩვევებს იცავენ, რადგან არიან აგრერიგად შეზღუდულები... და საბოლოოდ აქვს თითოეულს *ნებისმიერი* აზრის წარდგენის სრული უფლება; რადგან იციან: გზას იკვლევს მაინც საუკეთესო! აკი, ამგვარად ქმნით საბოლოოდ ვარგის პლაკატებს, თქვენ, საბრალო ქრისტიანებო, ოდნავ უხამსი საკმაზით; რაიც ფარულად ახდენს გავლენას შემდეგ.

ვიდრე თავს იმკობთ, გეტოში რჩებით!
ძმობაა ისევ მოწოდება. და დახმარებაც
უნდა იყოს მართლაც ქმედითი! ხომ არ არსებობს დანიაში
სექსუალური დანაშაულის დელიქტი ჯერაც –
პორნოგრაფიას მხარს ამიტომ ვუჭერთ ამჯერად!
(ვინ იფიქრებდა, რომ ახალგაზრდებს დავიცავთ უკეთ,
თუ პროპაგანდას ვუწევთ უხამს მანკიერებას...)
წარმატება ყველაფერია! ადამიანი სულ მოკლე ხანში
შესანიშნავად დაიგეგმება, სქესს, გონებასა და ემოციებს
წინასწარმართულს გახდიან, მჯერა. ჟამმა ჩამოკრა,
მოვძწიფდით უკვე! მსოფლიო ცოდნით
ელექტრონულ ტვინს ვაიარალებთ, კარგა ხანია
დაგროვდა ცოდნა, იმ ოდენობით, რომ ველარ იტევს
ადამის ძეთა მეხსიერება. და, ნუთუ, ვინმე
ეწევა ამით ბედნიერებას? – თავქარიანო ქალო! გვიშველის,
უაზროდ თავს თუ არ მოვისპობთ, არ დავიღუპავთ,
ეს გადაგვარჩენს! გახსოვდეს ხიდი, საჰაერო,
ბიაფრასაკენ... ეკუმენიის დასტური
მართლაც! და გაუმარჯოს
განუხრელ წინსვლას!"

ბიაფრას წიაღ
ნავთობი რომ არ ყოფილიყო,
და მაგან ძალთა ინტერესს რომ არ მორგებოდა,
არ ყოფილიყო იარაღი "განვითარებულ",
მზვობარ ხალხთა, არ ექადაგათ მისიონრებს
პროგრესსა და განათლებაზე, ჯვრის ძლევისა და
ჩვენი ხსნისათვის, უსამართლობის უიარაღოდ
შემცვლელისთვის კი, ალბათ, ნაკლებად, –
ბიაფრაში ხომ ომი არასდროს იქნებოდა...
"ამის ხმამაღლა თქმას შენ როგორ უნდა ბედავდე!
ეპისკოპოსი ამ აზრს შენსას არ მოიწონებს!
თუმც, სხვათაშორის, მაინც კეთილ ნიშნად ითვლება:
მორჩილება სადღაა მაშინ?"

მე მინდა ვლუძე. თუმცა კი, შიშით შეპყრობილი, კიჟინებს,
ყვირის!

მეშინია, რომ ეს პროგრესი ჯოჯოხეთის გზას გაგვიყენებს,
რისიც მე მჯერა ისე, ვით ზეცის. რადგან ვჭკვრეტთ ნიშნებს.

და ეს ნიშნები შეფარულა წმიდა წერილში...

მე მეშინია! რატომ ვამტკიცებთ განუწყვეტლივ,

რომ ჩვენ ვართ საღად მოაზროვნენი,

თანამედროვე, განსწავლულნი, წინსვლის მომხრენი,

და მხოლოდ იმას აქვს მნიშვნელობა, რაც აქ არსებობს,...

და ჩვენს კარდინალს გადაეცა ეს წერილობით,

როგორც ყველაზე პატივსაცემ პიროვნებას, სახელმწიფოში –

თუმცა, თქვა ქრისტემ: თქვენ შეგიძლებთ ყველა,

ჩემი სახელის გამო! – სრულიად ყველა,

ყველა ხალხი! ... ალბათ, არც უნდა აგვერჩია

ორ ბოროტებას შორის ნაკლები?

არ იყო განა

ჩვენი მთავარი საზრუნავი

სწრაფი დაძლევა განათლების ნაკლებობისა?

განა არ უნდა

გვშინებოდა, სასაცილოდ, მოძველებულად

წარმოჩენისა, თუკი გვეწადა მისი გზით გვევლო,

ვისაც დაადგეს ეკლის გვირგვინი?

ალბათ, არც იმის გვშინებოდა, ზოგიერთებმა,

რომელთაც აფრთხობს საიდუმლო, სვლა რომ შეიძლეს...

და არც ისურვეს – აეხსნათ იგი, ან უარეყოთ?

მისგან ებოძათ ნება წასვლისა. შიში გვაქვს ყველას...

ალბათ,

არა გვაქვს საკმარისი შიში ღვთისადმი. მას არ სურს

ჩავწვდეთ, თუ რას გვიბრძანებს, ერთი მხოლოდ სურს,

რომ აღვასრულოთ.

ვერაფერს ვხედავ; ღრუბლები მეტად მრუმეა, მუქი.

მანქანების ხმაური მახშობს.
არც კარგად მესმის...

მე მეშინია.
მიპყრობს შიში განუწყვეტელი.

ნუ განსჯით

მე შეპყრობილი
და ვნებული რომ ვყოფილიყავ,
მაშინ უფლება მექნებოდა,
იმედის არსზე რომ მესაუბრა!

მე რომ
ღუმილის ნაცვლად, „არა!“ წარმომეთქვა და,
გადახვეწილი ვყოფილიყავ შეუცნობელში –
მაშინ უფლება მექნებოდა, რომ დამელოცა
თავშესაფარი, სანდო დამცველი.

მე რომ
ისეთი ღვთისმოსავი ვყოფილიყავი,
ვით – მაკაბელთა დედა მავანი,
გლოვა-ტირილი აღარასდროს დამჭირდებოდა.

მაგრამ, რაკილა მე უძლური ვარ,
ჩემს ქმედებაშიც და ჩემს რწმენაშიც,
ალბათ, ამიტომ, ჩემი ვალია,
ვიტანჯებოდე, წინდახედულად
ვუსწორო თვალი მომავალ მერმისს.

ნუ განსჯით მუდამ
მათ, ვისაც შიში დაუფლებია... აკი, ურჩევდა მაშინ მხსნელი,
გოლგოთის გზაზე უნუგეშოდ დარჩენილ ქალებს,
ეტირათ კვლავაც შვილებსა და საკუთარ თავზე?

უფალი არ ცნობს რიცხვებს

ისევ და ისევ
ვიმეორებთ ლოცვით, მღვდელმთავრის
ძველ განჩინებას:
„უძვობესია, რომ ერთი მოკვდეს,
ვიდრე მთლიანად მოისრას ხალხი!“

ჯერ არასოდეს მიგვიტანია
გულთან ახალი მღვდელმთავარის
სიტყვა ახალი, და არც სამწყსო და
არც ხალხი მარტო არ დაგვიგდია,
რათა ის ერთი, ერთადერთი მოგვეძებნა,
გზას აცდენილი. და მყის დაგვეხსნა,
სამარცხვინო ბოძზე გაკრული.

ერთს სასიკვდილოდ ვტოვებთ ნიადაგ.
და მასთან ერთად ჩვენც ვიღუპებით.

მე რომ...

მე შენ საკმაოდ რომ მყვარებოდი,
მაშინ არ უნდა წოლილიყავ შენ გათოშილი,
როცა მე თბილი მატარებლით საამოდ ვმგზავრობ.
ვერ უნდა შევძლო, შევექცე საჭმელს
მაშინ, როდესაც შენ კვლავ შიმშილობ.

მე შენ საკმაოდ რომ მყვარებოდი,
მაშინ არასდროს დაგჭირდებოდა
საკუთარ ტყავის და თავის დაცვა:
გამოვიწრთობდი მარჯვენას ცეცხლში,
შენ სიყვარულით ვიდრე ღვიოდი.

მე შენ საკმაოდ რომ მყვარებოდი,
განიხმებოდა ზღუდეც კი შენს წინ,
ისე, ვით წმიდა პეტრეს წინაშე,
და მოირბენდი ჩემთან მღიმარი,
შენ, ჯოჯოხეთის ბჭეების გავლით!

პითხვა

შენ რა განკურნე, მაცხოვარო,
რომელ ნაპრალზე გადასდე ზიდი,
რა იარები მოაშუშე და
ვინ შეარიგე?

ცოდვის სიმძიმით დაღდასმულნი აღარ არიან,
სამყაროსა და შემოქმედს შორის დაიდო ზავი.
შიში და ძრწოლა სიმამაცით გადაილახა,
და განიწმინდა სიყვარული უნდობლობისგან!

ალილუია

ალილუია ავსებს თალოვან
და ზვიად სივრცეს, სადაც უწონო
სიცარიელე სილალით სუნთქავს.
ისმის დიდების საგალობელი,
ერთსულოვანი, ანამლერი ათასი ყელით...

თუმცა, ყურადღებით დაუგდე ყური,
რა შეერია ამ ჟღერადობას,
თითქოსდა ერწყმის ძაღლების ხროვის
წკაკაკავი, ყეფა, აღტაცებული:
იყნოსეს, ცნობენ ნაბიჯს პატრონის!

ეს პირველქმნილი მხედრონია
ანგელოზების თუ – მივიწყებულ,
უხსოვარ დროთა საფლავებიდან
სულ ცოტა ხნის წინ თავდაღწეული,
განაოცები, უცხო სულები?

მათ აშოშმინებს ნიშანი უმაღ.
მზარდი ზუზუნი არ მეორდება.
მაგრამ სულ ოდნავ საგრძნობი თრთოლა
დაუურველი აღტკინებისა
აზანზარებს დარბაზის კედლებს!

გადასვენება

დავუტევეო მე ყველაფერი, სიმოვნებით!
მზადა ვარ მუდამ...
თუმცა, ოთახი, – ნავსაყუდელი,
ნუგეშით სავსე წიგნებითურთ?
და სარეცელი, თავშესაფარი
სიზმარდაცლილი სავანის წიაღ?
ყვავილობის წინ, ცაცხვის ხე ჩემი?
სურნელოვანი
წინათგრძნობა, გულის სიღრმეში...
ყმაწვილები, მომავლით სავსე:
სავარაუდო მიღწევები,
დამარცხებები,
სიყვარულის ყველა ტრიუმფი...

არ გამოდგება გაზაფხული
გადასახვეწად.
დამანებე დარჩენა ჯერაც!
ვიდრე ზაფხული გადაიწვერებს.
თუნდაც, ნოემბრის ხშირ წვიმებამდე...?
კერას არაფრად ჩავაგდებ მაშინ,
და შევბაბიჯებ მჟინულავ ღამეში?

ერთს რომელიმეს თუ დაუტევებ,
გულსატკენია.
იოლი კი – შეელო ყველაფერს ერთად.
მიხმე! და უკან არც მოვიხედავ...

იველი

რისი ქმნა ძალმიძს, ჩემო უფალო, ვადა თუ სრულად ამოიწურა?
არ გამაჩნია არავისთვის მისატყევები, რადგან არავინ
მომქცევია მე უსამართლოდ!

და ვერანაირ ვალს ვერ მოვითხოვ, რადგან არა აქვს
ჩემი ვალი ქვეყნად არავის.

მე კი მაქვს ვალი, საურავი რომ ემატება –
და ვერც დავიხსნი ვერასოდეს თავს ვალებისგან!
თუკი უნდა ვიცოცხლო კიდევ, ახალ-ახალ
ცოდვას ჩავიდენ, ვერ ვღებ პირობას.

შენ ხარ, უფალო, ჩემი საყრდენი, შენ წინასწარვე
გაასწორე ანგარიში ყოველნაირი!
ეს რახანს გასატანს, დიდხანს, მცირეხანს –
მე შენს წინაშე ვდგავარ ასე ხელცარიელი.

ხომ არ ვიძალღებ თავს ჩემი ნდობით? ვადიდებ მხოლოდ
გულმოწყალებას შენსას, უფალო!

ჩემი მხურვალე ქედმაღლობა განქარდებოდეს
მორჩილების მიმსროლ ღრუბლებში,
და ჩემეული უსასობა ჩამოიყონოს
მხსნელი იმედის
ყინულოვან ყვავილწნულებად,
მინის დათრთვილულ სამარის კართან....

მფარველი ანგელოზი

აღმოვაჩინე რაღაც, ვხედავ, ამბობდა ბავშვი.
მართლაც არსებობს ანგელოზი, მფარველი ჩემი!
საწოლის კიდეს ჩამომჯდარიყო,
მაგრამ თვალს ვიდრე გავახელდი,
გაუჩინარდა.

ალბათ, სიზმარი თუ დაგესიზმრა!

არა! თქვა ბავშვმა; დარწმუნება მსურდა
ნამდვილად, ავდექი კიდეც,
გადმოვიხარე: ვუთვალთვალეზი.
მართლაც აქ იყო!

საიდან იცი?

საბნის კიდე შეკეცილია, სადაც ის იჯდა.
ნუ გეცინება, ცხადად ვხედავდი.
ახლაც კი ვხედავ, ისევ, სულ ოდნავ!

ანგელოზს ზურგი არ გააჩნია,
საბნის კიდე ვერ შეკეცავდა!
კარგი სიზმარი დაგსიზმრებია,
ჩემო პატარავ, გეყოს, დაწყნარდი!

მე ვერასოდეს დავწყნარდები
ასეთი ახსნით.

ანგელოზს თუკი თვალები აქვს,
რომ დაგვინახოს,
პირი აქვს, ჩვენთან სასაუბროდ —
რისთვისაც აკი გვსტუმრობენ კიდეც! —
რად მეუბნება დედა მაშინ,

ზურგი არ აქვთ და,
აბა, როგორ დასხდებიანო?

საიდან უნდა იცოდეს ღელამ?

სწორედ მაშინ ვირწმუნე მათი
და ცხოვრებაც კი დამჭირდა, რათა
ცნობისმოყვარე ახირებას
ისევ გავცლოდი.

რათა მიმელო ნდობით,
რასაც საკუთარი
თვალით ვხედავდი
და ნათლის სხივიც,
ჩემს გულში უცებ
რომ აელვარდა:
ზღვა სინარული!

შემობრუნება

სხვანი საკუთარ ცხოვრებისგან თავგადასავლებს აკოწიწებენ.
მე კი ჩემივე ამბების განცდა შევიძლო უნდა.
უზარმაზარი მოთხოვნილება ცხოვრებისეულ მოვლენათა
ამოგებისა, მაფორიაქებს: მწადია კვნესა, ცრემლები, სულთქმა.

ღმერთო ძვირფასო, აწ ნუღარაფრის მოგონების ნუ მომცემ
ნებას,
თორემ მამხილებს შენს წინაშე უამრავი ცოდვა და ბრალი;
და თუ მკითხავდი: ასეთი რამ როგორ მოხდაო,
გაგენდობოდი, ვაღიარებდი: შენთან არ ვიყავ.

ერთი ტრამატის ფურცლისას

ირგვლივ ნუგბარი
მწიფს ხილეული,
მწვანე, ხასხასა ბოსტნეული
თავს თვით გვთავაზობს!
რად მაიძულებთ,
აბებით კვებას,
უგემური და
ან, უარესი,
ნაყალბევი არომატებით —
ცოცხალი ხილის
ნასესხები, საეჭვო სუნთქვით?

თქვენ გვეუბნებით,
რომ ღოზირება,
ერთ ადამიანს რაც სჭირდება,

უზუსტესია.
საფრთხეს არ გვიქმნის
ნაკლების, ან ზედმეტი აბის
სიხარბით შთანთქმა.
მოუნელები კი არ არის,
სტომაქს რომ შერჩეს...

იცოდეთ ერთი: რომ მე მჭირდება
"მოუნელები რამე" სწორედაც!
მოვისურვებდი
დანაყრებას და ხანდახან ზედმეტ
სიმაძღრესაც, ხანდახან იქნებ
ავადაც გავხდე, ხანდახან, ნებსით
მარხვას შევუდგე: მოვსინჯო თუნდაც,
ის, რასაც ასე საჭიროდ თვლიან,

რომ აირიდონ, ვინძლო, სრულიად!
პირს წყალი მომდის,
ხან კი ზიზღი
მიბოჭავს ტუჩებს.
რადგან მინდა, რომ დავიგემოვნო,
რასაც მივიროთმევ,
ზომა-წონის და დათვლის გარეშე!

მომმადლეთ ხილი
სიცოცხლის ხიდან!
დამპალ ადგილებს
გადმოვაფურთხებ – როცა იქნება!
საინტერესოდ არ მიმაჩნია
არც "აბსოლუტი"
და არც –
"გული სინამდვილისა",
რაკილა მიყვარს
თვით სინამდვილე!

უფალი ჩემი
ხორცად გარდიქმნა.
პურად. და ღვინოდ.
და შენც – და მეც...

რიცხვთა საიდუმლო

I

მავანნი გრძნობენ რიცხვთა შორის თანხმიერებას.
ჩვენ კი ვაჯამებთ, საზღაურის ამოსაგებად,
რაც ჩვენ გვჭირდება სიცოცხლის ან სიკვდილისათვის.

ისე, ვით ბრძეები
ვარდის წიაღში
ამ სარკეში სამყაროისა,
ვერასდროს რომ ვერ
იხილავენ ფარულ განფენას,
თუმცა, სურნელით, ალბათ,
მაინც უღებენ ალღოს
იღუმალის უსაზღვრო სიღრმეს...

ჩვენც, გულისხმიდან განძარცულებს, რიცხვები არას მიგვანიშნებენ.

შემთხვევით გვერგო დღე გაჩენისა,
და კვლავ შემთხვევა
მოგვიღებს ბოლოს,
თუნდაც პირველსა ანდა ათ რიცხვში.
სარკეა, ფარდით შესუდრული,
ის დღე და რიცხვი. ვერ შემოგვცინებს
ვერც საკუთარი სახის იერი
და ვერც – ქვეყანა.

განძარცულნი ვართ?

ჰოი, ასმაგად
უჯდება დედას მოთმინება და მრავალგვარი
ხრიკებით მართავს თავნება შვილს სიკეთისაკენ:

სურს, რიგიანად მოიქცეს, თუნდაც შეუმეცნებლად.

შეცნობა ნებას აფრთიანებს. სიყვარული კი
ბედნიერებას მოიპოვებს გამგონე ნებით.
გზა და მიზანი ერთ საკითხში ემთხვევა ერთურთს.
ზეიმობს სული ნეტარ აწმყოში! – გაცეცხულ სააქაოში?!

II

ჩემთვის კი იგი იღუმალ ნიშნად
აცისკროვნებს მხოლოდ სახელებს.
ისევ და ისევ იგივეებს,
უდაბური ტყის მოხრილ
ხეებზე.

ნეტავ, რომელმა ანგელოზმა
უცხო ფუნჯითა და საღებავით,
მომიხატა ეს ნიშნულები?
(რომ ვუმაღლიდე!)

როს უსასოომ და დაქანცულმა,
საბოლოოდ ხელჩაქნეულმა, მიმოვიხედე –
იქ, ძნელად სავალ ეკალბარდებში,
თვალი მოგკარი ჩახჩახა გზამკვლევს,
ნამეხარი ხის დახეთქილ ტანზე!

და იქით, მიღმა
გადაშლილი და ნაყოფიერი,
ნისლით ჯერ ისევ დაუბინდავი,
იმედით ნაფიქრ-ნაოცნებარი
მიწაა, ჯერაც გაუკვალავი...

**ჩვენი კვირფასი ქალბატონი ფონ რობენდორფი
ფელიქს ბრაუნს, უკანასკნელი დაბადების დღის
აღსანიშნავად, 1973 წლის 4 ნოემბერს**

მიცვალებულთა გახსენების დღეს,
შენ გეკითხები, უძორჩილესი:
გარდასულთაგან რა დარჩა, მითხარ,
იოტა თუნდაც იმათგან ჩემში?

ისინი გაჰქრნენ, გადაიხვეწნენ,
ვერც მათ ღიმილს და ვერც მზერას ვხედავ.
და როცა ტკივილს გადაუურჩებით –
რალა შეგვრჩება იმედად, ნეტავ?

ეთერში, ალბათ, ხმა კვლავ გაისმის,
რომ გააჟღერა ერთ ღროს პოეტმა...
მიწყდება ისიც. მოგვიანებით!
ღრო ნამქერს აყრის გოდება-ხოტბას.

მე უსასრულო ზამთრის წინაშე
ვძრწვივარ: სინედლე სულ დაიშრიტა.
გადაირაზა ყველა კარიბჭე,
ბჭეთა მიღმა კი ვინ გაიჭვრიტა...

„ვერავინ? აკი, მე და ყრმას გვხედავ,
ნათელში ოქროსბაკმიან ფერთა.
ასეთი სათნო სახით გვხედავდა
წმინდანი ერთი, ორივეს ერთად:

ლაწვებით ვეკვრით ერთმანეთს მკვიდრად,
რომ არასოდეს ვცნოთ სიმარტოვე.
ჰოი, დედანო, თქვენ არ შეშინდეთ,
თქვენივე ვაჟი თუ მიგატოვებთ:

იგი თქვენ ისევ მოგემადლებათ!
მე ჩავჩურჩულე ჩუმად ჩემიანს.
თავის სიცოცხლეს დებს ის თავდებად!
იხილეთ: ის, ვინც არ შემრჩენია,

მას ვინარჩუნებ დღეს და ნიადაგ!
გვირგვინებისა არ გვდრეკს სიმძიმე...
აღწევს კართაგან მარადიული
და წარუვალი ნათლის ციმციმი?"

ჯერ ისევ

ორმოცდაათი წლის წინ რომ ძგერდა,
ისევ ისე ძგერს გული ბებერი, აჩქარებულად:
ჯერ – მოლოდინი, შემდეგ – შეხვედრა.
სულ არაფერი განქარებულა, ისეა ისევ:
არ მაქვს განწყობა, თუმც მემატება მაინც მხნეობა.
არა მაქვს ფრთები, თუმც მავანი ზეცამდე მაფრენს!

მე ამიტომაც მოვევლინე ქვეყნიერებას:
რათა შევწირო სიცოცხლისთვის მადლობა იმათ,
ვინც სიკვდილიც კი გადალახა,
ტანჯვის წინაშე ძრწოლაც დასძლია
და – ჩემი შიშიც.

ვარდები დატყვევებული სათქვის

სამზარეულოს თაროზე ვდგამ სალამოს ვარდებს,
რადგან იქ გრილა. მერე ერთხელაც
გავდივარ, რათა დავხედო ისევ,
შევძლებდე, თითქოს, კიდევ ერთხელ შეხვედრას შენთან
და – მადლობის თქმას.

ტყუილუბრალოდ
ვიძეორებ: კარგა ხანია,
ეს სტრიქონები დაწერილია. დიდი ხანია,
ეს დავალება მოცემულია!
არა, შენ არ აგირჩევია
ეს ყვავილები, მეწამულეებში
თეთრი შენ არ შეგირევია, უფრო სისხლისფრად
რომ ჩახჩახებდნენ იმ თეთრის გვერდით.

ო, რა უზომოდ დიდი ხანია,
შენ არ გინახავს არცერთი ვარდი!
სულ ახლახან, ოთხ რიცხვში, მსურდა მეკითხა ლამის,
თუ მქონდა ნება, რომ ერთადერთი
მომეცა ვარდი,
თუმცა, ვერ გავბედე.
გულს აგდებული ჩაცინებაც არ მომხვედებოდა. რაც
შენ უთუოდ დაგაბნევედა.
და აი, ახლა, ეს სისავსე! – ამაოდ ვფიქრობ:
ამჯერად ჩემზე
გულმოსული ხარ ოდნავ მაინც? ჩვენ ხომ ძალიან
ვჩხუბობთ ხანდახან. არ მეთანხმები?
ტყუილუბრალოდ.
შენი ოცნება მშვენიერებად გარდაისახა.
შენი ოცნება
სურნელებს, ჰყვავის. შენ კი
არა ხარ ჩემთან ახლოს. შენ, ჩემო ბავშვო,

გახსოვს თუ არა:

ეს შენ გინდოდა. აღსრულდა კიდეც:

შენ უკვე აქ ხარ.

სულ ჩემთანა ხარ, და ეს ვარდები

გულის წიად არ დაჭკნებიან.

ჩემში შროშანი იფურჩქნება, მზე წყალობისა!

პარპოთან

ვიდრემდის
კართან ვდგავართ და ვიცდით,
რომ გაიღება; ან ნაბიჯების
ხმას გავიგონებთ ან
საჭვრეტელი აციმციმდება,
სწორედ იმდენ ხანს
გვაქვს ჩვენ იმედი. უმაღლეს ერთმანეთს
დავუსვამთ კითხვას: დარეკე უკვე?
და ზარის ღილაკს მოვსიჯავთ ისევ.

სამარისებრი სიჩუმეა. არავინაა
სახლში ნეტავი? დამაბულობა განქარდება
ალბათ უთუოდ, შინმობრუნებულს
ხმას თუ გასცემენ, სუნთქვაშეკრული
კიბეზე მდგარი რომ იცინის: აქა ხართ უკვე?
დაიცადეთ, გაგიღებთ კარებს!

რადგან ამგვარი რამ არ მოხდება,
კარი არავინ
(არასოდეს?)
რომ არ გაგვიღოს!
მოსვლა აკი შევატყობინეთ.
იქნებ,
წერილი გაიბნა სადღაც ან დაიკარგა...?

რადგან ამგვარი რამ რომ მოხდეს, არ შეიძლება,
რომ მათ ჩვენ,
ჩვენ
Very Important Persons,
ლამის შელანძღულ კარებს უკან
სულ არ მიგვიღონ – ?

პირობა

მზადა ვარ, ცეცხლში მეჭიროს ხელი –
მაგრამ ალი რომ მეპოტინება, უკანვე ვიხვე.

სიამოვნებით მივცემდი ნებას, რომ გარდამსახონ –
სანამ შევიცნობ ნებისმიერ ადამიანში ჩემსავე სახეს.

მსურს, თავი დავდო მეგობრისათვის –
მაგრამ თუ მძინავს, ნუ დარეკავენ!

როგორ დავეხსნა ყოველივეს, მასწავლე ღმერთო? გთხოვ
დამეხმარე!

– თუმც, ახლა არა. შენ მეტისმეტად ზრუნავ შენს თავზე, ხარ
სევდიანი.
თუ სევდა-ნალველს დაივიწყებ, შევძლებდი მოსვლას!

ორთა საუბარი

ბურთის თამაში, მცირე, იოლი და მახვილი
სენტენციებით, იქით და აქეთ,
რიტმული ფრენით,
სწრაფი ნახტომით,
და მარჯვე ბრუნით!

დროსტარებაა, დროს რომ ყველაზე
უკეთ აღავსებს:
მოქნილს ხდის ფიქრებს.

ამასობაში –
სიჩუმე, მყისი,
ლურჯად ელვარე,
სხარტი მზერა მიხვედრისა და
გაგების, აღქმის მზაობისა.

და დრო ჩერდება.

კოზმარული სიზმარი

დაუსრულებლად – იგივე ხილვა, ტანჯვა სიზმარში:
მაგვიანდება, ო, არ გამასწროს მატარებელმა!
ვჩქარობ. ყველაფერს, განურჩევლად,
ჩანთაში ვტენი, ჭრელს, ნაირ-ნაირს.

მაგრამ ვიდრემდის გადაწყდებოდეს,
რომ მატარებელს, ზარის წკრიალით რომ იძვრის ლამის,
მივასწრებ მაინც, – მყის მეღვიძება!

რისი დაკარგვის შიშს ვატარებდი
მთელი ცხოვრება?
ახლაც მომელის წინ გამგზავრება,
რასაც სრულიად ბარგის გარეშე
აღასრულებენ აუჩქარებლად.

ან რა გამოძრჩა მხედველობიდან
მთელი ცხოვრება?
აღბათ, დათმობა უნდა ვისწავლო,
უნდა ჩავიკლა თანწაღების ყველა სურვილი,
იქ, სადაც არვის აღარაფრის ძალუძს წაღება...

დახმარება

ერთგულება?
ისე მოვიქცე,
თითქოსდა ერთხელ რაც მინახავს,
კვლავ თვალწინ მედგეს ღღენიადავ,
თუმც, რახანია, ღამემ შთანთქა
ხილულ-ნანახი?

ერთგულებაა:
ნდობა, რასაც
საწინდარი სულ არ სჭირდება.

ანდა – სიცრუე?
და თუ ირწმუნე სიყვარული,
ყინვა მწიფს სულში?

"ჭეშმარიტების წიაღ ჰგეიბ,
თუკი შეიგრძნობ მადლიერებას
იმ წამიერი მიხვედრისათვის:
რომ მას გრძლიობას
ნებელობა ანიჭებს შენი!"

ღიას, სიკვდილიც ღირს იმისათვის,
რომ, რაც თანდათან შემოგეცალა,
გაგზდის მარადი
ყოფიერების თანამოწილედ.

როგორ ვიხსნათ სიცოცხლე ჩვენი?

მარტოკაცისთვის
არის ღამის შეუძლებელი.
და იოლია, – თუკი ორნი

ერთი აზრის, გრძნობის არიან:

ის ათინათი, რაც ჩემს მზერას
ჩაუქრა უკვე,
მეორის თვალში აელვარდება.

დაგდები ზლის ზინ

ჩვენ შეუცნობლად ვცხოვრობთ. არ ვიცით,
როდის ვინილეთ თავდაპირველად
ფიფქების ცეკვა.
ისიც არ ვიცით, უკანასკნელად როდის გავალთ
ამ კარებიდან.

წინათგრძნობაც კი არ გავგაჩნდა; თავს ვუვლიდით და
ვოცნებობდით.
თუ ხელს გვიშლიდნენ, ვუხსნიდით: არა!
ო, რომ გვცოდნოდა, რა გვიან იყო! კეთილ საქმეს არ
გადავღებდით...

სათვალთვალ კოჰკი

ყველაზე უფრო რა გეძნელება?
ლოდინი, მოცდა. და – მღუმარება,
ღრუბლებში ფრენა.
მიმართულების არცოდნა სრული.
უღონობა და უმოქმედობა.
არ მომემადლოს ძახილის ნება.
მაჩვენე გზა და გამოსავალი ამ უსახელო წამებისაგან!

შენ უწყი ეს გზა! – მე კი გავაგნებ?
აკი, აღწერე:
ლოდინი ისევ და – მღუმარება.
ღრუბლებში ფრენა.
ელოდებოდე, არც კი შეირხე!
ნუკი მოიხმობ, ყური დაუგდე!

დედას. წერილები

"ნუ წახვალ მარტო სასეირნოდ!"
"გაიმართე და გაშალე მხრები!"
"მე შენ გენდობი, ვიცი არაფერს
მოიძოქმედებ, დამალულს ჩემგან!"

დარწმუნებული იყავი, დედი,
თუ მხოლოდ მწერდი,
ჩემი სინდისი რომ დაგემუხტა –
შინაგანადაც ელოდი ალბათ,
რომ ვერ შევძლებდი,
ვყოფილიყავი გამგონე შენი?

ტყავის გაძრობა ნამდვილად ამცდა,
თუმცა, სხვაგვარად...

ერთხელაც მწერდი,
მაშინ თერამეტი წლისა ვიყავი –
მიღებული ქცევის წესები, მცირედშიაც კი,
გულმოდგინედ დაიცავი და,
თუკი ნამდვილად აღასრულებ,
მით უფრო სწრაფად
გადალახავ წინაღობასო...

რა გონიერი იყავი, დედა!
რადგან შენ ჩემთვის
ზედმეტი ზრუნვა
როდი გინდოდა, შენ ჩემი დაცვა
შესძელი მეტად, უსაზღვროდ მეტად,
ვიდრე მაშინ გაიაზრებდი.

თუმც, ამას მხოლოდ
ათწლეულეულთა შემდეგ თუ მივხვდი.

ყვავები

კორიანტელი, ფრთაშესხმული, უთვალავ ყვავთა,
ყინვით ფერმიხდილ შუა ზამთრის ზეცისქვეშეთში.
სიცოცხლე, წიალ ყოვლისმომცველ მბოჭავ ყინვათა –
აი, ნუგეში!

შორს გადაფრენას არ ლამობენ. ხეებს სტუმრობენ,
თუ სძინავთ ნეტავ? რაზე სწუხან, ან ოცნებობენ?
სამარადისო სიცოცხლეზე – განსვენებაზე?
ასე მგონია, ორივეზე. როგორც – მე და შენ...

ასაკი

ჩვენ ყველაფერი გვაქვს უკვე ჭარბად:
სასმელ-საჭმელი, შესამოსელი –
უმეტესად კი, რაც ნიადაგ ვერ მოვიხელთეთ:
დრო – სასურველი!

ჩვენ აღარა გვაქვს არაფრის მადა.
და ვინებდებით სარკეშიც, რათა
სხვებში ზიზღი არ გამოვიწვიოთ.

აღარაფერი აღარ გვშეგლის:
ვართ ზედმეტები.

უცხო სამყარო

მე აღარ ვიცი სახელები
ახალ ავტორთა.

უშეტესად კი ერთმანეთში ვურევ მინისტრებს.
და ვიმახსოვრებ მეზობლების გვარსა და სახელს
კარზე მიკრული აბრის მიხედვით.

ამას კიდევ არა უშავს რა,
რომ ნაცნობი, დაუვიწყარი
სახელები არ ინთქმებოდეს
აბორგებულ ღრუბელთა წიაღ.

ვინ იყვნენ, ნეტავ, სინამდვილეში?
რა ვარ მე თავად?

გახანგრძლივდა ჩემი სიცოცხლე!

ყარიბთა სიმღერა

მე ვერ ვიქნები, ვინც ყოვნდება კარგა ხანს სადმე,
ჩუმი და უცხო უნდა ვიყო, გზას მყისად ვადგე.
არ ვცნობ სხვა მიზანს, თუმც მთავრევე კბოლედ გზას ჩემსას.
თქვენ არც კი იცით, რა სიამით ვყოვნდები თქვენთან.

ვინც მელოდება, საპრობილეს მიმზადებს მყისვე.
სულ მოულოდნელ სტუმრად მინდა ყველასთვის ვიქცე.
ნუ გეგონებათ, მიყვარს ლხენა, უქმი ბრჭყვიალი:
მიზიდავს მხოლოდ წვიმიან დღეს ტლუ ხეტიალი.

დღეს სინარმაცემ დამძლია და ვიამე ღვინით,
და ავირიდე ბუზლუნი და ტიკტიკი ტკბილი,
დამცინის ქარი, ძელზე ზარის რხევას რომ ბედავს:
უცხო სუფრასთან უცხო სტუმარს უცხოსთან ხედავს!

ო, შორს წასვლა მსურს, დამეხსენით, გამაგდეთ ახლა!
თუმცა, ქვეყანას უამრავი ხიფათი ახლავს!
გარეთ გამაგდეთ, თუ არ წაველ და დიდხანს შევრჩი!
გზა უდაბური, ალბათ, ჩუმად შემოდის ჩემში.

1934

აკოლონიის მოხმოვა

ბნელმობუბუნე კლდის ტყვეობას გამოერიდე,
რუხი ბაზალტის წიაღს მოსწყედი, ოქროდ ცვრეული —
მჟღერი, ვარდნილი წყაროს წყლიდან აღმოცენდი და
კვლავ განსხეულდი!

შენი საშიში კაშკაშის ელფერს
არ ვუფრთხი მაინც, გავურბი მახეს:
ცეცხლს შენი მზერის, მწველ ლაჟვარდისფერს
მივაპყრობ შიშველ, დაუცველ სახეს —
გესმის, აკოლონი?

ო, უკადრისობ, ხელთ გეპყრას ქნარი,
და უგვირგვინოდ მოდიხარ, მკაცრი?
ვით ხისტ ხატებზე იმ ძველ მხატვართა,
შენ მწყემსთმთავარო, სიმღერების მწყემსო მრავალთა?
ღუმს ბაგე სიმწრით და ბრმაა მზერა
წარბს შეხიზნული, არ ძალმიძს თმობა...
ვიდრე ჩამიკმედს ხმას ბედისწერა,
მიწიერ ქალის ისმინე ხმობა!

კვლავ დაიბრუნე, ოდითგანვე რაც რამ მომძადლე:
ძალა სიმღერის, ცდუნება და მონანიება!
აღორძინდება უღირსთათვის გოდებად ძადლი,
თუმც, გევედრება ყოველდღიურ ბედნიერებას:
შუბლზე ჭკნობისთვის განწირულ გვირგვინს,
მდელოთა მიმქრალ ნათლიერებას,
მყინვარი თოვლის მზისდაკრულ ციმციმს
ვერ იტანს ქალის თვალი და მზერა!

მსურს ერთ მამაკაცს გავუჩინო მოკვდავი ყრმები,
ყვავილებივით, არსთა დარად რომ იზრდებიან,
ცოტა ხანში კი დამტოვებენ მე ზრდასრულები,

თუმცა, მცირე დროით მაინც ჩემად ჩაითვლებიან!
და ვისურვებდი, სიხარულის და სნების შემდეგ,
თუკი ორივე მათივ ნებით მხვდება მე წილად,
უსახელო და ნოყიერი მიწის წიაღში
თავისუფლება მომემადლოს მარადის ძილად.

ამპარტავანი სიმღერების არ ძალმიძს სმენა,
მზარავს, ქნარს კკადრო სიტყვა ნაცადი,
სხვებს სიაძეს ჰგერის ხალხის შეცდენა,
ღვთის სასჯელს იწუნებს კაცად-კაცადი!
მახარებს ცელის მოპირვა ბასრი
და ნაპერწკლების ტკაცანით ცვენა,
ჭის ოწინარის ხრჭიალი მკაცრი,
და წყლის წვეთების რიტმული ღენა.

ის, რაც უმაღლეს განმად მიგაჩნდა,
თვით უკვდავება, – არასდროს მწადდა!
წაიღე, უწინ რაც მიწყალობე,
სიმღერის მადლი, ჰანგი ვარსკვლავთა.
რადგან გვთავაზობ ასეთ არჩევანს,
ამქვეყნიურს და მიღმიერს შორის:
ღმერთო! იცოდე, სიცოცხლეს ვარჩევ
და არად მიღირს სიტყვა, ვით ჭორი!

გესმის? ასტეხე თუნდ მეხთატენა,
თავი უხამსი რომ გაგესრისა?
ახლა იქ, სადაც კლდის ნაპრაღს ვხედავ,
მეგონა სახე აპოლონისა...
ჩემს ხმას შთანთქავდა გრგვინვა ძლიერი,
რასაც ვერასეზით გადავფარავდი –
არ გამაძევებს ხმა ზეციერი!
დატყვევებული ვყავარ მარადის.

საიმედო

I

აღსავსე არის სამხილებით სამყარო. ოღონდ იგი, ვინც ეჭვობს, ვერ შეიცნობს მათ ვერასოდეს, რადგან თუ ხედავს, ჰგონია რომ ატყუებს თვალი და სურს ჩაწვდომა. და თითებსაც აღარ ენდობა, სურს მოისმინოს. თუმცა, სმენა ეჭვს ბადებს მაინც: ესმით კი სულით სნეულებს ხმები? უნდა გესმოდეს, ხედავდე, ჩაწვდე... თუმცა, ყოველი მცდარია იქნებ, და გვაცდუნებენ ჩვენივე გრძნობები! იქნება სჯობდეს მოგვცეთ ნება, გამოვითვალოთ; რიცხვებს ვენდობით! არა, არც – რიცხვებს, ვინაიდან ისინი მხოლოდ შემოფარგლული სივრცისათვის თუ გამოდგება.

ან კი „ალბათ“-ზე საიმედო რა იქნებოდა?
უარყოფა. ჯოჯოხეთი. ეული ნული.
რადგანაც ვეჭვობ, ვარსებობ კიდევ! – მცდარი დასკვნაა!

ვისაც რწმენა აქვს, დაცულია! – ვის ძალუმს რწმენა?
მას, ვისაც უყვარს. გამოცდილებით ცოდნა რაკილა
ნიშნავს: ირწმუნო. რწმენა კი ისე იზიდავს სამხილს,
ვით ანდამატი – რკინის ნამსხვრევებს.

რადგან ის ცოდნა, რაც გაგვაჩნია, წარმოსახვათა თამაშია,
გასართობი თავსატეხია, ვერასოდეს რომ ვერ ავკინძავთ.
რომელიც წმიდა პირველსახეს ველარ აღადგენს,
რადგან რაიმე აკლდება მუდამ. თუმც, ნიბუშები
ხომ არსებობდა? მოძველებულად რომ მივიჩნევდით...
ვისლა სჭირდება ისინი უკვე? ჩვენ დავწვით ყველა.

II

ვით უსინათლო თითოეულ რხევას გრძნობს უძალ,
რასაც ჩვენ ვერ ვგრძნობთ, იცავს მანძილსაც,
და მთელ სამყაროს აღიქვამს სრულად, ყოველი გრძნობით
და არ შეცდება, რადგან ჩვენსავით გააჩნია თავდაჯერება –

ასე ბავშვებს თუ შეუძლიათ ჩაწვდნენ იმასაც,
რაც არ იციან: ყოველგვარ საფრთხეს, ქებას, სიყვარულს...
ბგერა და მზერა ატყობინებს მათ ყოველივეს.

ვერ მოატყუებ ბავშვებს, რადგან სულ არ ფიქრობენ,
ვერაფერს წყვეტენ. ვერ მოატყუებ ცხოველებს და
ვერც ანგელოზებს. რადგან ისინიც არ ფიქრობენ.

მაგრამ, ვაი რომ, სულ ადვილად ტყუვდება კაცი,
რომელიც ფიქრობს, ბერის და მზერის შეგრძნება რომ
დაავიწყდა, და ის ნათელიც, ტრფობას რომ ვარქმევთ!

ვინც ფიქრობს, მხოლოდ ვარაუდობს. ვინც გრძნობს, მან იცის!

III

რა ღიდი ხანი დამჭირდა, რომ სხვა რამ მესწავლა!
რადგანაც უწინ სიტყვის წიად ვეძებდი სამხილს,
რითაც მავანის ”დატყვევება” შეიძლებოდა!
ვინ ინადირებს მეგობრის გულს მზერით, ღიმილით?!

ველარ ვითმენდი, თუ მოხიბვლას თავს ვერ ვართმევდი;
იმ შეგირდივით, კარგი ნიშნის მიღებამდე რომ
აინტერესებს, ანგარიში თუ არის სწორი.
მასწავლებელი წამიწერდა მოკლედ – „ვნახეო!”
მავარჯიშებდა განტოლების სრულ ამოხსნამდე.

რა შეცდომები დამიშვია მაგალითებში!
დღეს კი, დასრულდა! დაგვირგვინდა გარჯა ზანგრძლივი,
ზღვა მოთმინების ნაყოფი და სათნო ნიშანი –
იმ უსახელო სახელისთვის გამოსადეგი,
რომლის ამოთქმა ჩვენთვის მუდამ აკრძალულია ---

შუაგული

მთვარეს რომ მისწვდნენ, მონღოლებით ქმნიან რაკეტებს.
თუ გამოთვალეს საკმარისად და დაიხარჯნენ,
ბოლოს და ბოლოს დაივანებს ადამიანი
მთვარეზე მწირი იმედით, რომ დედამიწაზე
კვლავ დაბრუნდება, ერთხელ მაინც, შინ, სამშობლოში.

უკაცრიელი დგას ტაძრები, ეკლესიები,
უკეთესი გზა, ზეცისკენ რომ უწყოდნენ ოდენ.
და ის ძალები, ახალგაზრდებს რომ იზიდავენ,
რადგან მსხვერპლს ისევ მოითხოვენ, ბევრს ჰპირდებიან –
არ ჰპირდებიან ოღონდ ზეცას! მხოლოდ და მხოლოდ –
კონდიციონერს, საბოლოოდ, ჯოჯოხეთისთვის.

ასე, ამგვარად, დავმორჩილდეთ უნდა უძრავად
თავგზაბნეულ სულთა როკვას, აწ ელექტრონულს,
საკუთარი მეს ერთგულებით და არვის სმენით.
ვინც ამას შეძლებს, მარადიულ ხარების ტალღებს
სიცარიელის წიაღ გზავნის უაპარატოდ.

ტალღები ერთად ქმნიან სანდო, შეცნობილ ნიშანს
განსხვავებული სულებისთვის, მრავალ ენაზე.
ჩვენს მემბრანაზე აჟღერდება ძველი, ნეტარი
სამხმოვანება: სიყვარული – რწმენა – იმედი!

1956

კაენის გაგოსყიდვა

თქვენ, მწერლებო და მწიგნობრებო,
რატომ მატირებთ, ათასწლეულთა
მანძილზე მე, აბელის გამო,
იმ ყველასათვის საყვარელი აბელის გამო,
რომ ხიბლავდა, თვით იაჰვესაც?
მე თვალებიც კი ამევსო ცრემლით,
ის, გარდაცვლილი როცა ვინილე,
და გულიდან კი სისხლი დამდინდა.
სისხლი ჭრილობას წმენდს, ასუფთავებს.
სამშვიდობოს არის აბელი, შვილი ჩემი.

მაგრამ სადღაა კაენი ახლა?
ის დედამიწის გარშემო დაძრწის. და ვერასოდეს,
ვერსად იპოვნის სამარადისო განსასვენებელს...

მას ჩვენ გულგრილი
სიყვარულით ვეკიდებოდით.
არ ექნებოდა სიძულვილი, განა, ძმისადმი —
ლალის, უშურველ-უშიშარის,
გულლიასადმი?

კაენ, სადა ხარ, შენ, უღმობელო შვილო ჩემო?
დაბრუნდი უკან, საკუთარ სახლში!

შვილო, თუ აღარ ძალგიძს სიკვდილი,
რადგან კვლავ გიცავს მკაცრი ნიშანი
- მეც ვერ გიშველი! დაბრუნდი სახლში!
დიდი ხანია, უკვე ყველა მიმოიფანტა.
გადამავიწყდნენ ისინი თითქმის,
მე, ხანდაზმულს და დამაბუნებულს.
გზააბნეული, უთავბოლოდ დახეტიალებ

უხსოვარ ღროის წყევლის კირთებით...

მაღალი ღმერთი ივიწყებს რისხვას,
თუ მოგეხვევი. მომიახლოვდი,
ერთადერთო, ძვირფასო ჩემო! –
მერე ორივე გავეშუროთ განსასვენებლად...

კაკუნის ენა

არ ვიცი, გესმის, თუნდაც შენ მარტო?
ვაგრძელებ კაკუნს, არ მკითხო – რატომ.
რისთვის ძგერს, ალბათ, არ იცის გულმა,
ჰკითხო, არ იცის არც სიყვარულმა.
ვიდრემდის ვსუნთქავ, ვიძლევი ნიშანს
და ცდილობ, შენც რომ მისმინო ფხიზლად;
მისწვდება, ალბათ, სიჩუმეც მიზანს,
ღუმილიც კვლარ დაგტოვებს მშვიდად.

დრო-ჟამთან ერთად

ჩვენ საკმარისად არ ვესაუთ ზეცას,
რადგან არ ველტვით, არ გვენატრება.
ვიცოცხლოთ მარად? ამაზრზენია!
ყოველგვარ ტანჯვას იტანენ მაინც,
უკვალოდ აქრობს ჟამთასვლა რადგან.

წარმავალობით არსებობს აკი
ბედნიერებაც; დრო განა მასაც
თანდათან სულ არ გააფერძკრთალებს?

მაგრამ ვიღლებით დროის დინებით.
ბლაგვდება ჩვენში ყოველი გრძნობა.
ვერ ვგრძნობთ ტოროლის წრფელ აღტკინებას.
გემოს ვატანდით ყველაფერს უწინ.
ძილიც ცინცხალი მუხტით გვავსებდა.
გვიმძიმს ადგომა და სიარული.
თუმც, უკვე არვის აღარ ვჭირდებით.

მალე ვისწავლით წყალობის თხოვნას.
აღბათ, თანდათან სწავლობ ამასაც?

იმისათვის, რომ გვესწავლა თხოვნა,
ვისწავლეთ ლოცვა, წრფელი ვედრება.
ვისწავლეთ, თუმცა, რახანია გადაგვაკვიწყდა.
კვლავ გვიბრუნდება შორი წარსული.

დედამ იცოდა სიტყვები კარგად.
ის დიდი ხნის წინ გარდაიცვალა.
ჩვენ გადავეცით სიტყვები შვილებს.
რა დრო გასულა, შვილები უკვე...

ხელდაკრეფილნი ვუძხვრით სიბნელეს.
სიტყვები ჟონავს მჭვირვალ წვეთებად
და სულ იოლად აღწევს ჩვენამდე.

საით დანთქმულან უნაშთოდ წლები?
და დროც ილევა, დრო-ჟამთან ერთად...

1983

შენახეთ

დემონური სიბლი

ენციკლოპედიაში სიტყვა "სიმბიოზის" შემდეგნაირ განმარტებას კკითხულობთ: "განსხვავებული ორგანიზმების ურთიერთსასარგებლო თანაცხოვრება".

ბოტანიკისა და ზოოლოგიის სფეროებიდან ნასესხებ ამ ტერმინს ძალზე ხშირად ადამიანური ურთიერთობების გამოხატვაც ძალუძს. ზოგჯერ ორი სუ-ლი თითქოსდა დასაბამიერი ბედისწერული მიზიდულობით ელტვის ერთმანეთს, მაშინაც, როცა მათი ცხოვრებისეული გზები, ერთი შეხედვით, ურთიერთსაპირისპიროდ მიემართება. მოულოდნელად, სრულიად აუხსნელი მიზეზით, ერთმანეთს ერწყმიან, რასაც "თანაცხოვრება" და "ერთურთისთვის სარგებლის მოტანა" მოსდევს. სურთ ეს თუ არა, ბედისწერა მანაც გამოსძალავს ერთობლივ ნაღვაწს, ორივესთვის წინდაწინ განკუთვნილ შემოქმედებას, და სულაც არ ადარდებს ის, თუ შემდგომში რა დღე დაადგებათ მის წინაშე უკვე ვალმოხდილ შეწირულებს. მცენარეული და ცხოველური სამყაროსგან განსხვავებით, არსებათა ზრდასა და ხორციელ კეთილდღეობას რომ უზრუნველყოფს, ადამიანური სიმბიოზი ხშირად სხვა არაფერია, თუ არა სულთა წმინდა კავშირი, ღვთაებრივი ნაპერწკლის დაკვესება, რომლის აალებასაც ამ სულების მატარებელ სხეულთა წვა და დაფერფლვა მოსდევს.

ამასთანავე, ერთურთისთვის გაჩენილ ასეთ არსებათა შეხვედრას მუდამ თან ახლავს ელექტრული მუხტი, ღრუბლებს შორის გამკრთალ ელვას რომ მოგვაგონებს.

ამგვარ ორ სულიერ ელექტროლად, რომელთა ურთიერთშეხლაც გენიალურ შემოქმედებით აფეთქებად იქცა, გვევლინებიან პოლ ვერლენი და არტურ რემბო. მათი პირველი შეხვედრისას რემბო ჩვიდმეტი წლისა იყო, ვერლენი – ოცდაშვიდის, ხოლო როცა, ოთხი წლის მერე,

Alma Johanna Koenig. Dämonische Verzauberung. წიგნი: Schicksale in Bilderschrift. Historische Miniaturen. Bergland Verlag Wien, 1967. გვ. 97 – 105.

ერთუროს დაშორდნენ, თავისი შემოქმედებითი გზის მწვერვალი უკვე ორივეს განვლილი ჰქონდა.

1871 წლის სექტემბრის ერთ დღიას მეუღლესთან ერთად პარიზში მცხოვრები ახალგაზრდა, წარმატებული პოეტი პოლ ვერლენი სრულიად მიულოდნელად ფოსტით იღებს უსაშველოდ გაბერილ კონვერტს, რომლის წონაც მასზე დაკრული მარკების ღირებულებას აღემატება. მასში აღმოაჩენს დიდებულ ლექსებს და ვინმე "რემბოს" მიერ ხელმოწერილ წერილს, რომლის ავტორიც, გახატავს რა ვერლენის პოეზიით აღფრთოვანებას, ამავე დროს, პოეტს მის მიერ გამოგზავნილი ლექსების შეფასებასა და მატერიალურ მხარდაჭერასაც სთხოვს, თუკი ვერლენი ნაწერს მოუწონებს და პარიზში ჩამოსვლას ურჩევს.

ვერლენი კითხულობს "მთვრალ ხომალდს", ამ შედეგს, რომლის ალიც თვით რაინერ მარია რილკეს მსგავს ოსტატებსაც კი აღანთებს. კითხულობს მთელ რიგ სხვა ქმნილებებსაც, რომლებსაც შემდგომში ასახელებს და დიდოსტატურად მიიჩნევს, – ეს ლექსები შემდგომში ავტორის უთავბოლო ცხოვრების რომელიღაც შემთხვევას შეეწირება და უკვალოდ დაიკარგება. და, რაც მთავარია, საკუთარ სახლში პატიჟებს "კოლეგას", როგორც საკუთარი, ისე მეუღლის სახელითაც, რომელიც უცნობის ლექსებმა მასავით აღაფრთოვანა.

"მობრძანდით, უძვირფასესო, დიდებულო სულო! გელით! გვწყურია თქვენთან შეხვედრა!" – ამ სიტყვების დაწერის მომენტში ვერლენი ერთი წლის დაქორწინებულია. სასტუმრო ოთახში, რბილი ტახტის თავზე, ნიჟარებით გაწყობილ ჩარჩოში ჩასმული სურათი უკიდია. მასზე აღბეჭდილია პოლ ვერლენი წვერითა და მაღალი ყვრიმალეებით, სახის თითქმის სლავური ნაკვთებით, და – მისი მეუღლე მატილდა, ქარაფშუტა, ფაშფაშა და მომხიბლავი, მაქმანებში გახვეულ ჩვილს ღიმილით რომ დაჰყურებს. ბიურგერული ბედნიერების ტიპური სცენა. არადა, მათი ქორწინება სულაც არ ყოფილა ბედნიერი. ვერლენი სვამს და, – ცოდეა გამხელილი სჯობს, – მხოლოდ ყველაზე უარესი კატეგორიის ქალებით ინტერესდება. იმდროინდელი მამაკაცის თანამდევ ორანჯონებ-ას – ერთი მხრივ, ქალიშვილობა და ქორწინება, მეორე მხრივ, მეძაგები და მრუშობა, – ვერლენმა, როგორც ეგონა, მატილდას წყალობით დააღწია თავი, აბსენტისა და პროსტიტუციისგან მხსნელად სწორედ ის მოეგლინა. ნიშნობის პერიოდში მას სახოტბო სიმღერების ციკლიც მიუძღვნა სახელწოდებით "მშვენიერი სიმღერა". მატილდამ ის ჯეროვნად ვერ დააფასა, სამაგიეროდ მან "პარნასელთა" აღფრთოვანება დაიმსახ-

ურა. საცოლის გულუბრყვილო უმანკოება ვერლენში აღტაცებას იწვევდა. მაგრამ ახლა, მას მერე, რაც – თაფლობის ხანმოკლე თვეში – ამ ბურ-ჟუაზიული სათნოების ყველა ნაყოფი დააგემოვნა, ვერლენი კვლავაც აპარებს თვალს მომწვანო ნატვრისთვალისკენ, - აბსენტისკენ, მოსამსახურე გოგონას დასდევს და უკვე ყელში აქვს ამოსული მიმწვარი კერძები და თავშეუკავებელი სცენები, რომლებითაც ჩვიდმეტი წლის ეს პატარა, ჩერჩეტი ქალბატონი ეგებება. იგი ცოლს სცემს; ცოლი თავს მშობლებს აფარებს. ვერლენი მას კვლავ შინ აბრუნებს და პირობას დებს, რომ ზურგს შეაქცევს ყოველგვარ ცოდვას, რის შემდეგაც ცოლ-ქმარი ერთმანეთს ურიგდება.

ასეთი ატმოსფერო სუფევს პოეტის ბინაში, როცა, ოქტომბრის ერთ დილით, კარზე კაკუნი ისმის. მათილდა ხედავს კარებში ატუხულ ყმაწვილს, გრძელი, ხორბლისფერი თმით, მოტმასნილი, მეტისმეტად მოკლე შარვლით, ხელში სამგზავრო კალათითა და ჩიბუხით, რომელსაც პირიდან იმისთვის იშორებს, რომ იკითხოს, - თუ შეიძლება, ბატონ ვერლენს გავესაუბრო. "ჩემი ქმარი შინ არ არის, - პასუხობს მატ-ილდა თითქმის თავის თანატოლ სტუმარს, - გადავცე რამე?" - "კი, მაგრამ, აკი დამპატიჟა, - გაოცდა ჭაბუკი, - მე რემბო ვარ".

თვით ვერლენიც მოელოდა, რომ "მთვრალი ხომალდის", ამ შმაგი, მემბოხური ლექსის დამწერი ოცდაათი წლის კაცი იქნებოდა. ამის ნაცვლად მის წინაშეა ჭაბუკი "სრულყოფილი სახის ოვალითა და სავსე, მეწამული, მწარედ მორკალული ბავით".

ამ ახალგაზრდის სახეზე ამდენი სიმწარე რომ აღიბეჭდა, ეს საკვირველი სულაც არ არის. ცხოვრებამ დღემდე არცთუ ბევრი სინარული არგუნა, თუმცა, დიდად არც თვითონ შეუწუხებია თავი საიმისოდ, რომ თავისი ცხოვრება სინარულად ექცია. მისი მშობლების ქორწინება მალე დაინგრა. იმედგაცრუებული და გაუხეშებული დედა ვაჟს მკაცრად, მაგრამ უსიყვარულოდ ეპყრობა; მომჭირნედ, მაგრამ ტლანქად ზრდის, წესრიგის საკითხებში უღმობელია. თავის მხრივ, არც ვაჟია ადვილი აღსაზრდელი. დღემდე შემორჩა რვა წლის ბიჭის ჩანაწერი, რამდენადმე მაინც ნათელს რომ ჰფენს ნაადრევად მოწიფული, წინააღმდეგობისა და სიჯიუტისკენ მიდრეკილი ამ ნორჩი მემბოხის სულს. ის წერს: "რატომ უნდა ვისწავლო ბერძნული და ლათინური? არ ვიცი. ასე ამბობენ, ვისაც სკოლაში არ უვლია, სამუშაოსაც ვერ იშოვისო. მე კი სამუშაო არ მჭირდება, რანტიე უნდა გამოვიდე! ვინ იცის, მართლა არსებობდნენ თუ არა რომაელები? იქნებ, მათი ლათინ-

ნური სულაც გამოგონილი ენა იყოს? და, რომც ეარსებათ, მე თავი დამანებონ და თავიანთ ენას თვითონ მიხედონ!"

ამით არამარტო მთელი მისი მომავალი სტილია გამოხატული, არამედ – თავად ისიც, ამ სტრიქონებში უკვე მთელი რემბოა. მასთან აღზრდის დრაკონული მეთოდებით ვერას გახდები. მომავალი პიროვნების ამგვარი ამოფრქვევების წინაშე დედა ყოვლად თავზარდაცემული და უსუსურია. მხოლოდ სასწავლებლის დირექტორი ჭკრეტს იქნებ იმაზე მეტსაც, ვიდრე გამოთქვამს: "ამ თავში რაღაც განსაკუთრებული მწიფდება. ეს ან ბოროტი გენია იქნება ან – კეთილი". ნიშანდობლივია, რომ ამ წინასწარმეტყველებაში ბოროტება პირველად არის დასახელებული.

ბიჭი ოთხჯერ იპარება სახლიდან: ერთხელ პარიზამდე აღწევს, მეორედ ბელგეთში დახეტილობს, მაგრამ პოლიცია ყოველ ჯერზე აკაგებს და კვლავ დედასთან აბრუნებს. ეს კი მეხუთე მცდელობაა და ამჯერად უმართლებს, რადგან ახლა ვერლენის სახით მეგობარი და მფარველი ჰყავს, ვისაც მანამდე ამაოდ ეძებდა, და ვერლენიც, მონუსხული, ძლეული, შეპყრობილი, პოულობს რემბოში თავის "გაუცინარ პრინცს", "ფაენს, ლელიანის ბინდიდან გადმოსულს, რომელსაც ღერები შვიდყელიან ფლეიტად შეუკრავს". "დაწყველილ პოეტებში" ვერლენი რემბოს პორტრეტს ასე გვიხატავს: "მაღალი იყო, მოხდენილი, თითქმის ათლეტურად ასხმული, დაცემული ანგელოზის სახე ჰქონდა, ჩალისფერი, აქოჩრილი თმა და თვალთა მოუსვენარი, მკრთალი სილურჯე. არდანიდან თან წამოელო მომხიბვლელი პროვინციული დიალექტი, რომელიც, სამწუხაროდ, მალევე დაკარგა და – გარემოებებს იოლად მორგების უნარი, ამ მხარის მკვიდრთ რომ ახასიათებთ".

პირველი მზერის გაცვლისთანავე მათ შორის საბედისწერო, ჯადოსნური კავშირი იკვრება. უიღბლო ქორწინებით დამძიმებულ ვერლენს მანამდე ნამდვილი სიყვარული არ განუცდია; არავის შეხვედრია ისეთს, ჭემმარითად რომ გაუგებდა.

იქნებ, ეჭვიანობა მაღამ ვერლენს მართლაც მისნურ აღლოს ანიჭებს, რაკილა თავშეუკავებელი სცენების დროს ქმარს საზარელ გარყვნილებაში ადანაშაულებს? ასეა თუ ისე, არც ერთ მეგობრობას არ ღირსებია ამდენი განჩხრეკა, ამდენი ბრალდება და გამართლება, როგორც ვერლენისა და რემბოს სიმბიოზს. ვერლენი მართლაც ემსგავსება ვნების ჟინით ატანილ თავდავიწყებულ მიჯნურს. მაგრამ, განა, პოეტების მიჯნურობა სულის წიაღს არ ეკუთვნის? პეტერ ალტენბერგი ამბობს, საყვარელი ადამიანის ხელის ერთ შეხებაში მთელ ქორწილის ღამეს

განვიცდით. იქნებ, ის ბობოქარი ლექსები, რითაც ორივენი ერთურთს ალაგზნებენ, სწორედ ასეთი ქორწილის ღამეებია?..

რემბო ცხრა თვის განმავლობაში ვერლენტან ცხოვრობს. ვერლენს იგი პარნასელ პოეტთა საზოგადოებაში შეჰყავს, სადაც პროვინციელი ვუნდერკინდის ლექსები ისეთსავე აღფრთოვანებას იწვევს, როგორ უნდობლობასაც – მათი ავტორი. ამ საღამოებზე რემბო მისთვის დასაშვებზე ბევრად უფრო მეტს სვამს, ერთხელ კი, ვილაცის უნიჭო ლექსის მოსმენის შემდეგ, ავტორს უხეშად მოიხსენიებს, რის გამოც ერთ-ერთი დამსწრე მას "ლაწირაკს" უწოდებს, ხოლო რემბო მის გვერდით მჯდომი ვერლენის ქარქაშიდან დაშნას ამოაძრობს და მზად არის, სასტიკად გაუსწორდეს შეურაცხმყოფელს. რემბოს ქეჩოთი ითრევენ, ვერლენი დაშნას საკუთარი ხელით გადაიმტვრევს მუხლზე. მაგრამ "გაუცინარი პრინცი" მაინც არ ცხრება და ისეა განრისხებული, რომ ვერლენი შინ, მათილდასთან, მის მიყვანას ვერ ბედავს და ერთ-ერთი მეგობრის მზრუნველობას მიანებებს.

ამიერიდან თავადაც სულ უფრო იშვიათად არის შინ. რაც უფრო მეტ წყველა-კრულვასა და სიძულვილს იმსახურებს მათილდასგან მოურიდებელი სტუმარი და რაც მეტად ემუდარება და ებლაუჭება ქალი ვერლენს, მით უფრო ნათლად ხედავს, რომ მეუღლე ხელიდან ეცლება. ვერლენს მისი ნამტირალევი თვალების, გადახარშული ხახვის წვნიანის, ბავშვის ტირილისა და საფენების ატანა აღარ შეუძლია; კიდევ უფრო მეტად ელტვის მეგობარს, ვისაც ჰიუგომ "ყრმა შექსპირი" შეარქვა, ვინც ახლა უკვე პროზაზე მუშაობასაც შეუდგა, ისეთ პროზაზე, ყველა ლექსზე უფრო მგზნებარედ რომ გიზგიზებს. "ზაფხული ჯოჯოხეთში" – ასე ეწოდება რემბოს ყოვლად თავაშვებული ხილვების წიგნს.

"ჩემი დღე მიილია. ევროპას ვშორდები. დაე, ზღვის ჰაერით ამეცსოს ფილტვები. მე დავბრუნდები ფოლადის კუნთებით, გარუჯული სახითა და შმაგი თვალებით. სახეზე ახალი, უძლეველი მოდემის ნიშანი ამღმებტვდება. ოქრო მექნება უღვევი, მოცალეობა და ძალადობა გახდება ჩემი ზვედრი." ეს უძველესი დროის ვიკინგთა დიდებულ, შეუპოვარ და უღმობელ სიმღერასავით ჟღერს.

ვერლენი შეპყრობილია ამ ნორჩი ვიკინგით. მის გამო ერთ ზაფხულს თავადაც ჯოჯოხეთში ატარებს, თუმცა ჯერ ისევ ამ ალქაჯისებრ გაავეებული ქალის გვერდით ყოფნა უწევს; მის გამო ისეთ ლექსებს წერს, ჯერ რომ არასდროს დაუწერია, მის გამო ჩამოიბერტყავს ბიურგერუ-

ლობის უკანასკნელ მტვერს და ისეთ ცხოვრებას ეწევა, მის ჩვიდმეტი წლის კერპს საოცნებოდ რომ მიაჩნია: აბსენტითა და კოკაინით აღტკინებული, მასთან ერთად ეძლევა აღვირახსნილობას.

რემბო მისთვის მაცდუნებელი ეშმაა: ის დაიყოლიებს – მაიტოვოს სტაბილური ცხოვრება, კერა და ცოლ-შვილი. ის მოუსვენარი მაწანწა-ლაა და უსასრულო ხეტიალის მთელ რომანტიკას ისე დამაჯერებლად აღწერს, რომ მისგან დაპყრობილ და გაბრუებულ ვერლენსაც დაიყო-ლიებს.

წელიწადზე მეტს უზო-უკვლოდ ეხეტებიან: ერთი სამიკიტნოდან მეორეში, ერთი ტრაქტირიდან მეორეში, – ასე შემოივლიან საფრანგეთ-სა და ბელგეთს, ერთხანს ლონდონშიც ცხოვრობენ. სადღაა ის დრო, როცა ვერლენი ქალაქის საკრებულოში მსახურობდა, საბანკო ანგარი-ში ჰქონდა და მეუღლე ჰყავდა, რომელსაც მზითვად ყოველთვიური სა-პროცენტო შემოსავალი მოჰყვა?

ისე ჩამოკონკილნი და ბინძურნი დაიარებიან, რომ წანწალის ბრალდებ-ით დაპატიმრებასა და ქვეყნიდან დეპორტირებას არაერთხელ მხოლოდ ბეწვზე თუ ასცდებიან. მაგრამ უწინდელი მხნე ლექსების მაგიერ ვერ-ლენი ახლა თავის სახელგანთქმულ "სიყვარულის დანაშაულს" წერს, ასე რომ იწყება:

*აბრეშუმ-ოქროს სასახლეო აკატანისა,
სად ემაწვილურად მომხიბლავი ქაჯ-ეშმაკები
ხუთი შეგრძნების შვიდივ ცოდვას განაზავებენ
აღმოსავლური მელიოდის უტკბეს ჰანგებში.*

ერთ დღეს ლონდონში ვერლენი პარიზიდან იღებს წერილს, მისა-მართიდან მისამართზე გადაგზავნილმა რამდენიმე კვირის შემდეგ ძლივს რომ მიაგნო ადრესატს. სამი ქალი სწერს ამ ერთ წერილს: მეუღლე, დედა და სიდედრი. ემუდარებიან, უკეთური ჯადო გატეხე, მაიტოვე რე-მბო, ეგ ეშმა, მხოლოდ ეგ არის ყველაფერში დამნაშავე; ჩამოდი ბრი-უსელში, სადაც, უმისოდ დაბრუნებულს, სიყვარული და პატიება მოგე-ლისო.

ვერლენი აცახცახებული ხელით გადასცემს ემაწვილს ამ წერ-ილს. ის მხრებს იჩეჩავს, დამცინავად აიმრეხს ტუჩებს და, როგორც ყოველთვის, უწმაწურობებს აფრქვევს. მხოლოდ ვერლენისთანა თავ-დავიწყებულ მეტრფეს ძალუძს, ერთ წამში სიყვარული სიძულვილზე

გაცვალოს. მუშტებშეკრული სალანძღავ სიტყვებს ახლის მშვენიერ, ბოროტ სახეში. და მიდის, მართლაც მიემგზავრება, ისე, რომ რემბოს ლონდონში უკაპიკოდ ტოვებს, ჩადის ბრიუსელში, სადაც ოჯახი ელოდება, სწყურია სინანული, აღსარება, სასჯელი და პატიოსანი ცხოვრება. "საბრალლო ლელიანი," – ასე შეარქვა დამცინავმა რემბომ.

მაგრამ როგორც კი ვერლენი იხილავს თავის მეუღლეს, დედასა და სიდერს, საოჯახო კერის მფარველ სამ მისან ქალად ჩაფსკვნილ-ჩამრგვალებულებს, იმწამსვე ხვდება, რამდენად გაუცხოვდა მათგან, რაოდენ სრულად დაემონა ბოროტ სულს, რემბოს. მათგან ფულის მიღებისთანავე უგზავნის ბიჭს ჩამოსასვლელად საჭირო თანხას და ბრიუსელის იმავე სასტუმროში უნიშნავს პაემანს, სადაც სამ ქალბატონთან ერთად თავად არის გაჩერებული.

და რემბოც ჩამოდის, სათამაშო ყუთიდან ამომხტარი ჭინკასავით უეცრად წარსდება ამ ჯერაც გულაჩუყებული, არაფრის მცოდნე სამი მოირას წინაშე; ჩამოკონკილია, ბინძური, მოუვლელი, ნაშიმშილები, და მინც უენებელი, გაჭირვებაზე გამარჯვებული. და, როგორც კი კარს შემოაღებს, ვერლენი ბედნიერებისგან ამოისლოკუნებს, კისერზე ჩამოეკონწიალება და გაქვავებულ ქალებს გამოუცხადებს, სამივე მძულხართ, მხოლოდ რემბოსთან ერთად შემიძლია ცხოვრებაო.

ამას მოჰყვება სცენა, რომელსაც ჯეროვნად მხოლოდ ბრეიგელის ჯოჯოხეთური ფუნჯი თუ აღწერს. დედაკაცები რემბოს მივარდებიან და ოჯახის დანგრევაში სდებენ ბრალს. ხუთივე ისეთნაირად ყვირის, რომ არც ერთს საკუთარი ხმა აღარ ესმის. და უეცრად ჯიბეებში ხელეზაყოფილი რემბო აცხადებს, მომწყინდა თქვენი სცენებიც და ეს ქალაჩუნა ვერლენიც, მხოლოდ ფულისთვის ჩამოვედი, მორჩა, საშობლოში ვბრუნდებიო! ისმის გასროლა. ვერლენი შეშდება ბოლასური რევოლვერით ხელში, სახეზე მკვდრის ფერი ადევს. რემბო გინებით წაივლებს ხელს დასისხლიანებულ მკლავზე და წიხლს ჰკრავს მის წინაშე დაჩოქილ მეგობარს.

საავადმყოფოში რემბო ჭრილობის მიზეზად იარაღთან გაუფრთხილებელ მოპყრობას ასახელებს. შემთხვევა ჩაფარცხულია. მაგრამ გამოწერის დღეს ქუჩაში შემლილობამდე მისული ვერლენი დაუხვდება. "მართლა მტოვებ?" – ეკითხება აკანკალებული ხმით. "ჰო", – პასუხობს რემბო. მაშინ ვერლენი, იქვე, ქუჩაში, მეორედ ესვრის. ამჯერად პოლიცია აპატიმრებს. დამნაშავეს ორწლიან პატიმრობას მიუსჯიან, რემბოს კი ქვეყნის დატოვებას აიძულებენ.

სულიერად განადგურებული ვერლენი მონსის საპყრობილეში წერს ლექსებს "სიბრძნე", "ოდესღაც და ახლახანს", და "პარალელურად", სადაც თავის ცოდვას ბევრად უფრო ბრწყინვალე შარავანდედში ახვევს, ვიდრე – მონანიებას. რემბოს წერილს წერილზე სწერს, მასაც გამოსწორებისკან მოუწოდებს, მაგრამ პასუხს ამაოდ ელის.

მხოლოდ მწირი ცნობები თუ აღწევს მომნანიე პატიმრის საკანში, მონაცვლებით რომ იყრის მუხლს ღვთისა და ეშმაკის წინაშე. მაინც შეიტყობს, რომ არტური გერმანიაში მასწავლებლად მსახურობს, მატილდამ კი ოფიციალური გაყრის გაფორმებას მიაღწია. ახლა სრულიად მარტოა. მხოლოდ დედა ელოდება საპყრობილის კართან. ვერლენი გათავისუფლებას ვერ ასწრებს, რომ უკვე ცასა და მიწას შეძრავს გერმანიაში რემბოს ადგილსამყოფლის დასადგენად და, როგორც კი მიაგნებს, მთელ ფულს აგროვებს, რაზეც კი ხელი მიუწვდება, ისევ ძველ სამგზავრო სამოსს ირგებს და მზად არის, უწინდელი მომთაბარის იერთო კვლავ შეხვდეს რემბოს.

მაგრამ როცა მიადგება სახლს, სადაც ის ცხოვრობს, უწინდელი "ქვესკნელის სასიძოს" მაგიერ, როგორც რემბომ ოდესღაც თავად შეირქვა, ხედავს კოპწიად დავარცხნილ, ზრდილ მასწავლებელს, რომელსაც მესნიერება აშკარად დალატობს.

აქ გათამაშებული სცენა ვერლენმა ამ თავის მომაკვინებელ და სანატრელ ბედისწერასთან შეხვედრამდე ორი წლით ადრე აღწერა ერთ-ერთ უმშვენიერეს ლექსში. მისმა პოეტურმა გენიამ წინასწარმეტყველის თვალთ იხილა ყინვით დაზაფრული ეს ძველი გერმანული პარკი, სადაც ახლა ორივენი აჩრდილებივით მიირწვიან და წარსულს უხმობენ:

- თუ გავონდება ძველი ვნება ზღვარსგადასული?
 - ვნება? არ მესმის, რას გულისხმობ. გაჩუმიდი, კმარა!
 - ჩემი ნათელით არ გიბრწყინავს სიზმარში სული?
- ჩემი სახელი როცა გესმის, არ კრთები? - არა.

ვერლენი ცრემლად იღვრება, ეხვეწება, ეპუღარება. მაგრამ ჭკბუკი უდრტვინველი რჩება. ის ერთხელ და სამუდამოდ გავიდა თამაშიდან. ყველაფერი დასრულდა. ვერლენი კალთებს აგლეჯს და ამჯერად უკვე რემბოში იფეთქებს რისხვა. ჯონს მოუქნევს და გასისხლიანებულსა და ძირს უგონოდ გართხმულს მიატოვებს.

ეს მათი საბოლოო განშორებაა.

"ზაფხული ჯოჯოხეთში", თვით რემბოს მიერ გარკვეულწილად ფსიქოლოგიურ ავტობიოგრაფიად შეფასებული, მოგვითხრობს ყველაფერს, რისი თქმაც შეეძლო ავტორს მსოფლიოში ყველაზე უცნაური ამ მეგობრობის შესახებ, რომელიც, თუმცა შემზარავი და დამანგრეველი, მაინც სიმბიოზის უღაო ნიშნებს ატარებდა: მათ ერთმანეთი ნაბიჯ-ნაბიჯ აიყვანეს ისეთ მწვერვალზე, ვერც მანამდე, ვერც მას მერე ცალ-ცალკე რომ ვერ მიაღწიეს. აღარასოდეს შექმნის ვერლენი იმის მსგავს შედეგებს, რომელთა პირველქმნილი სიმძლავრე უეჭველად გვანიშნებს: *შეუძლებელია*, ისინი არ დაწერილიყო და სწორედ ასე უნდა დაწერილიყო – ციხის საკანში, პერანგის ნაგლეჯზე, მელნის ნარჩენებში ამოვლებული ჩხირით.

რემბო კი საერთოდ აღარაფერს დაწერს: აღარასოდეს. მოუსვენარ ჟინს აყოლილი მოივლის მსოფლიოს. ხან იავაზე ამოჰყოფს თავს, ხან ისევ საფრანგეთშია, სტოკჰოლმში, ვენაში... საბოლოოდ წლების მანძილზე ხელმძღვანელობს კომერციულ ექსპედიციებს აღმოსავლეთ აფრიკის პორტებიდან კონტინენტის სიღრმეში.

"მთვრალ ხომალდში" სამხრეთის ხოტბას ასხამს და თავისი სულის სამშობლოს უწოდებს. ახლა კი უწევს, რომ გაეცნოს ამ სამშობლოს შეუხედავ კულისებს, მის სიბინძურესა და ბუზების ბზუილს, გაუსაძლის სიცხესა და წელში გამწყვეტ შრომას. ბოლოს და ბოლოს, ოცდაცხრამეტი წლის რემბო, რაღაც უცნობი, შემზარავი და უკურნებელი სნეულებით იღუპება. ერთ დროს რომ აღგვითქვა, ფოლადის კუნთებითა და გარუჯული ყვრიმალებით, მდიდარი, უღმობელი და ლაღი დავბრუნდებო, სიცოცხლეს მარსელის საავადმყოფოში, აუტანელი ტანჯვით ასრულებს. გეგონება, ეშმაკმა ამ ქვეყნადვე აგემა ჯოჯოხეთის ცეცხლი "ქვესკნელის სასიძოს", მასთან კავშირით რომ მოჰქონდა თავი.

ვედარც ვერლენი პოულობს ბიურგერულ სიმშვიდესთან დასაბრუნებელ გზას. უწინდელი მეგობრისა და კერპის გარდაცვალების შემდეგ, მხოლოდ ოთხ წელიწადს იცოცხლებს. მისი მიუსაფარი სული ბოლომდე ქანქარასავით მიმოექანება აღვირაზსნილობასა და სინდისის ქენჯნას, ზარხოშსა და ნაბახუსევს, ცოდვასა და სინანულის საგალობლებს შორის.

მათი და მათი ახლობლების ცხოვრება ყოველად იავარქმნილი და ხელმოცარულია. შექსპირის პერსონაჟების მსგავსად, უსასობაში ამოს-

დით სული. და მაინც, ხომ დაგვიტოვეს ჯერაც მწველი, უქრობი ცეცხ-
ლი და ღვთაებრივი ელვის ნათელი, მათი უკვდავი სიტყვების ყოველ
აჟღერებაზე კვლავაც რომ თვალს გვჭრის და გვაჯადოებს.

რწმენიდან დაბადებული ლექსი

რწმენიდან დაბადებული ლექსი, ან, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ჭეშმარიტი რელიგიური ლექსი სრულიად განსაკუთრებული, უძვირფასესი რამ არის, მისი შექმნა ალუწერლად რთულია, ასეთი დაბადება სწორედაც რომ იშვიათი იღბალია.

ნამდვილი რელიგიური ლექსის შესაქმნელად აუცილებელია, რომ თავისთავად ძალზე იშვიათი ორი ძალა უძირო სიღრმეს ჩასწვდეს და იქ ერთუროს შეერწყას: ცოცხალი რწმენა და არსებითი ლირიკული ნიჭი.

ამ სიღრმისეული გზავჯარედინის გარეშე რელიგიური ლირიკა ვერ შედგება.

რწმენა მაღლია, თვინიერება და მოთმინებაა, ღრმა სინანულით აღბეჭდილი სულგრძელი ლოდინია, ეს არის რკინასავით მტკიცე, გმირული ნებისყოფა; რწმენა გულის უშიშობა და დიდსულოვნებაა, როცა ღვთიური არსით ხარ აღვსილი; რწმენა ნიშნავს თვინიერების ვიწრო კარიბჭით ზებუნებრივ საუფლოში შესვლას; რწმენა გამარჯვებული სიხარული და ბობოქარი აღტაცებაა, ცაძღე აგიზგიზებული ცეცხლი.

იმ სიღრმისეულ, ნაყოფიერ შეხვედრას სწორედ ასეთი რწმენა სჭირდება.

საკმარისი არ არის, ადამიანი მორწმუნე იყოს ყოველდღიური, ნეგატიური გაგებით, ესე იგი, არაფერს ეჭვობდეს, არაფერს უარყოფდეს: ის უნდა იყოს ღვთისგან ატაცებული, ღვთის ხელი მის გულს უნდა ჩასწვდეს და მტკივანი ნეტარებით გამსჭვალოს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ადამიანმა რელიგიური განცდა უნდა გამოიაროს, პირისპირ უნდა შეხვდეს ზებუნებრივს, რწმენის საკითხებზე იმგვარად იმსჯელოს, რომ საკუთარი აღტაცება სხვებსაც გადასცეს.

Lyrik aus dem Glauben. წიგნში: Paula von Preradoviæ. Gesammelte werke. Verlag Fritz Molden. Wien 1967. გვ. 1073-1075. წინამდებარე ტექსტი წარმოადგენს ნაწყვეტს ავტორის მიერ 40-იან წლებში წაკითხული მოხსენებიდან.

მეორე მხრივ კი, თვით უღრმესი განცდა ღვთისა თავისთავად არ კმარა, რათა ის ლექსში გაცხადდეს, თუკი მთქმელი არ იქნა ბუნებით პოეტი. პირიქით: უბრალო "კეთილმოსურნეთა" ნამოქმედარი აქ ყველაზე უფრო კატასტროფულ შედეგებს ტოვებს, ამას მოწმობს მთელი ნიაღვარი იმ ყოვლად უბადრუკი რელიგიური ლექსებისა, გაზეთებში, ჟურნალებში, კალენდრებსა და თვით საუკეთესო ანთოლოგიებშიც რომ საკმარისზე მეტად გვხვდება; ამგვარი ლექსებით სავსეა კუსტარულად აკინძული თუ სარფიან გამომცემლობებში საკუთარი ხარჯით დაბეჭდილი ძვირფასი გამოცემები. მხნე და ალალი რწმენის მიუხედავად, მათში ვერ იპოვით თუნდაც ერთ სუფთა ბეერას, ერთ ჭეშმარიტად პოეტურ სიტყვას, ერთ შთამბეჭდავ სურათს. მაგრამ, ვერც უნიჭიერესი პოეტი შექმნის სასულიერო პოეზიის ნიმუშს, თუკი მას რწმენასთან მხოლოდ გარეგნული, ესთეტიკური კავშირი ექნა.

მაშასადამე, ის სიღრმისეული ურთიერთგადაკვეთა, რომელიც ვახსენეთ, მხოლოდ ისეთ ეპოქებშია შესაძლებელი, რომლებსაც ჭეშმარიტი რწმენით ატაცებული დიდი პოეტები ჰყავთ.

იქნებ, იკითხოთ: განა, ყველა დროს არ ჰყავს ისინი?

არიან პოეტები, განმარტობით რომ დგანან თავიანთი დროის შუაგულში და აცხადებენ იმას, რაც მათმა დრომ ჯერაც არ უწყის. ზოგადად კი პოეტი თავისი დროისა და სამყაროს ბაგეა: რასაც ყველა მღუმარედ შეიგრძნობს, იმის გამოთქმის უნარი აქვს ნაბობები. ის წარმოადგენს საკუთარ დროს, მის დერიტას, სეისმოგრაფის სიზუსტით განჭვრეტს მომავალს, მძლავრ ხდომილებებს სიტყვად გარდასახავს და მაშინდა ანიჭებს მათ ყველასთვის ხილულ ფორმას, როცა შინაგანი მოწოდება აიძულებს, სიტყვა თრობით განმსჭვალულ თავის ყოფაში გამოატაროს და ქათქათა ფურცლებზე აღბეჭდოს, — დიახ, შინაგანი მოწოდება და არა სურვილი, არა ჟინი, არა რაიმე თავსმოხვეული ვალდებულება!

ისეთ დროებაში, როცა ღვთის სახეს ჩვენგან ღრუბელი ფარავს, როცა ადამიანები მიღმიერის წვდომას კარგავენ, რელიგიური პოეტი ვერ დაიბადება. მაგალითისთვის, XIX საუკუნის მეორე ნახევრის გერმანიაში მხოლოდ ერთეულები თუ მოიძებნებოდნენ და მათ შორისაც არც ერთი ყოფილა ნამდვილად დიდი. აი, ჩვენნაირ დროებაში კი, როდესაც ომის ქარ-ცეცხლში ღვთის სახე კვამლისა და სისხლის ოსშივრიდან ამობრწყინდა, ბევრი პოეტი შეიგრძნობს მოხმობასა და უნარს, ხმა აღიმალლოს და ღმერთის შესახებ გველაპარაკოს. დღეს

კვლავ ჭექასავით გაისმის ღვთის სახელი და, რუდოლფ ჰენცის თქმით, ჩვენს დროში ბევრმა კვლავაც იხილა უფლის სახე.

ასეა თუ ისე, შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ დღეს კვლავაც არსებობს რელიგიური პოეზია. ჩვენი თაობის მრავალმა წარმომადგენელმა გაბედა – და კვლავაც გმირულად ბედავს – ნახტომით მიაღწიოს გაღმა ნაპირს. ჭეშმარიტი რწმენაც სწორედ ეს არის. მათ იციან, რომ რწმენა ურწმუნობაზე შეუდარებლად უფრო რთული, ვაჟკაცური და საპატიოა. მათ სწამთ, რადგან სხვაგვარად არ ძალუძთ, და მათმა რწმენამ ფერი უცვალა ქვეყნიერებას.

ლექსის გმობის გამო

არსებობენ მუსიკალური სმენით დაჯილდოებული ადამიანები და - ისეთებიც, ეს ნიჭი მომადლებული რომ არა აქვთ; მუსიკალური სმენის მქონენი მონუსხულნი უსმენენ მეცხრე სიმფონიას, უსმენოები კი გულგრილნი რჩებიან, თუმცა ამის გამო არ სძულთ მუსიკა, როგორც ასეთი. არსებობენ სახვითი ხელოვნების თაყვანისმცემლები, რომლებიც შორ ქვეყნებს მხოლოდ იმისთვის ეშურებიან, რომ სიცოცხლეში თუნდაც ერთხელ საკუთარი თვალით იხილონ ესა თუ ის სურათი თუ ქანდაკება. სხვებს ხელოვნება ნაკლებად აღელვებთ, მისთვის მსხვერპლს არ გაიღებენ, თუმცა, დრო და დრო, შესაძლებლობისამებრ, სიამოვნებით გაისეირნ-გამოისეირნებენ საგამოფენო დარბაზებში. ყოველ შემთხვევაში, ცალსახად არასდროს აცხადებენ: "სურათებს არავითარ შემთხვევაში არ შევხვდავ!", – ისე, როგორც დღეს ხშირად განათლებული ადამიანებისგანაც გვესმის მკაცრი შემახილი: "ლექსებს არ ვკითხულობ!"

რა თქმა უნდა, ისეთი ადამიანებიც არსებობენ, ნამდვილი ლექსი შემოქმედების ყველა სხვა ქმნილებას რომ ურჩევნიათ და, მათ შემყურეთ, კიდევ გვეჩვენება, თითქოს სიტყვის სიყვარული სხვა არაფერი

Von der Verfemung des Gedichtes. წიგნში: Paula von Preradoviæ. Gesammelte Werke. Verlag Fritz Molden. Wien 1967. გვ. 1075-1079. წინამდებარე ტექსტი წარმოადგენს ავტორის მიერ ოცდაათიან წლებში ჟურნალ "Neue Freie Presse"-ში გამოქვეყნებული ესსეს შემოკლებულ ვარიანტს.

იყოს, თუ არა განსაზღვრება იმ გზებისა, რომლითაც ზოგიერთი ლექსი მავანის გულს აღავსებს. სხვებში კი სტერეოტიპები და უნდობლობა ჭარბობს, რაც ლექსის მიმართ გამომცემელთა უხალისო დამოკიდებულებასაც უკავშირდება.

მაინც საიდან მოდის ეს მტრობა, ეს გაუგებრობა, ეს შეუვალი თავდაცვა, ეს დაბნეულობა და ძრწოლაც კი, თითქოს მოსაწყენ, ან, სულაც, საეჭვო რამესთან ჰქონდეთ საქმე? იქიდან ზომ არაა, რომ ადამიანთა უმრავლესობისთვის ყოველივე ამაღლებული და მშვენიერი მიუღწეველი რჩება, რომ ლექსის მკაცრი ფორმა მათთვის გაუგებარია და რომ მასში თავმოყრილ საზრისს, განცდასა და სურათს ვერ იტყვენ?

ეს ყოველივე მართებულია, მაგრამ იმ ფაქტს, რომ ლექსზე უარს ამბობს განათლებული ადამიანების დიდი ნაწილიც, მხოლოდ წვდომისა და აღქმის უუნარობით ვერ ავსხნით: ამის მიზეზი უფრო ის არის, რომ დილეტანტურ პოეზიას ძალუქს, თავი ჭეშმარიტად მოგვაჩვენოს, ასაღებს კიდევ თავს ჭეშმარიტ პოეზიად და, ამგვარად, სახელს უტეხს მას ახალბედა მკითხველთა შორის.

მაშასადამე, დილეტანტი პოეტი ჭეშმარიტი ლექსის პირველი მტერია. მისთვის უცნობია ბრძოლა და გარჯა, მისი უღირსი საქმიანობა ("უღირსი" – ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით) მისგან ძალისხმევას არ მოითხოვს. წარმოდგენაც კი არ გააჩნია იმის შესახებ, რომ ჭეშმარიტი ფორმა ოფლითა და ტანჯვით უნდა გამოიკვეთოს კლდის ლოდოდან. ის ოდნავ მოხდის ქაფს თავის ჩამტკბარ, უბადრუკ გრძნობებს, ფურცელზე გამართულ პწკარებს ჩააწიკწიკებს და ჰგონია, ლექსი დავეწერეო.

დილეტანტურ და ჭეშმარიტ პოეზიას შორის უსასრულოდ დიდი ზღვარია, მეტიც: თუკი ცუდი რომანი მაინც რომანად რჩება, ცუდი დრამა – დრამად, უვარგისი ლექსი უკვე სულ სხვა კატეგორიას განეკუთვნება.

მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, რას წარმოადგენს ჭეშმარიტი პოეზია, ჭეშმარიტი ლექსი? ბევრმა იცის კი, რით განსხვავდება ის არა-ლექსისგან, ფუჭი გართიმვისა და ვერბალური აკრობატიკისგან?

არანაირი განსაზღვრა არ კმარა ამ ფენომენის დასახასიათებლად. ვერც მაგალითების მოყვანით გავხდებით რამეს, მაგრამ ენა, ეს ბრძენი მშენებელი, თითქოს, თვითონვე გვკარნახობს პასუხს. იმ შემთხვევაშიც, თუკი სიტყვას "ლექსი" – "Gedicht" საფუძვლად უდევს "tichten", რაც ლათინურ "dicere"-ს ("თქმა") ენათესავება, ამ სიტყვის წარმოთქმისას

მანც მკაფიოდ ჩაგვესმის "dicht" ("მჭიდრო"). და, განა, ლექსის მცირე სივრცეში მართლაც არ თავსდება დიდი საუნჯე? ამიტომაც, ლექსის თითოეული სიტყვა ისე მრავლისთქმელი და აწონ-დაწონილი უნდა იყოს, რომ, სულ ცოტა, ათი პროზაული სიტყვის საზრისი მანც იტვირთოს. ლირიკული სიტყვა უნდა ჰკავდეს სტენოგრაფიულ ნიშანს, ოღონდ არა – ისეთს, აზრს რომ კვეცავს და ამახინჯებს, არამედ – ისეთს, არნახულად მოხდენილი ჭურჭლით რომ უპყრია ძვირფასი შინაარსი და თავისი მიკროსამყაროს შუაგულში განმარტოებით რომ დგას.

დავუშვათ, დილექტანტი რაღაცას განიცდის: ის შეეყვარებული ან ნაღვლიანია, ან შემოდგომის ფოთლების სიყვითლე თვალს უხალისებს. ის დასწვდება სიტყვებს, არა ნაცადსა და გამონატანჯს, არამედ – იაფფასიან, ბრტყელ-ბრტყელ სიტყვებს, მათ ანდობს გულწრფელ, მაგრამ სწორედ მათ გამო გაუფასურებულ გრძნობებს და ამგვარად ავსებს მოსაწყენ პწრაკებსა და სტროფებს. მაშ, რა გასაკვირია, თუკი ეს კვლავაც მხოლოდ დილექტანტებს იზიდავს (ხომ არსებობენ ცხოვრების დილექტანტებიც, ვისაც ამგვარ ლექსებში ნაცნობი კილო ხიბლავს!), მართალ ადამიანს კი ამდენი უაზრო, უღონო ლაქლაქის სმენით გული უწუხდება.

ფუძისეული მარცვალი "dicht" კიდევ ერთ რამეს შეიძლება ნიშნავდეს: ლექსში მომსწრენი ვხდებით საზრისისა და ფორმის, სულისა და ხორცის უმჭიდროესი შეუღლებისა. შიშველი საზრისი აბსტრაქტული, მკრთალი და არაფრის მთქმელია; ცარიელი ფორმა ფუჭია და მყიფე. ლექსს მხოლოდ საზრისის უძირო წყვდიადისა და ფორმის კამკამა მშვენების კავშირი ბადებს.

ლექსს არა აქვს ფორმა, ის თავად ფორმაა, არა აქვს საზრისი, – ის თავად არის საზრისი. ვინც ამბობს: "ეს ლექსი ლამაზი ენით არის დაწერილი", – ლექსის ნამდვილ არს ვერასდროს ჩასწვდება. პოეტი მუდამ უმშვენიერეს ჟღერადობას უდარაჯებს; კარგად ვერც აცნობიერებს, ისე ანიჭებს მშვენიერ ბგერას უღრმეს საზრისს, რომელსაც სიტყვის შინაარსი როდი ცხადყოფს, არამედ – მისი შეფერილობა, მუქი ხმოვანი, მოცეკვავე დაქტილუსი. როცა როლკე შემდეგ სტროფს წერდა:

"Nur wer mit Toten vom Mohn
Aß, von dem ihren,
Wird nicht den leisesten Ton
Wieder verlieren,"

ალბათ, დაუფიქრებლად, სიზმარეულად ჩაურთო "von dem ihren", რაკი "verlieren"-ის შესატყვის რითმას ეძებდა, არადა, ამ ოთხი მარცვლით აჩრდილთა საუფლოს უძირო უფსკრულში ჩაგვახედა. ვისაც წვდომა ძალუმს, ჩასწვდეს! რითმა დილეტანტისთვის პიანინოა, რომელზეც ტუტუცურ მელოდიებს აჟღარუნებს; ესთეტიკისთვის საცთურია, გადაპრანჭული ექსპერიმენტებისკენ რომ უბიძგებს; ხოლო პოეტის ხელში რითმა უკიდურესად დიად გამოცხადებად გარდაიქმნება. სადაც ჭეშმარიტ რითმას მიაგნებს, იქ დაქორწინდება განგებით ერთურთისთვის გაჩენილი ორი საწყისი, იქ შეერთდება მათი ხმები და ის, რასაც ეს ტკბილხმოვანი მღერა უგალობს, მსოფლიოში ვერანაირი სხვა საშუალებით ვერ გაცხადდება. და ამ ერთი, განუმეორებელი რითმის გარეშე მთლიანი ლექსიც ვერ შედგებოდა.

ამიტომ არის რითმიანი ლექსების სრულფასოვნად თარგმნა თითქმის შეუძლებელი. სწორედ რითმები ქმნის ლექსის მაცოცხლებელ ატმოსფეროს, მის შემკვრელ დულაბს. უიშვიათესი, თითქმის წარმოუდგენელი მადლია, თუკი სხვა ენის სიტყვებსაც ექნათ მსგავსი ჰარმონია და ფერთა სისავსე...

უკვე ვთქვით, რომ შედარება ლექსის არსს საუკეთესოდ გამოხატავს.

ლექსი შეიძლება კრისტალს შევადაროთ. იგი მას წააგავს ძალუმი ფორმით, ძალზე ვიწრო სივრცეში რომ არის მომწყვდეული, თვინეირად კანონზომიერია და კოსმიურ წესრიგს ემორჩილება.

აგრეთვე, ლექსი შეიძლება დახვეწილ და სრულყოფილ მცენარეს შევადაროთ, რადგან ისიც, მცირე მოცულობის მიუხედავად, თვითკმარი და საკუთარ არსში ჩაკეტილია. ფესვი, განტოტვილი ღერო, ყლორტი, ყვავილი, ნაყოფი, – ეს ყოველივე უნდა იტვირთოს და თავის წიაღში სიცოცხლის მთელი პროცესი გამოატაროს. თავბოლოწაჭრილი ლენტე, ნაკვესი, ლექსად ვერ ჩაითვლება. თუკი რამდენიმე ლექსს ერთი ციკლი აერთიანებს, თითოეულმა მაინც საკუთარ თავში უნდა დაიტიოს წარმოშობაც, განვითარებაც და სრულქმნაც, – ცოცხალი ყოფიერების მთელი წრებრუნვა.

მოვიყვანთ ლექსის მესამე შედარებასაც – თანავარსკვლავედს. ჭეშმარიტი ლექსის ყოველმა სიტყვამ – ეს უკვე ვახსენეთ – საკუთარი თავის გარშემო სამყარო უნდა შემოირკალოს; ამას მეტაფორულად როდი ვამბობთ, ეს უშუალო შედარებაა. ისიც ვთქვით, რომ ლექსმა მცირეოდენი სიტყვებით უნდა გამოთქვას ღრმა საზრისი, რასაც პრო-

ზაში გაცილებით დიდი მოცულობის ტექსტი სჭირდება. ამას იმიტომ ვიმეორებთ, რომ საკითხის უმთავრესი არსიც სწორედ ეს არის. ლექსის თითოეული სიტყვა საკუთარი თავის უღრმეს, უკიდურეს, უბწყინვალეს ხატად, იდეალად წარმოგვიდგება. და ასე დგანან, სტრატოსფეროებით მოცულნი, ერთურთის გარშემო წმინდა ვარსკვლავურ ფერხულს უვლიან, რიტმისა და მელოდიის მაგალობელ ძალთაგან ატაცებულნი, დარწმუნნი, შორს გატყორცნილნი. ისეთ სიმაღლეზე ასულან, რომ, თუმცა გარს სამყაროები აკრავთ, მათ მაინც თვალის ერთი შეველებით ვწვდებით, როგორც სხვენის ვიწრო სარკმელი მოიცავს მთელ კანოპას.

ლექსი შეიცავს წამში გადასაფრენ უშორეს სივრცეს და ეს სივრცე არასდრის უნდა იქცეს მძიმედ ასავლელ აღმართად, რასაც პროზა ვერანაირად გვერდს ვერ აუვლის.

კიდევ ერთი მახასიათებელი: ლექსი მათემატიკური მაგალითივით სწორი უნდა იყოს; არა მხოლოდ მეტრიკის მარტივ დონეზე, არამედ სიტყვათა და ცნებათა მომჭირნეობითა და სურათ-ხატების ძუნწი სიცხადით. ამის საპირისპიროდ გავრცელდა წარმოდგენა ლექსის, როგორც რაღაც ტკბილ, აქაფებულ ღრუბელში გახვეული ბუნდოვანი ქმნილების შესახებ; ეს იმის გამო ხდება, რომ ყველა დილეტანტი და საშუალო დონის პოეტი უსაფუძვლო გადაჭარბებათა, მცდარ შედარებათა და არაბუნებრივ უზუსტობათა მორევში ცურავს და სწორედ მათ გამოაჩვენს დროში ლექსი ასე საყოველთაოდ დაგმობილი.

ქედმაღლობა იქნებოდა იმის დაჯერება, თითქოს ეს გაფანტული, წყვეტილი ჩანაწერები შორიდან მაინც გამოთქვამდეს ლექსის ბუნებას. აქ მხოლოდ მისი ზოგიერთი თვისება მივანიშნეთ. სხვა თვალი, შესაძლოა, სხვა ნიშანს ჩათვლის უფრო მნიშვნელოვნად, სხვა უფრო მარჯვე შედარებებს მოუხმობს. მაგრამ, იქნებ, მისი ვარსკვლავური ნათების ერთი მცირედი დამრეცი სხივის მოხელთება მაინც შევძელით.

ავტობორტრეტი

ერთი შეხედვით მეჩვენება, თითქოს ჩემი ცხოვრების შესახებ ბევრი არაფერი მქონდეს მოსაყოლი. დავიბადე 1906 წელს ვენაში და ყოველთვის აქ ვცხოვრობდი. რა თქმა უნდა, ახალგაზრდობაში მოგზაურობას ვნატრობდი და, როცა შემეძლო, ამ ნატვრას ვახორციელებდი კიდევ. იმხანად ეს დღევანდელზე ბევრად უფრო რთული იყო, თანაც საემარისი ფული არასოდეს გამაჩნდა. ჩემი პირველი წიგნის ჰონორარით საბეჭდი მანქანა შევიძინე და პატარა მოგზაურობა განვახორციელე ზემო იტალიაში. ეს არ ყოფილა ჩემი პირველი შემოსავალი, რადგან მანამდე ბავშვების მოძვლელად ვმუშაობდი ტიროლსა და ბურგენლანდში, მაგრამ ეს, ცხადია, ყოველდღიურ მოთხოვნილებებს ხმარდებოდა.

ლიცეუმის დამთავრების მერე, — სამწუხაროა, რომ სასწავლებლის ეს ფორმა დღეს უკვე აღარ არსებობს, — გავიარე კურსები ჩვილ ბავშვთა მოძვლელის კვალიფიკაციის მისაღებად. ეს გადაწყვეტილება ტოლსტოისა და დოსტოევსკის დიდებული სოციალური რომანების შთაბეჭდილებით მივიღე. სწავლისა და მუშაობის ამ წლებმა ადამიანურად და შემოქმედებითად ძალზე ბევრი შემმატა, რადგან ჩემი სულიერი თვალსაწიერი მხოლოდ წიგნებმა კი არა, იმ ადამიანებთან ურთიერთობამაც გააფართოვა, საზოგადოების ჩემთვის მანამდე უცნობ ფენას რომ ეკუთვნოდნენ. ჩემს მშობლიურ ბიურგერულ წრესთან ნოსტალგიური გრძნობა არ მაკავშირებს, რადგან არც დედ-მამა მყოლია ბიურგერული მორალის დიდი დამცველი. დღესდღეობით ამას ნონკონფორმისტობას უწოდებენ, მაგრამ, ეს გამომწვევად და თვალშისაცემად არასოდეს განუცხადებიათ. მამაჩემი, არქიტექტორი და სახელმწიფო მოხელე, ქვემო ავსტრიის ერთი წისკვილის შორიანხლოს დაიბადა და გაიზარდა და ყველაზე მეტად ბუნება და ნადირობა აინტერესებდა. ის, ავრეთვე, ჩვენს ქვეყანაში ერთ-ერთი პირველი მოთხილამურე გახლდათ. მთები-

"ავტობორტრეტი" პირველად 1980 წლის 5 ივლისს პრეზენტირდა ავსტრიის რადიოთი, რასაც ტექსტის მანუსკრიპტზე ავტორის მინაწერი ადასტურებს. მას მერე მასალა სხვაგან არსად გამოქვეყნებულა, წინამდებარე გამოცემისთვის კი იგი პოეტის ვაჟმა, ბ.-მა მარტინ გ. პეტროვსკიმ მოგვაწოდა (დ. ბ.).

სა და სრიალის სიყვარული მისგან გადმომეცა. გათხოვებამდე კვირეების მანძილზე ვცხოვრობდი გლეხებთან კარინტიის მთიანეთში, სადაც თხილამურებზე ვსრიალებდი და ვწერდი. დედაჩემი კი ბერლინში გაიზარდა და მხატვარი იყო. ასე რომ, ტიპური ვენელი არ გახლავართ, ზოგიერთი დღესაც კი მატყობს საუბარზე, ჩრდილოგერმანელი დედა რომ მყავდა. და ვერანაირად ჩავითვლები ვენელ ლიტერატორად, რადგან კაფეების ტრადიციამ გვერდით ჩამიარა. მართალია, ზოგჯერ ვხვდებოდი კაფეში ნაცნობებს, მაგრამ მერჩინა ისინი შინ მენახა ან მათთან ერთად ვენის ტყეში მესეირნა.

წერა ბავშვობაშივე დაიწყო. ახლაც მასსოვს მშობლიური ლიტერატურის სახელმძღვანელოდან ზოგიერთი ლექსი, რომელსაც ერთ წუთში ვიზებები და მაშინაც კი, როდესაც ამას არ გვავალებდნენ. ერთხელაც გავიფიქრე: "იქნებ, ეს მეც შემიძლია?", და მოვსინჯე კიდეც. თორმეტი წლის ასაკიდან მოყოლებული, ძალიან ბევრ ლექსს ვწერდი, ამ ფორმით გრძნობების გამოხატვა ბუნებრივად მიმაჩნდა. ჩემი მშობლების სამეგობროში იყვნენ ადამიანები, რომლებიც ამ მცდელობებს მიწონებდნენ, ზოგჯერ კი მიკრიტიკებდნენ კიდეც. ერთ-ერთი მათგანი ანტონ ვილდგანსის მეგობარი იყო, ვილდგანსის ლექსებს მშვენივრად კითხულობდა და მანამდე შემაყვარა ისინი, ვიდრე მათ მნიშვნელობას ჩავწვდებოდი. მოგვიანებით კი ეს სიყვარული გამიათმაგდა. ზოგიერთი მისი ლექსი დღესაც მიყვარს. გერმანულის მასწავლებელს ვეთაყვანებოდი, ისევე, როგორც – ჩემი თანაკლასელი გოგონები; ყველამ ერთად მთელი ცხოვრების მანძილზე შევინარჩუნეთ ურთიერთობა, რადგან ამ ურთიერთობას საფუძვლად პოეზიის სიყვარული ედო. ამიტომაც, კლასიკოსები ჩვენთვის რაღაც უცხო, თავსმოხვეულ ვალდებულებას კი არა, ყოველდღიურ სინარულსა და აღტაცებას წარმოადგენდნენ. ყველაზე მეტად მიყვარდა გოეთე, მისი უღვევი შემოქმედების ახალ-ახალ აღმოჩენას ხომ მთელი ცხოვრებაც არ ეყოფა. თანამედროვე ლიტერატურას – რუს მწერლებს, იბსენს, ჰაუპტმანს, დემელს, ლილიენკრონს, ჰოფმანს-სთალს, გეორგეს შინ კკითხულობდით, რადგან მაშინ ჯერ კიდევ ბევრი თავისუფალი დრო გვქონდა. და კიდევ – რაინერ მარია რილკე. თექვსმეტი წლის ასაკიდან ჩემთვის უმნიშვნელოვანესი სწორედ რილკე გახდა, მისი "ჟამნი" და "სურათთა წიგნი".

იმხანად ბაზრის მოედანზე, ჩვენი სკოლის შორიახლოს, ჰელერის წიგნის მაღაზია იყო. იქ ნებას გერთავდნენ, უკანა ოთახში ლექსები გადმოგვეწერა, როცა წიგნების ყიდვის საშუალება არ გვქონდა. ერთ დღეს თვალი გადავაკვლე "სონეტებს ორფევსისადმი" და წიგნიც ვიყიდე. მაშინ თითქმის თვრამეტი წლის ვიყავი და უკვე მოძველის კურსებს ვესწრებოდი. ამ ლექსებმა იმდენად შემძრა, მათი ხატოვანება ისე უშუალოდ ჩამწვდა სულში, რომ გავიფიქრე: ეს პოეტი ხომ დღესაც

ცოცხლობს, ეს ყოველივე ორიოდ წლის წინ დაწერა და ხომ შეიძლება მაღლობა გადავუხადო, ან, იქნებ, დავუახლოვდეთ კიდევ. ასე რომ, გამბედაობა მოვიკრიბე და ორი ლირიკული წერილი გავუგზავნე. ათი დღის შემდეგ, კულინარიის კურსიდან დაბრუნებულს, შინ მისი პასუხი დამხვდა: ლამაზად და მკაფიოდ წარწერილი ცისფერი კონვერტი რუხი ბეჭდით, შეკვეთილი წერილი, რომელიც ჩემდამი მომართულ ორ ლექსს შეიცავდა. ამაზე უფრო ბედნიერი წუთები, ალბათ, არ განმიცდია, თუ-მცა, მაღლობა უფაღს, ასეთივე ბედნიერება სხვა დროსაც მწვევია, მაგრამ ამაზე მეტი უკვე წარმოუდგენელია. რა თქმა უნდა, ასეთ აღ-ტაცებას გამოთქმა ესაჭიროებოდა და კვლავაც მივწერე. მან ისევ მიპასუხა. ლექსების გაცვლა-გამოცვლა გაგრძელდა და ერთი წლის შემდეგ სულ ცოტა ხნით ვინახულე რილკე შვაიცში. გარდაცვალებამდე რამდენიმე თვით ადრე გამომიგზავნა უკანასკნელი ლექსი. ეს ლი-რიკული მიმოწერა მხოლოდ ოცდახუთი წლის შემდეგ გამოვაქვეყნე. მაშინ უკვე მრავალი ლირიკული კრებული და რომანი მქონდა გამოცემული. დროის იმ შუალედში კი მხოლოდ ჩემმა უახლოესმა მეგობრებმა იცოდნენ ამ ურთიერთობის შესახებ. საყვარელი პოეტის მხრიდან ახ-ალგაზრდობაშივე მიღებულმა აღიარებამ სამომავლოდ ყოველგვარი ქებისა და კრიტიკის მიმართ გულგრილი გამხსადა.

ჩემი პრაქტიკული განათლება გრძელდებოდა. ზაფხულში უკვე ვმსახურობდი ბავშვთა სახლში, თითქმის შეუსვენებლად ვმუშაობდი და საკუთარი ოთახიც კი არ გამაჩნდა. არადა, სწორედ იქ შეიქმნა სა-უკეთესო ლირიკული წერილები, რილკეს ყველაზე მეტად რომ მოეწონა და რომელთა სურათები თუ აზრები ჩემდამი პასუხებში განავრცო. შემდეგ ტიროლში ვმუშაობდი ჩვილი ბავშვის ძიძად და დამოუკიდებლობასა და პასუხისმგებლობას შევეჩვიე. თავისუფალ დროს ბუნებაში ვატარებდი. სწორედ იმ დროს აღმოვაჩინე პოლდერლინი. შემდეგ მძიმედ დაავადდი, თვეების მანძილზე საავადმყოფოში ვიწექი, ნახევარი წლის შემდეგ კი მეორე ოპერაციაც დამჭირდა; ამ შუალედში შინიდან არ გავსულვარ და ჩემი შესაძლებლობები პროზაში ვცადე. საამისოდაც რილკემ შემაგულიანა. თუკი ამ მხრივ გავლენებზე ვილაპარაკებთ, რუსი მწერლების გარდა, პირველ რიგში, ძალზე გამამდიდრა სელმა ლაგერლოფმა, რომელსაც მომავალში უთუოდ ხელახლა აღმოაჩენენ. როგორც კი გამოვჯანმრთელდი, მაშინვე ახალი სამსახური დავიწყე, მაგრამ უკვე აღარ დამაკმაყოფილა ისეთმა სამუშაომ, უპირველეს ყოვლისა, სტატისტიკისთვის რომ იყო სარგებლიანი. საერთოდ, თანდათანობით დავეჭვდი სოციალური სამსახურებისა და ჰიგიენის ეგ-ზომ ყბადალებულ პროგრესში, რომელსაც თავს გვახვევდნენ. მოგვიანებით, როცა ყველაფერი, რაც კი ბავშვების მოვლისა და აღზრდის

შესახებ გვასწავლეს, ყავლგასული გამოდგა, მეცნიერული მტკიცებულებებისადმი რწმენა საერთოდ დაგკარგე. რაც შეიძლება მეტი ჰივიენაო, – ასე შთაგვაგონებდნენ, – კანთან რაც შეიძლება ნაკლები შეხება, გაკაჟება, პუნქტუალობა, არანაირი შერბილება და განებივრება. ალბათ, გამიგებთ, რომ სოციალურ მეცნიერებათა უახლეს მიღწევებსაც ეჭვის თვალთ ვუყურებ.

ბოლოს და ბოლოს, გავიაზრე, რომ სოციალური სამსახური ადამიანისგან არა მხოლოდ მთელ დროს, არამედ ყურადღებასაც მოითხოვს. 1930 წელს დედა გარდამეცვალა და ამ მომენტიდან შინ, მამასთან ვცხოვრობდი და ვწერდი. ამ წლებში, ვიდრე 1937 წელს დაქორწინდებოდი, რამდენჯერმე ვიმოგზაურე კიდეც, – ჯერ იტალიაში, შემდეგ კი საბერძნეთშიც. ეს ამგვარად მოხდა: პოეტმა თეოდორ დობლერმა, კაპრიდან იშპიასკენ რომ გადაიხედა, ასეთი რამ თქვა: "აქ ისეთივე სილამაზეა, როგორც საბერძნეთში". ჰოდა, მეც მოვინდომე საბერძნეთის ნახვა. ბავშვობაში ორჯერ ვყოფილვარ იქ და არა მხოლოდ მშვენიერმა ლანდშაფტმა მომაჯადოვა, არამედ – კლასიკური კულტურის ნიმუშებმაც: უძველესი ღმერთები იქ მართლაც ცოცხლობდნენ, მათთან შესახვედრად ჰომეროსმა და ესქილემ შემამზადეს. საბერძნეთისადმი ჩემი სიყვარული შემდგომში მეუღლემაც გაიზიარა, ჩვენ კვლავაც ვბრუნდებოდით ხოლმე იქ, როცა შეგვეძლო, და შვილებსაც კი შევაყვარეთ ეს ქვეყანა.

ქორწინებამდე ვწერდი მოთხრობებს, რომლებშიც ძიად მუშაობის პერიოდიდან ბევრი რამ აისახა. მანამდე ჩემი ორი ლირიკული კრებული გამოიცა. მათი წყალობით გავიცანი ისეთი ცნობილი პოეტები და მწერლები, როგორიც შტეფან ცვაიგა; ისეთებიც, რომელთა სახელის გარშემო მითქმა-მოთქმა არ ცხრებოდა, როგორიც, მაგალითად, საბრალო ერნსტ ლისაუერი იყო, ასევე ძალზე მნიშვნელოვანი კრიტიკოსი, რომელსაც ვერ აპატიეს ინგლისისადმი მიმართული წყევლა-კრულვის ლექსი, 1914 წელს რომ დაწერა; თუმცა ამას თავადაც მძიმე ახალგაზრდულ შეცოდებად აღიარებდა, რომელიც იმ ეპოქაში მის გარდა სხვამაც ჩაიდინა, მაგრამ სწორედ ამის გამო მასავით არავის "გაუმართლა", ამით არავის გაუთქვამს სახელი. ლისაუერმა მასწავლა ლექსზე მუშაობა, მისი შენიშვნები იმდენადვე დაუნდობელი იყო, რამდენადაც შექებისას არ იშურებდა აღფრთოვანების სიტყვებს. სხვათა შორის, ის პირველი იყო ჩემს ნაცნობთა შორის, ვინც ჩვენი ქვეყნის თავზე მოახლოებული ავდრის ღრუბლები შენიშნა და ავბედითი პროგნოზებით შემამიშნა. ფელიქს ბრაუნთან, რომელიც ცვაიგმა გამაცნო, და მის ძმასთან, რობერტთან, მათ გარდაცვალებამდე ვმეგობრობდი. მყავდა ჩემი ხასიათისა და შეხედულებების სრულიად საპირისპირო მეგობრებიც, მაგალითად, ათეისტი და ანტიიდეალისტი თეოდორ კრამერი. ერთსა და იმავე

გამომცემლობასთან ვთანამშრომლობდით და ამან დაგვაახლოვა. ჩემმა ნამუშევრებმა პატივცემული პოეტის, ჰანს კაროსას კეთილგანწყობა დაიმსახურა, მისი მონახულების საშუალებაც მომეცა და მისი ნდობაც მოვიპოვე. ასევე, ვმეგობრობდი პოეტ ინა ზაიდელთან და, რაღა თქმა უნდა, ბევრი მეგობარი მყავდა ჩემი თაობის პოეტებს შორის, ბევრ მათგანთან კოლეგიალური ურთიერთობაც მაკავშირებდა, თუნდაც – ერნსტ შაიბელრაიტერთან და ზიგფრიდ ფრაიბერგთან. მაგრამ არასოდეს მივეკუთვნებოდი იმ წრეებიდან რომელიმეს, რომლებიც იმხანად უკვე ყალიბდებოდა, ამიტომ ლიტერატორთა ზოგიერთ შეხვედრაზე, მაშინაც და დღესაც, უსიამო გაუცხოება მეუფლება: რაო, ესენი ვენაშიც არიან? ან, სულაც: თურმე ასეთებიც არსებობენ?.. და ეს – მიუხედავად იმისა, რომ პირველი კრებულის – "სიცოცხლის მადლის" – გამოსვლისთანავე უკვე საკმაოდ ცნობილი გავხდი, ლიტერატურულ საღამოებზეც მიწვევდნენ და მშობლიურ თუ უცხოურ რადიოგადაცემებშიც მიწვევა მონაწილეობის მიღება. რა თქმა უნდა, 1933 წლიდან ეს სიტუაცია თანდათან შეიცვალა, მაგრამ ჩემი წიგნები არასდროს ყოფილა აკრძალული. მართალია, შტოკმანის გამომცემლობამ უარი თქვა ჩემი ერთი, უკვე დასტამბული, წიგნის გავრცელებაზე, რადგან მე არ მოვინდომე, "ამომეჭრა" ებრაული წარმოშობის ექიმი, რომელიც იქ დადებითი პერსონაჟის სახით ფიგურირებდა. ამ ნაწარმოებმა, სახელწოდებით "ჩვენ მარტონი ვართ", მხოლოდ 1945 წელს იხილა დღის სინათლე ჩემი კლასელის, ილზე ლუკმანის, გამომცემლობაში და კარგი გამოხმაურებაც ჰქონდა.

პარალელურად, შვიდი წელი ვმუშაობდი ჩემს ისტორიულ რომანზე "სამყაროს მბრძანებელი", კიდევ ორი წლის განმავლობაში მისთვის გამომცემელს დავეძებდი. გამომცემლობა, რომელმაც საბოლოოდ ხელნაწერი მიიღო, მეცამეტე იყო იმათ შორის, ვისაც მივმართე. შემდგომ წლებში წიგნი რამდენჯერმე განმეორებითაც დაიბეჭდა და ნორვეგიულ ენაზეც ითარგმნა ემიგრანტ მაქს ტაუს შუამდგომლობის წყალობით: ის ნორვეგიაში დიდ გამომცემლობას ხელმძღვანელობდა. ამ ნაწარმოებში შევეცადე მეჩვენებინა, თუ რა გზით შეიძლება ბოროტებამ ჩაიგდოს ხელში ძალაუფლება და საამისოდ ინკვიზიციისა და კუდიანთა პროცესების მაგალითს მივმართე. რომანი ბევრმა შეფარულ პროტესტად აღიქვა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, კრიტიკამ ის მეტწილად დადებითად მიიღო, ზოგიერთი კრიტიკოსი თანამედროვეობასთან გავლებულ პარალელზე თვალს ხუჭავდა, ზოგიერთს კი გულწრფელად არ შეუნიშნავს. მაგრამ მას მერე, რაც ერთმა ნორვეგიელმა რეცენზენტმა პირდაპირ მიანიშნა მასში გავლებულ პარალელზე ნაციონალ-სოციალისტურ და ინკვიზიციურ მეთოდებს შორის, ნორვეგიამ და გერმანიამ ვიზის გაცემაზე უარი მითხრეს. ამ რომანს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა

ჩემი პიროვნული განვითარებისთვის, რადგან, როცა ეპისკოპოსისა და ინკვიზიტორის დიალოგს თხზავ, მათი ტერმინოლოგია უნდა იცოდეს, ხოლო როცა მთავარ პერსონაჟად მონაზონი გამოგყავს, რამდენადმე ჩახედული უნდა იყო სამონასტრო ცხოვრებაში. ფრაგმენტულად მაინც უნდა გაეცნო ეკლესიის მამის, თომა აკვინელისა და მონაზონ ტერეზა ავილელის თხზულებებს. სწორედ ასე მოვიქეცი, წლების მანძილზე მოვიძიე მრავალი, არა მხოლოდ ისტორიული, წყარო და სულ უფრო მეტად გავითავისე ეს ეპოქა. ლუთერანი ვიყავი, ბიბლიური თქმულებები ბავშვობიდან ვიცოდი და არასდროს დამვიწყებია, არც არასდროს დავეჭვებულვარ მათ ჭეშმარიტებაში. მაგრამ ჩემი ოჯახი ლიბერალური იყო და კარგა ხანს არ მომიწია ისეთ ადამიანებთან შეხვედრა, ვინც თავიანთი რწმენის შესაბამისად ცხოვრობდა, თუ ჩემს ორივე ბებიასა და დეიდას არ ჩავთვლი. ახლა კი, "სამყაროს მბრძანებელზე" მუშაობისას, გავიცანი პოეტი პაულა ფონ პრერადოვიჩი, აღფრთოვანებული დავრჩი მაქს მელის დრამით მოციქულთა შესახებ, ხოლო პოეტმა და მღვდელმა ზუზო ვალდეკმა ძალზე თბილად მიმიღო კაფეში გამართულ თავის შეხვედრა-საუბრებზე, რომლებსაც დროდადრო ვესწრებოდი. იქ გავიცანი რუდოლფ ჰენცი, ბილინგერი და სხვა ქრისტიანი მწერლები. სწორედ ამ პერიოდში და სწორედ ჩემს რომანზე მუშაობის წყალობით, ღრმად ჩავწვდი ქრისტიანობის არსსა და ეკლესიის არსებობის შეურყევლობას, რადგან მის გარეშე არაფერი გვეცოდინებოდა იესო ნაზარეტელის შესახებ.

ამასობაში დავექორწინდი, 1938 წელს გვეყოლა ქალიშვილი, შემდეგ – ორი ვაჟი. მხოლოდ უმცროსი შვილის პირველი ზიარების შემდგომ, 1965 წელს, კათოლიკურ კონფესიაში გადავედი. "მიუხედავად ყველა დოგმისა?" – გულისტკივილით მკითხა ჩემმა პროტესტანტმა დეიდამ. სწორედ დოგმების გამო-მეთქი, ვუპასუხე. რადგანაც იმ აზრამდე მივედი, რომ საეკლესიო დოგმატიკა ჩვენი სხეულის ჩონჩხს წააგავს. თავისთავად მასში არ არის სიცოცხლე, მაგრამ მის გარეშე სიცოცხლე შეუძლებელია, მაშასადამე, მყარ ჩარჩოში ჩასმული საეკლესიო მოძღვრების გარეშე მხოლოდ ურთიერთსაპირისპირო, ბუნდოვანი და არაფრისმთქმელი თვალსაზრისები იარსებებდა. ეს, შესაძლოა, ძალზე მშრალად და თეორიულად ჟღერდეს, მაგრამ, იქნებ, ჩემმა ნათქვამმა უფრო გასაგები გახადოს ბოლო წლების ორ წიგნში – "კაკუნის სიგნალები" და "კანის საზღაური" – შესული ჩემი ლექსები. ვიმედოვნებ, რომ თვით ლექსები არც მშრალი მოგეჩვენებათ, არც – თეორიული.

მაგრამ დავუბრუნდეთ ომის პერიოდში, 1940 წელს, შექმნილ რომანს. ამის შემდეგ, 1941 წელს, გამოვეცი ნოველა კასანდრას შესახებ. 1945 წელს ჩემი გამოცემლობა სხვა მფლობელთა ხელში გადავიდა და ეგ-

რეთ წოდებული ქალთა რომანების გამოშვებით შემოიფარგლა. ჩემი ნამუშევრების გამოცემისას მუდამ ახლიდან მიწვევდა კონტაქტების დამყარება. ომის შემდგომ წლებში ვენაში დაიბეჭდა ჩემი რომანი "შიშველი ჭეშმარიტება", ასევე წარმატებული აღმოჩნდა ორი ადრეული წიგნი, მაგრამ ჩემმა მოთხრობა-ლექსებმა "უკვდავების წყალი" ვერაფრით გაიკვლია გზა, მიუხედავად იმისა, რომ ამ ნაწარმოებით თანამედროვეობაზე, კერძოდ, ატომური ენერჯის საკითხზე მივანიშნე. იგივე ბედი ეწია ჩემს ხუთ თუ ექვს პიესას, რომელთაგან მხოლოდ ერთი დაიდგა კურაჟის თეატრის სცენაზე. ეს "დაბინდვაც" ნაციზმის ეპოქიდან გამოყოლილი ტრაგედია იყო, იმ წარსულის გახსენება კი დღეს აღარავის სურს.

60-იან წლებში კვლავ ინტენსიურად მივუბრუნდი თეოლოგიურ საკითხებს, მაშინ დავწერე რადიკალურ-პაციფისტური პიესა "ვინმემ უნდა გამოთქვას". მაგრამ მალევე მივხვდი, რომ მხოლოდ წერა არ კმარა, რაღაც უნდა მოემთქმედა, როგორც ქრისტიანს, ამიტომაც, რამდენიმე თვეც არ იყო გასული კათოლიკური ეკლესიის წევრად ჩემი გახდომიდან, რომ გავემზავრე რომში, სადაც ქალთა საერთაშორისო მარხვის აქციაში ჩავერთე. ათი დღის განმავლობაში მონასტერში ოცი ქალი ვმარხულობდით და ვლოცულობდით, რათა ეპისკოპოსთა საკრებულოსთვის გადაწყვეტილებების მიღებაში დაგვეჭირა მხარი. ჩვენი მიზანი იყო, გამოგვეხატა ეკლესიის რადიკალური პროტესტი ყოველგვარი ომის წინააღმდეგ, მაგრამ თავისთავად უკვე წარმატებად შეიძლება ჩავთვალოთ ის, რომ კათოლიკეებს უფლება მიეცათ, რელიგიური მოსაზრებების საფუძველზე უარი თქვან სამხედრო სამსახურზე; ასევე, ყველა სახელმწიფოში სამოქალაქო სამსახური იქნა შემოღებული. ჩემი მხრივ იქ ყოფნამ განსაკუთრებულად მაგრძნობინა, თუ რას შეიძლება ნიშნავდეს ეკლესია თითოეული ჩვენგანისთვის. ჩემი სასულიერო მოთხრობების უმრავლესობა, თუკი შეიძლება მათ ასე ვუწოდოთ, ამის შემდგომ წლებში დაიწერა. ჩემი ლირიკული კრებულები მხოლოდ ერთეულებისადმი მიმართულ გზავნილად დარჩა, მათ ნაკლები რეცენზიები ეთმობოდა და მათი გამოქვეყნებაც მუდამ უფრო მიძინებულად. მკვლევრები იმის გამო მსაყვედურობდნენ, რომ ენობრივ ექსპერიმენტებს არ მიემართავდი, არც ლირიკაში და არც რომანებში. ჩემთვის, პირველ რიგში, შინაარსია მნიშვნელოვანი, ეს კი დღეს უკვე თითქმის რეაქციონერობად ითვლება. მიუხედავად ამისა, ორი წლის წინ მაინც შევქმელი მოჯადოებული წრის გარღვევა და გამოვეცი რომანი "ყველა ჩვენი თამაში". თუმცა, ამჯერად უკვე არა მეცამეტე, როგორც "სამყაროს მბრძანებლის" შემთხვევაში, არამედ ოცდამესამე გამოცემლობამ მომცა თანხმობა. ახლა ჰიტლერის ეპოქის უშუალო ასახვა უკვე სიბნელეს აღარ წარმოადგენს და მეც შევეცადე, ისე წარმოემდგინა ის

სინამდვილე, როგორც მას ბევრი, განსაკუთრებით კი ახალგაზრდა, ადამიანი ხედავდა.

ხშირად მეკითხებიან, კიდევ თუ მაქვს ლიტერატურული გეგმები. კაცმა რომ თქვას – არა, რადგან ლექსების დაგეგმვა შეუძლებელია. როცა ორიოდ სტრიქონი მებადება, მათ მაშინვე ვიწერ და მალე, ან, ზოგჯერ წლების შემდეგაც, მათგან ლექსი გამოდის. სულმთლად გოგონა ვიყავი, როცა ჰანს კაროსამ, რომელსაც მაშინ მოხუცი ჯერ კიდევ არ ეთქმოდა, გული გადამიხსნა, მთელი ცხოვრება ვნატრობდი სრულყოფილი ლექსის დაწერასო. მე იმხანად სულ სხვა რამეს ვნატრობდი, მაგრამ ახლა მისი კარგად მესმის. ამასობაში კი იმით ვარ დაკავებული, რასაც ჩემგან ყოველდღიურობა მოითხოვს. წერაც, თავისთავად, ჩემი საქმიანობის განუყრელი ნაწილია, რადგან – ეს ჯერ არ მისხენებია – მუდამ ვგრძნობდი, რომ ვალდებული ვარ, სადღეისო პრობლემებს თეორიულ სფეროში გამოვეხმაურო. პირველ ესესს, რომელიც ცხრამეტი წლის ასაკში დაწვერე, ეწოდებოდა "როგორ ვრიყავთ ბავშვებს საზოგადოებიდან". მასში იმ ბიუროკრატიული წესის წინააღმდეგ ვილაშქრებდი, რომელიც ერთი თავშესაფრიდან მეორეში ბავშვების მექანიკურ გადაყვანას ითვალისწინებდა, და ვეცადე, ამის შედეგები მეჩვენებინა. ამ ტექსტის გამოქვეყნება ვერ შევძელი, იქნებ იმიტომ, რომ ჩემი ნამუშევრების რეკლამირება მუდამ მიჭირდა. რამდენიმე წლის შემდეგ მეორე ვრცელი ესეე დაწვერე, რომელსაც "იერარქია და მსოფლმხედველობა" ვუწოდე. მასში სახელმწიფოს განსხვავებული მოდელები განვიხილე, ჰიტლერის მოსვლამდე ბევრად უფრო ადრე. ამ თემებს იმიტომ ვასახელებ, რომ ისინი ჩემი ინტერესების მონაცვლეობას გამოხატავს. უკანასკნელ ათწლეულებში ჩემთვის პირველ პლანზე რელიგიურმა და ეკლესიურმა საკითხებმა გადმოინაცვლა. დღეს ხშირად მიწევს მკითხველის რეცენზიების წერა, თუმცა ამგვარი ტექსტის ნაკლი მისი მცირე მოცულობაა. მაგრამ, სამაგიეროდ, მათ თითქმის ყოველთვის ბეჭდავენ. უფრო ვრცელ ესეისტურ ნაშრომებს ჟურნალის ფორმატი მეტწილად ვერ იტევს და მათი "დაბინავება" ძალზე მეძნელება.

ჩემს პირველ წიგნს "სიცოცხლის მადლი" დავარქვი და მადლიერების გრძნობა არც დღეს მტოვებს, როცა ჩემს ცხოვრებას ვაკლებ თვალს. რადგან, რაც ვინატრე, იქიდან ბევრი რამ ამისრულდა. შევხვდი ჩემი ცხოვრების თანამგზავრს, ვინც ჭირშიც და ლხინშიც გვერდით მდგა; გვეყოლა შვილები, მათი ღირსეულად აღზრდა შევძელით და ისინი თავიანთ ოჯახებთან ერთად ჩვენს სიახლოვეს ცხოვრობენ. და კიდევ: დრო და დრო კვლავაც ვგებულობ, რომ ჩემმა რომელიმე მოთხრობამ ან ლექსმა უცხო ადამიანს ახლის წვდომა თუ განცდა შეაძლებინა, ისევე, როგორც მე მქნებარებოდა მშვენიერი, ღრმა, წარმავალი სიტყვები და უკვდავი სიტყვა.

კიდევ რა თვალსაზრისი გვაქვს?

ეს წერილი 2000 წელს, ავსტრიელ მწერალთა გაერთიანების ბეჭდვითი ორგანოს – "ლიტერატურული ავსტრიის" – მე-2 ნომერში გამოქვეყნდა. ამ დროისთვის ერიკა მიტერერს თავად აღარ შეეძლო წერა, რადგან მხედველობა დღითიდღე სულ უფრო უსუსტდებოდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც აქტიურად ებმეოდა აქტუალურ თემებზე წამოჭრილ საზოგადოებრივ დისკუსიებში. ჩემთან საუბრისას მან არაერთხელ გამოთქვა გულისტკივილი იმის გამო, რომ ხელოვნების თავისუფლების ცნება ბოლო დროს ხშირად ძალზე ცალსახად ესმით. მისი მოსაზრებები წინამდებარე "კოლექციისადმი მიძარბულ ღია წერილში" ჩამოვყალიბე და შესაფასებლად წარვუდგინე. მცირედი ჩასწორების შემდეგ ერიკა მიტერერმა ხელი მოაწერა ამ ტექსტს.

მარტინ პეტროვსკი

კაცმა რომ თქვას, ეგრეთ წოდებულ ლიტერატორთა წრეს არასოდეს მივეკუთვნებოდი. ჩემი პირადი მოწოდება იყო – მეწერა, როცა ესა თუ ის თემა მალეღებდა, მეწერა, რათა თავადვე მეპოვნა პასუხი ჩემთვის მნიშვნელოვან საკითხებზე.

რა თქმა უნდა, ამ პირველადი მიზნების გარდა ჩემი ნაწერით რაღაცის მიღწევაც მსურდა: მინდოდა, საზოგადოების თვალსაწიერი გამეფართოებინა, ამა თუ იმ პრობლემაზე მისი ყურადღება გამემახვილებინა, ჩემს სიმართლეში დამერწმუნებინა. ამიტომაც მიხაროდა, როცა რომელიმე გამომცემლობა რომანს თუ ლექსებს მიბეჭდავდა, როცა ჩემი პიესა სცენაზე იდგებოდა (ეს, სამწუხაროდ, ერთადერთხელ მოხდა).

ამ გავებით, ალბათ, გამონაკლისს არ წარმოვადგენ. მწერალთა უმრავლესობა, ალბათ, წერის "შინაგან მოთხოვნილებას" ზუსტად ასევე ასაბუთებს. მაშ, რა არის ჩემს შემთხვევაში განსხვავებული?

მართალია, მეც ვიზიარებ მრავალთა აზრს, რომ "ხელოვნებაზე" სახელმწიფო დიქტატი ყოვლად მიუღებელია და რომ, აქედან გამომდინარე, შემოქმედება დაშვებული უნდა იყოს მრავალი ფორმით, ხოლო გამონაკლის შემთხვევებში (იხილეთ ქვემოთ) შეზღუდვები უაღრესად

Welche Überzeugung eint uns noch? ჟურნალში: Erika Mitterer. Der literarische Zaunkönig. Zeitschrift der Erika Mitterer Gesellschaft. #1, 2004. გვ. 47-48.

ზომიერად უნდა დაწესდეს. მაგრამ ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ სახელმწიფომ ყველაფერი უნდა დააფინანსოს, რაც ხელოვნებს ბაზარზე გამოაქვთ? რატომ ექმნება საფრთხე "თავისუფალ ხელოვნებას" იმით, რომ სახელმწიფო, ისევე, როგორც სხვა სფეროებში, კულტურის შემთხვევაშიც იძულებულია, შეაკვეცოს ბიუჯეტი? მე ვიცნობ ისეთ ხელოვანთ, ყველაზე დიდი ფუფუნების პერიოდშიც კი ხელცარიელნი რომ დარჩენილან (იქნებ, იმიტომ, რომ მათი ნაწარმოებები მავან პასუხისმგებელ პირთ არ მოსწონდათ) – რატომ მაშინ არ გაისმა დღეს ეგზომ ხმამაღლა წარმოთქმული საყვედურები?

"თავისუფალი ხელოვნება" – ეს ხომ მხოლოდ იმას შეიძლება ნიშნავდეს, რომ შემოქმედებითი საქმიანობისას არავინ გზღუდავს; მაგრამ ეს უფლებას არ გაძლევს, ხალოვნების ნიმუშად გამოცხადებული ნებისმიერი ნაწარმისთვის სპონსორი მოითხოვო, კომერციული წარუმატებლობის შემთხვევაში კი – კომპენსაცია!

ყოველ შემთხვევაში, ყოველთვის ამ აზრისა ვიყავი: რა თქმა უნდა, სიხარულით ვხვდები ისეთ შესაძლებლობას, რომ მავანმა ფინანსური მხარდაჭერა გამიწიოს, თუნდაც, ლექსების კრებულის გამოქვეყნებისას, მაგრამ ნამდვილად არ ვთვლი, რომ ამგვარ დახმარებაზე უპირობოდ უნდა განვაცხადო პრეტენზია...

როცა ჩვენ, მწერლები, საფრთხის თუ უსამართლობის მიმართ მომეტებული მგრძობიარობით რომ გამოვიჩრევით, "საზოგადოების სინდისის" ფუნქციას კვისრულობთ და შეგონებებს ვლადადებთ, სწორედ მაშინ გვმართებს განსაკუთრებული სიფრთხილე, ვინძლო ჩვენი მოთხოვნები ანგარებად არ ჩაითვალოს. დღეს, როცა ისინი, ვისაც მიაჩნია, რომ ბოლოდროინდელი საზოგადოებრივი განვითარება ხელოვნების თავისუფლებას და თვით დემოკრატიასაც კი უქმნის საფრთხეს, უარს ამბობენ სახელმწიფოს წარმომადგენლებთან დიალოგზე, განსაკუთრებით მკაფიოდ ჩნდება ეჭვი: იქნებ ავტორიტარული კეკლუცობა (დიალოგზე უარის თქმა კი სწორედ ეს არის) მხოლოდ მაშინ ცხადდება არალეგიტიმურად, როცა მას იდეოლოგიური თუ პოლიტიკური მოწინააღმდეგე სჩადის?

"თავისუფალი ხელოვნების" საკეთილდღეოდ წარმოთქმული ამ გასამართლებელი სიტყვის შემდეგ, – რომლის მიზანი გახლდათ, ეს ცნება ყოველგვარი კრიტიკისა თუ განსჯისთვის შეუვალი გაქვავებული კერპის მდგომარეობიდან კვლავ ჩვენს შემოქმედებით ყოველდღიურობაში დაგვებრუნებინა, სადაც იგი ჩვენი შრომის აუცილებელ საყრდენს წარ-

მოადგენს (არც მეტი და არც ნაკლები!) – ნება მიბოძეთ, ის ორი გამონაკლისი განვმარტო, რომელზეც ზემოთ მივანიშნე.

ხელოვნების თავისუფლება დემოკრატიულ საზოგადოებაში ძალზე ძვირად ფასობს, ამიტომაც ის, როგორც მოქალაქის ერთ-ერთი ძირითადი უფლება, კონსტიტუციის მიერ არის დაცული. ამ საზოგადოებრივი ფასეულობის ხელყოფის შემთხვევაში მისთვის ბარიკადებზე ბრძოლა სრულიად მართებულია. მაგრამ დღეს სულ უფრო ხშირად გვახდენება ის, რაც თავისთავად ცხადი უნდა იყოს: ჩვენი ცხოვრების ხარისხს სხვათა უფლებებიც განსაზღვრავს, ხოლო ჩვენ კარგად ვიცით, რომ ჩვენს მიერ ერთი დაკანონებული უფლებით უსაზღვრო სარგებლობა საგრძნობლად უზღუდავს სხვა საზოგადოებრივ ფენას თუ ჯგუფს მისი კუთვნილი, ასევე დაკანონებული უფლებით სარგებლობას; გამოსავალი მხოლოდ და მხოლოდ უდიდესი პასუხისმგებლობის შეგრძნებით აღბეჭდილ თვითკონტროლში ან – გვსურს თუ არა – სახელმწიფოს ხელთ არსებულ ბერკეტებში უნდა ვეძიოთ.

ჩემი აზრით, არაფერს მოგვიტანს იმის მცდელობა, ადამიანის კონსტიტუციური უფლებები იერარქიულ სისტემაში მოვაქციოთ და, ამგვარად, პრიორიტეტები შევიშუშაოთ. ამის საპირისპიროდ მოუწოდებ ყველას, გააცნობიერონ, რომ ერთურთისთვის ანგარიშის გაწევა მთელ საზოგადოებას გაცილებით უფრო წაადგება, ვიდრე სხვათა ხარჯზე საკუთარი შეხედულებების დაცვა. მოვიყვან მაგალითს: თუკი მე ქალაქის მთავარ მაგისტრალზე პიკის საათში შემოქმედებით მანიფესტაციას ვაწყობ, ამით, მართალია, მედიის ყურადღებას მივიპყრობ, მაგრამ, ამასთან, ათასობით თუ ათიათასობით ადამიანს გადაადგილების უფლებას ვუზღუდავ, ანდა, მათი პროფესიული საქმიანობის შესრულებას ვაბრკოლებ, ამიტომაც, თუკი ამას შედეგად ოფიციალური "მითითება" მოჰყვება, ჩემი ღონისძიებისთვის სხვა დრო და ადგილი შევარჩიო, ეს სრულიად ლეგიტიმურად მიმაჩნია და ამას ხელოვნების თავისუფლების ხელყოფად ნამდვილად ვერ ჩავთვლი. ცხადია, ინტერესების გაწონასწორება ორმხრივად უნდა წარმოებდეს და მხოლოდ ერთ მხარეზე არ უნდა ვრცელდებოდეს.

ვინც მიცნობს, მოეხსენება, რომ ამ საკითხში თავად ვარ დაზარალებული, თანაც – უაღრესად პირადული გაგებით. როგორც მორწმუნე კათოლიკე, თავს ვალდებული ვთვლი, დავიცვა ათი მცნება და, პირველ რიგში, პატივი ვცე უფალს და მის სახელს. ამ ვალდებულებას, ცხადია, სხვა რელიგიის წარმომადგენლებშიც ვაღიარებ. ამიტომაც,

ღრმა გულისტკენით აღვიქვამ ამა თუ იმ ისტორიული თუ თანამედროვე გარემოების ან გარკვეული ინსტიტუციის მისამართით წამოჭრილ იმ ხშირად სავსებით გასაგებ კრიტიკას, რომლის ფორმაც უფლის წინაშე მოწიწების ამ ცნებას არღვევს (მინდა ხაზი გავუსვა: შესაძლოა, ეს მხოლოდ მოჩვენებითი დარღვევაც იყოს) და მორწმუნეთა მხრიდან მხოლოდ მკრეხელობად თუ ჩაითვლება. ასეთ შემთხვევებში შეუზღოვებელი მორწმუნეთა დაცვა აუცილებელ და ლეგიტიმურ ქმედებად მი-მაჩნია და არ მესმის, იმ წამსვე საყვირივით რატომ გაისმის ძახილი, - ფრთხილად, მიზანდასახულ "ცენზურასთან" არ გვკონდესო საქმე!

უმორჩილესად ვთხოვ ყველა კოლეგას, ვისთვისაც რწმენა პიროვნული არსის ნაწილს არ წარმოადგენს, სხვის რწმენას ისევე შემწყნარებლურად მოეკიდოს, რა შემწყნარებლობასაც თავად ითხოვს საკუთარი შემოქმედების მიმართ – ბოლოს და ბოლოს, არასასურველი ცენზურის თავიდან ასაცილებლად საუკეთესო საშუალება სხვისი რელიგიური გრძნობების პატივისცემა და გონიერი თავშეკავებულობაა!

აი, ასე. ახლა გამოვთქვი ყოველივე, რაც გულს მიმძიმებდა. რა თქმა უნდა, ყოველი მხრიდან საყვედურს მოველი, მაგრამ შემწყნარებლობისა და გაგებისკენ მოწოდება ხომ გვაერთიანებს?

და რომ სახელმწიფო განზე უნდა გადგეს, როცა მხარეები ერთმანეთს მისი ჩარევის გარეშეც კარგად უგებენ, – ეს თვალსაზრისიც ხომ გვაერთიანებს?

შინაარსი

აღმა იოჰანა კიონიგი

მწუხარე ოდა

თარგმნა ბექა ბარქაიამ

ფაუსტა

თარგმნა ბექა ბარქაიამ

მიმწუხრზე

თარგმნა ბექა ბარქაიამ

ფაუსტა დედოფალ პოპეას

თარგმნა ბექა ბარქაიამ

შეხვედრა

თარგმნა ბექა ბარქაიამ

ლუკანუსი ფაუსტას

თარგმნა ბექა ბარქაიამ

ლუკანუსის შეურაცხყოფელი წერილი

თარგმნა ბექა ბარქაიამ

ლუკანუსი ფაუსტას

თარგმნა ბექა ბარქაიამ

ჰორტალუსი ფაუსტას

თარგმნა ბექა ბარქაიამ

სარკის წინ

თარგმნა ბექა ბარქაიამ

ლუკა

თარგმნა ბექა ბარქაიამ

სამაგიერო

თარგმნა ბექა ბარქაიამ

სახლი გაზაფხულზე

თარგმნა ბექა ბარქაიამ

ყოველდღიურად

თარგმნა ბექა ბარქაიამ

უგვანი ქალი სილამაზეს

თარგმნა ბექა ბარქაიამ

ლოცვა

თარგმნა ბექა ბარქაიამ

* აღმა იოჰანა კიონიგის ლექსების პწკარედული თარგმანი მოამზადა დათო ბარბაქაძემ.

ეროსის ჩირაღდნები

თარგმნა ვია ჯონხაძემ

სონეტები იანისადმი

თარგმნა ვია ჯონხაძემ

პაულა ფონ პრერადლოვიჩი

ლექსები თარგმნა დათო ბარბაქაძემ

ელეგია თანალმობის შესახებ

ელეგია მარტომყოფისადმი

ელეგია შორეთის შესახებ

ელეგია დაკარგული დროის შესახებ

ქება სიღრმისა

ელეგია ადამიანის გულისადმი

ალპბახური ელეგია

ერიკა მიტერერი

ლექსები თარგმნა ლულუ დადიანმა

ღვინოში დავანებული სიყვარულის ღმერთი

კალიპსოს გამოთხოვება

გამოსათხოვარი სიმღერა

მიტოვებული

ლეგენდა ხანდაზმულობაზე

გმირობა

ხსნა

გერმანელ ქალთა ჩივილი

გაქცევა

ნუგეში

საიდუმლო

სიკვდილისადმი

სიმღერა გადავიწყების შესახებ

უფსკრულის მიზიდულობა

სულო, სიკვდილი რატომ გაშინებს?

ჩაშლილი მოგზაურობა

მოგონების ბაგირზე

რითღა შევიცნო

მიტოვებულის საფლავთან

ჩემი ეზო
მთვრალი პოეტი
მე მეშინია
ნუ განსჯით
უფალი არ ცნობს რიცხვებს
მე რომ...
კითხვა
ალილუია
გადახვეწა
იმედი
მფარველი ანგელოზი
შემობრუნება
ერთი ტრაქტატის ფურცლისას
რიცხვთა საიდუმლო
ჩვენი ძვირფასი ქალბატონი ფონ როგენდორფი
ჯერ ისევ
ვარდები დატყვევებული სათვის
კარებთან
პირობა
ორთა საუბარი
კოშმარული სიზმარი
დახმარება
დამდეგი წლის წინ
სათვალთვალ კოშკი
დედას
ყვაკები
ასაკი
უცხო სამყარო
ყარიბთა სიმღერა
აპოლონის მოხმობა
საიმედო
შუაგული
კაენის გამოსყიდვა
კაკუნის ენა
დრო-ჟამთან ერთად

დანართი

თარგმნა თამარ კოტრიკაძემ

ალმა იოჰანა კიონიგი. დემონური ხიბლი	323
პაულა ფონ პრერადოვიჩი. რწმენიდან დაბადებული ლექსი	333
პაულა ფონ პრერადოვიჩი. ლექსის გმობის გამო	335
ერიკა მიტერერი. ავტობორტრეტი	340
ერიკა მიტერერი. კიდევ რა თვალსაზრისი გვაერთიანებს?	348